

**სისხლის სამართალი**  
**ზოგადი და კარძო ნაირუბი**

**სისხლის სამართლის პროცესი**  
**კარძო ნაირუბი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სისხლის სამართლის საქმეებზე  
2025, №1-3

Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Criminal Cases  
(in Georgian)  
2025, №1-3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Strafsachen  
(in der georgischen Sprache)  
2025, №1-3

Решения Верховного Суда Грузии  
по уголовным делам  
(на грузинском языке)  
2025, №1-3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**რუსულად განთურიძე**

ტექნიკური რედაქტორი  
**გარიპა გალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

**საქონელი  
სისხლის სამართალი  
ზოგადი ნაცილი**

**პირობითი მსჯავრი**

სასჯელის პირობითად ჩათვლა და  
გამოსაცდელი ვადის დაწესება სასჯელის  
მიზნების მიღწევის დამატებით გარანტიას წარმოადგენს .... 5; 12

**კერძო ნაცილი**

**1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ**

ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა  
ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკო ..... 23  
განზრახ მკვლელობა წინასწარი შეცნობით შეზღუდული  
შესაძლებლობების მქონე ოჯახის წევრის მიმართ ..... 42

**2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ**

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებით წარდგენილი  
ბრალდების გადაკვალიფიცირება ჯანმრთელობის  
განზრახ მსუბუქ დაზიანებაზე ..... 51  
ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის  
ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება,  
რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია,  
ჩადენილი შეზღუდული შესაძლებლობის პირის მიმართ ..... 59

**3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ**

სიცოცხლის მოსპობის მუქარა,  
ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ ..... 68  
ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის ბინაში  
მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა,  
რომელიც არღვევს ბინის ან  
სხვა მფლობელის ხელშეუხებლობას ..... 82

**4. ეკონომიკური დანაშაული**

ქურდობა, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ .... 93  
ძარცვა ..... 103

<b>5. ნარკოტიკული დანაშაული</b>	
ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადება .....	114
ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, გასაღება .....	127
<b>6. სატრანსპორტო დანაშაული</b>	
ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია .....	137
ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია .....	158
<b>7. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ</b>	
სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებისათვის ხელის შეშლა .....	167

**სისხლის სამართლის პროცესი  
კერძო ნაცილი**

**კასაცია**

**საკასაციო განაჩენი**

განაჩენში ცვლილების შეტანა და პირის უდანაშაულოდ ცნობა საქართველოს სსკ-ის 11 <sup>1</sup> , 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და იმავე კოდექსის 126 <sup>1</sup> -ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში .....	185
---	-----

# სისხლის სამართალი

## ზოგადი ნაწილი

### პირობითი მსჯავრი

სასჯელის პირობითად ჩათვლა და გამოსაცდელი ვალის  
დაცვისა სასჯელის მიზნების მიღწევის დაგატებით  
გარანტის წარმოადგენს

განაჩენი  
საქართველოს სახელი

საქმე №943აპ-24 24 თებერვალი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატა შემადგენლობა:  
ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),  
მ. გაბინაშვილი,  
ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკუ-  
რორის მოადგილის – ზურაბ კოჭლამაზაშვილის საკასაციო საჩივარი  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პა-  
ლატის 2024 წლის 24 ივნისის განაჩენზე.

#### აღნიშვნის ნაწილი:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა კოლეგიის 2024 წლის 19 აპრილის განაჩენით:

1.1. ფ. მ. ცნობილ იქნადამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხ-  
ლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესავა 2 წლით თავისუფლე-  
ბის აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალა პირობი-  
თად და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდ-  
გინდა 2 წელი.

1.2. ქ. ნ. ცნობილ იქნადამნაშავედ და მიესავა: საქართველოს სსკ-  
ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფ-  
ლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალა პირობი-  
თად, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა,  
რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალა პირობითად. საქართვე-  
ლოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქ. ნ-ის მიმართ და-  
ნიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და

საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განე-  
საზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის  
თანახმად ჩაეთვალა პირობითად და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე,  
გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

1.3. გაუქმდა ქ. ნ-ისა და ფ. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის  
ღონისძიება – გირაო.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფ. მ-მ და ქ. ნ-მ ჩაიდი-  
ნეს სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივი-  
ლი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ჯგუ-  
ფურად; ასევე, ქ. ნ-მ ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც  
იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძ-  
ვლიანი შიში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2023 წლის 3 სექტემბერს, დაახლოებით, 02:40 საათზე, გ-ს რაიონის  
სოფელ მ-ში, თ-ს შემოვლითი გზის განაპირას მდებარე ბარ-რესტო-  
რანში, ფ. მ-მ და ქ. ნ-მ ჯგუფურად, ფიზიკურად იძალადეს ამავე ბარში  
დასაქმებულ ჟ. ს-ზე, კერძოდ, ყვირილითა და ლანძლვა-გინებით შე-  
ვიდნენ რესტორნის შენობაში, რის შემდეგაც, ჟ. ს-ს ქ. ნ-მ რამდენჯერ-  
მე დაარტყა ორივე ხელი თავისა და სახის არეში, ხოლო ფ. მ-მ ჟ. ს-ი,  
ძალის გამოყენებით, ოთახიდან გარეთ გაათრია, სადაც უკვე ნაქცე-  
ულს, ძლიერად ურტყამდა სხეულზე ორივე ფეხს. ფ. მ-ისა და ქ. ნ-ის  
ქმედებების შედეგად, თითოეულ შემთხვევაში, ჟ-მ განიცადა ფიზიკუ-  
რი ტკივილი და სისხლაუღენთებისა და ნაჭდევების სახით მიიღო სხე-  
ულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად.

2023 წლის 3 სექტემბერს, დაახლოებით 02:40 საათზე, გ-ს რაიონის  
სოფელ მ-ში, თ-ს შემოვლითი გზის განაპირას მდებარე ბარ-რესტო-  
რანში, ქ. ნ-ი, დანის დემონსტრირებით, სიცოცხლის მოსპობით დაე-  
მუქრა ჟ. ს-ს, კერძოდ, უთხრა, რომ შუაზე გაჭრიდა და მოკლავდა, რაც  
ჟ. ს-მ აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის აღსრულების საფუძ-  
ვლიანი შიში.

### **3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ივნისის განაჩენით:**

3.1. პრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა  
და რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
კოლეგის 2024 წლის 19 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – რუსთავის რაიონული პროკურორის მოადგილე  
ზურაბ კოჭლამაზაშვილმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილი-  
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პა-  
ლატის 2024 წლის 24 ივნისის განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯე-  
ლის დამძიმების კუთხით.

4.1. მსჯავრდებულების – ფ. მ-ისა და ქ. ნ-ის ინტერესების დამცველ-მა, ადვოკატმა დ. მ-მ შესაგებლით მოითხოვა რუსთავის რაიონული პროკურორის მოადგილის – ზურაბ კოჭლამაზაშვილის მიერ წარმოდგენილი საკასასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ივნისის განაჩენის ძალაში დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამ-დე, რომ საკასასაციო საჩივრარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასა-ჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მსჯავრდებულების – ფ. მ-ისა და ქ. ნ-ის მიერ მათთვის პრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა დადგენილია ერთმანეთთან შეთანხმე-ბულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: თავად მსჯავრდებუ-ლების ალიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულ ყ. ს-სა და მოწმეების – ხ. თ-ს, შ. ნ-ს გამოკითხვის ოქმებით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქ-მებით, დათვალიერების ოქმებით, ლევან სამხარაულის სახელობის სა-სამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტი-ზის №... დასკვნითა და სხვა მტკიცებულებებით, რასაც სადაცოდ არც კასატორი ხდის.

3. საკასასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვებუნეტის თანახმად, განაჩენი იმ შემთხვევაში მიიჩნევა უკანონოდ, როდესაც გამოყენებულია სას-ჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავ-რდებულის ქმედების ხასიათსა და ამავდროულად, მის პიროვნებას. სას-ჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამდიმებელ, ისე – შემამსუბურებელ გარემოებებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელი სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რე-სოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. ამიტომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორ-ციაში, ხოლო, მეორე მხრივ ....ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სას-ჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებე-ბის გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქარ-თველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წი-ნააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სას-

ჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით და უნდა იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი.

5. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება პროკურორ ზურაბ კოჭალამაზვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულების – ფ. მ-ისა და ქ. ნ-ის მიმართ შეფარდებული სასჯელის გამკაცრების თაობაზე და მიაჩნია, რომ სასჯელის პირობითად ჩათვლისა და გამოსაცდელი ვადის დაწესების მიზანი არ არის დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლის სამართლებრივი ზემოქმედებისგან გათვალისუფლება. გამოსაცდელი ვადა ის პირობაა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, რაც სასჯელის მიზნების მიღწევის დამატებით გარანტიას წარმოადგენს. ამდენად, კონკრეტული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა არ გულისხმობს მის უსამართლობას და ვერ უგულებელყოფს მის როლს, სასჯელის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლო მსჯავრდებულების – ფ. მ-ისა და ქ. ნ-ის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა საქართველოს სსკ-ის 53-ე და 39-ე მუხლების მოთხოვნები და ფ. მ-ს შეუფარდა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილით, ხოლო ქ. ნ-ს, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ყველაზე მკაცრი სახე – თავისუფლების აღკვეთა (საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომადითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ გამასწორებელ სამუშაოს ვადით თვრამეტ თვემდე ან შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ), თუმცა შემდგომ სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაუთვალა პირობითად, კერძოდ: ფ. მ-ისა და ქ. ნ-ის პასუხისმგებლის შემამსუბუქებელი გარემოებებია ის, რომ ორივე მათგანი აღიარებს და გულწრფელად ინანი-

ებს ჩადენილ, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, ქ. ნ. პირველა-დაა სამართალში, ხოლო ფ. მ. 2023 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, ნასამართლევი იყო ნაკლებად მძიმე კატეგორიის განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, მათ სადაცოდ არ გაუხდიათ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ხელი შეუწყვეს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

7. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, უნდა გათავისუფლდეს სისხლისა-მართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით, 1-ელი ნაწილის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით, 1<sup>2</sup>-ე ნაწილით (გარდა სისტემატური ცემისა) ან მე-2 ნაწილის (გარდა სისტემატური ცემისა) „ა“ ან „ლ“ ქვეპუნქტით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

8. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, უნდა გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონების პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

9. საქმეში არ არის წარმოდგენილი დაზარალებულის თანხმობა, რომ მსჯავრდებულების – ფ. მ-ისა და ქ. ნ-ის მიმართ გავრცელდეს ამ პუნქტებით გათვალისწინებული ამნისტია.

10. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზე-დაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე კანონის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავი-

სუფლება, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა).

11. „შესაბამისად, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ფ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და მიესაჯოს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე უნდა ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 1 წელი და 8 თვე.

12. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ქ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და მიესაჯოს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე უნდა ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 1 წელი და 8 თვე; 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და უნდა მიესაჯოს 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად უნდა ჩაეთვალოს პირობითად. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქ. ნ-ის მიმართ დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა უნდა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად უნდა ჩაეთვალოს პირობითად და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად უნდა დაუდგინდეს 1 წელი და 8 თვე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურორის მოადგილის – ზურაბ კოჭლა-მა ზაშვილის საკასაციო საჩიგარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლი-ლება:

2.1. ფ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალოს პირობითად და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 წელი;

2.2. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე ფ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ერთი მეექ-ვსედით და მიესაჯოს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 1 წელი და 8 თვე;

2.3. ქ. ნ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განეხსაზღვროს:

სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალოს პირობითად;

„ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე ქ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ერთი მეექვსე-დით და მიესაჯოს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 1 წელი და 8 თვე;

სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალა პირობითად;

„ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე ქ. ნ-ს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ერთი მეექვსე-დით და მიესაჯოს 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალოს პირობითად;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქ. ნ-ის მიმართ დაწიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად ჩაეთვალოს პირობითად და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 1 წელი და 8 თვე;

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ფ. მ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია;

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე-66-ე მუხლების თანახმად, ფ. მ-ისა და ქ. ნ-ის ყოფაქცევაზე კონტროლი გამოსაცდელი ვადის პერიოდში, განახორციელოს პრობაციის სამსახურმა მსჯავრდებულების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დაევალოთ მსჯავრდებულებს, პრობაციის სამსახურის ნებართვის გარეშე არ შეიცვალონ მუდმივი ბინადრობის ადგილი;

5. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასჯელის პირობითად ჩათვლა და გამოსაცდელი ვადის დაცვება სასჯელის მიზნების მიღწევის დაგათვით გარანტიას ნარმოადგინეს

### განაჩენი საქართველოს სახელით

№2025-25

12 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატა შემადგენლობა:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. თევზაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ფელიქს ჯალალონიას საკასაციო საჩივარი ქუთაისის საპელაციო სასამართლოს 2024 წლის 5 დეკემბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით გ. გ-ის, მ. გ-ის, დ. გ-ის

და ბ. გ-ის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2024 წლის 22 აპრილს, დაახლოებით 18:30 საათზე ზ....ს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა მ. გ-მა, დ. გ-მა, ბ. გ-მა და გ. გ-მა, ადრე არსებული კონფლიქტური ურთიერთობებიდან გამომდინარე განაწყენებულებმა, ამავე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ნ. კ-ს მის საცხოვრებელ სახლში ეზოში, მ. გ-მა თმებში ჩაავლო ხელი და ძლიერად მოქარა თავისკენ. იმავდროულად, ბ. გ-მა, ძალის გამოყენებით, ნ. კ. ეზოდან ქუჩაში გამოიყვანა, რის შედეგადაც ნ. კ-მ წონასწორობა დაკარგა და იქვე მიწაზე დაეცა, ხოლო მიწაზე დაცემულ ნ. კ-ს ბ. მ-ი და დ. გ-ებმა მუშტები, ასევე – წიხლები, რამდენჯერმე დაარტყეს თავის, წელის და ფეხების არეში. მიღებული დაზიანების შედეგად ნ. კ-მ მიიღო თავის ტვინის შერყევა. ასევე, სისხლჩაქცევები მარჯვენა თვალბუდის მიდამოში. თავის მხრივ, გ. გ-მა დაარტყა ფეხი ზურგის არეში და გვერდებზე, ნეკანითან. ნ. კ-ზე მიყენებული დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგად და ერთობლიობაში მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად, რითაც ამ უკანასკნელს მიაყენეს ფიზიკური ტკივილი. რაც შეეხება მიწაზე დაცემული დედამისის ნ. კ-ს დასახმარებლად მისულ მ. გ-ს, მასთან მივიდა მ. გ-ი, რომელმაც მ. გ-ს მუშტი რამდენჯერმე დაარტყა მარცხენა მკლავისა და მუცლის არეში, ხოლო გ. გ-ი კი თმებში სწვდა და ძლიერად მოჰქარა. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგად, ცალ-ცალკე და ერთად აღებული, მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად, რითაც ამ უკანასკნელს მიაყენა ფიზიკური ტკივილი.

## 2. აღნიშნული ქმედებით:

2.1 გ. გ-მა და მ. გ-მა ჩაიდინეს ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ჯგუფურად, ორი პირის მიმართ, – დაანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით;

2.2. დ. გ-მა და ბ. გ-მა ჩაიდინეს ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ჯგუფურად, – დაანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 13 ივნისის განაჩენით:

3.1. გ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხ-

ლის 1<sup>-</sup>ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩატვა-ლა პირობით 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით;

3.1.1. გ. გ-ს დანიშნული სასჯელის ვადაში ჩატვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი, 2024 წლის 23 აპრილიდან – 25 აპრილის ჩატვლით;

3.2. დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>-</sup>ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩატვალა პირობით 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით;

3.2.1. დ. გ-ს დანიშნული სასჯელის ვადაში ჩატვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი, 2024 წლის 23 აპრილიდან – 25 აპრილის ჩატვლით;

3.3. მ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>-</sup>ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩატვალა პირობით 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით;

3.3.1. მ. გ-ს დანიშნული სასჯელის ვადაში ჩატვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი, 2024 წლის 23 აპრილიდან – 25 აპრილის ჩატვლით;

3.4. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>-</sup>ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩატვალა პირობით 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით;

3.4.1. ბ. გ-ს დანიშნული სასჯელის ვადაში ჩატვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი, 2024 წლის 23 აპრილიდან – 25 აპრილის ჩატვლით.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ფელიქს ჯალალონიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულების – გ. გ-ის, მ. გ-ის, დ. გ-ის და ბ. გ-ის მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდება.

5.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინებულების მსჯავრდებულების – გ. გ-ის, მ. გ-ის, დ. გ-ის და ბ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ჯ. გ-მ და ე. რ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 5 დეკემბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 13 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6.1. აღნიშნული განაჩენის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში, საა-

პელაციო პალატაში საქმის განხილვისას დაზარალებულის პოზიცია (თანხმობა) გ. გ-ის, მ. გ-ის, დ. გ-ის და ბ. გ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენებაზე არ წარმოდგენილა. შესაბამისად, მსჯავრდებულების მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება ვერ გავრცელდა.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ფელიქს ჯალალონიამ, რომელიც ითხოვს მსჯავრდებულების – გ. გ-ის, მ. გ-ის, დ. გ-ის და ბ. გ-ის მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას. იმავდროულად, პროკურორი ითხოვს, რომ მსჯავრდებულების მიმართ არ იქნეს გამოყენებული დანიშნული სასჯელების პირობითად ჩათვლა.

7.1. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა მსჯავრდებულების – გ. გ-ის, მ. გ-ის, დ. გ-ის და ბ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ჯ. გ-მ და ე. რ-მ, რომლებიც ითხოვენ პროკურორის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას, ხოლო, მისი დაშვების შემთხვევაში, გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>1</sup> მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგეში – საქართველოს სსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამორჩების გარეშე (იხ. Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გნაჩენი გაასაჩივრა: პროკურორმა, რომელიც ითხოვს მსჯავრდებულების – გ. გ-ის, მ. გ-ის, დ. გ-ის და ბ. გ-ის მიმართ შეფარდებული სასჯელის გამკაცრებას, იმავდროულად, მსჯავრდებულების მიმართ დანიშნული სასჯელების რეალურად (ითხოვს, რომ მსჯავრდებულების მიმართ არ იქნეს გამოყენებული დანიშნული სასჯელების პირობითად ჩათვლა) მოხდას, ხოლო დაცვის მხარე – შე-

საგებლით – გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩინა, რომ ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ფელიქს ჯალალონიას საკასაციო საჩივრარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>°</sup>-ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს: ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უმისოდ.

5. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მოთხოვნას მსჯავრდებულების მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდებისა და იმის შესახებ, რომ მათ მიმართ გმოყენებული უნდა იქნეს სრულად საპატიმრო სასჯელი, ნაცვლად – საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლებით გათვალისწინებული – განაჩენით დანიშნული სასჯელის პირობით მსჯავრად ჩათვლისა. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასაჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

6. მოცემულ შემთხვევაში, გ. გ-ს, მ. გ-სა და ბ. გ-ს გასაჩივრებული განაჩენით სასჯელის ზომად განესაზღვრათ – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩატვალათ პირობითად და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრათ 1 წელი და 6 თვე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩადენილი დანაშაულებისათვის მსჯავრდებულებს განუსაზღვრა შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ალტერნატიული სასჯელებიდან ყველაზე მძიმე სახის სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა – მაქსიმუმთან მიახლოებული ხანგრძლივობით.

6.1. რაც შეეხება შეფარდებული სასჯელის პირობითად ჩათვლას, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ სასჯელის პირობითად ჩათვლისა და გამოსაცდელი ვადის დაწესების მიზანი არ არის და-

ნაშაულის ჩამდენი პირის სისხლისასამართლებრივი ზემოქმედებისგან გათავისუფლება. გამოსაცდელი ვადა ის პირობაა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, რაც სასჯელის მიზნების მიღწევის დამატებით გარანტიას წარმოადგენს. შესაბამისად, მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთა – პირობითად ჩათვლა, არ გულისხმობს სასჯელის უსამართლობას და ვერ უგულებელყოფს მის როლს სასჯელის მიზნების მიღწევაში.

6.2. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობის დროსაც, სასჯელის სახის ან/და ხანგრძლივობის გამოყენების მიზანშეწონილობა შესაფასებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში კი, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულების ინდივიდუალური მახასიათებლები და განუსაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) და ასახავს მიღეომას, რომლის თანახმად, „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

6.3. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ მოცემული საქმის ფარგლებში მსჯავრდებულები – გ. გ-ი, მ. გ-ი, დ. გ-ი და ბ. გ-ი დააკავეს 2024 წლის 23 აპრილს; აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 25 აპრილის განჩინებით გაუქმდა დაკავება და მსჯავრდებულები გათავისუფლდენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან (აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო); საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა (რომლის მოხდის პირობებშიც იმყოფებიან მსჯავრდებულები) ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია).

**6.4.** შესაბამისად, საკასაციონ სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულს შეეფარდა ზედმეტად მსუბუქი სასჯელი. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სასჯელის უსამართლობას, პრევენციის ან რესოციალიზაციის მიზნებთან შეუსაბამობას, რის საფუძველზეც, შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულისათვის სასჯელის გამკაცრება.

**7.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებულობის გამო, საკასაციონ სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მოთხოვნას, მსჯავრდებულების – გ. გ-ის, მ. გ-ის, დ. გ-ის და ბ. გ-ის მიმართ შეფარდებული სასჯელის გამკაცრების თაობაზე.

**8. საკასაციონ სასამართლო, იმავდროულად, ვერ გაიზიარებს სააპელაციონ სასამართლოს მოტივაციას, რომ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას დაზარალებულის პოზიცია (თანხმობა) გ. გ-ის, მ. გ-ის, დ. გ-ის და ბ. გ-ის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენებაზე არ იქნა წარმოდგენილა, მსჯავრდებულების მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება ვერ გავრცელდება და ითვალისწინებს, რომ:**

**8.1.** „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივნისამდე ჩაიდინა.

**8.2.** „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასჯელისგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა, მათ შორის, დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით, 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს ნინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

**8.3.** დაზარალებულის შესაბამისი პოზიციის/თანხმობის არარსებობისა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის იმპერატიული ხასიათის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას მსჯავრდებულების მიმართ გაავრცელოს აღნიშნული მუხლით („ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2

მუხლის პირველი პუნქტით) გათვალისწინებული შედავათი.

8.4. მიუხედავად აღნიშნულისა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის (ერთი მექევსედით შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია), მე-6 მუხლის პირველი პუნქტის (პირს, რომელიც პირობით მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XII თავის შესაბამისად (გარდა იმ დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-7 მუხლით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381<sup>1</sup>-ე მუხლით, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენის შემთხვევაში) ან 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენის შემთხვევაში), ან ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) და რომელსაც დანიშნული სასჯელი და გამოსაცდელი ვადა, ამ კანონის მე-2-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-9 მუხლის თანახმად, 1 წელზე ნაკლები ვადით უმცირდება, ამ მუხლის საფუძველზე 1 წლით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი და გამოსაცდელი ვადა), მე-9 მუხლის პირველი პუნქტის (ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლება, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4 მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქონების ჩამორთმევისა, იარაღონან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა), ამავე მუხლის მე-4 პუნქტის (ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება იმ პირზე, რომელიც, 2024 წლის 1 ივნისის მდგომარეობით: პირობით მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XII თავის შესაბამისად) გათვალისწინებით გ. გ-ს, მ. გ-ს, დ. გ-ს და ბ. გ-ს დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 1 წელი და 6 თვე – „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უნდა შემცირდეს 1/

6-ით (რაც, დანიშნული სასჯელის ხანგრძლივობის – 1 წელი და 6 თვე – პირობებში შეადგენს 3 თვეს).

8.4.1. იმავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულებს არ ჩაუდენიათ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლით ანდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დანაშაული და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 13 ივნისის განაჩენის საფუძველზე, 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით იყვნენ პირობით მსჯავრდებული პირები, – ამასთან, ამნისტიის აღნიშნული კანონის საფუძველზე, დანიშნული სასჯელი და გამოსაცდელი ვადა უმცირდებათ 1 წელზე ნაკლები ვადით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, 1 წლით უნდა შეუმცირდეთ დანიშნული სასჯელი და გამოსაცდელი ვადა.

8.4.2. შესაბამისად, გ. გ-ი და მ. გ-ი უნდა გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ხოლო დ. გ-ი და ბ. გ-ი საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადის მოხდისაგან.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ფელიქს ჯალაღლინისა საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 5 დეკემბრის განაჩენი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, უნდა შეიცვალოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ფელიქს ჯალაღლინისა საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 5 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

2.1. გ. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ

და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვა-  
ლოს პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე,  
გამოსაცდელ ვადად განესაზღვროს 1 წელი და 6 თვე;

2.1.1. გ. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, 1 წლით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ კვეპუნქტებით შეფარდებული საჯარო და გათავისუფლდეს პირობითი მსჯავრისა და გამოსაკლელი ვადის მოხდისაგან;

2.2. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>°</sup>-ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვა- ლოს პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაკვლეულ ვადად განესაზღვროს 1 წელი და 6 თვე;

2.2.1. მ. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, 1 წლით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით შეფარდებული სასჯელი და გათავისუფლდეს პირობითი მსჯავრისა და გამოსაჯდელი კადის მოხდისაგან;

2.3. დ. გი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვეთ, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვალოს პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაჯდელ ვადად განესაზღვროს 1 წელი და 6 თვე;

2.3.1. დ. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, 1 წლით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 11-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელი და გათავისუფლდეს პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადის მოხდისაგან;

2.4. ბ. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვალის პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად განესაზღვროს 1 წლი და 6 თვე;

2.4.1. ბ. გ-ს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, 1 წლით შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელი და გათავისუფლდეს პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვალის მოხდისაგან;

3. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;
4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კერძო ნაწილი

### 1. დანაშაული სიცოცხლის ცირკალები

ოჯახის ცენტრის განზრახ გვილელობაზაღვი  
განსაკუთრებული სისასტიკით

განაჩენი  
საქართველოს სახელით

№949ა3-24

7 თებერვალი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატა შემადგენლობა:

6. სანდოძე (თავმჯდომარე),
- მ. გაბინაშვილი,
- ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ბ-ს ინტერე-  
სების დამცველი ადვოკატის ვ. ბ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საა-  
პელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024  
წლის 15 ივნისის განჩინზე.

#### აღნერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

##### 1. ნარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. მ. ბ-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სა-  
მართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 11<sup>1</sup>, 19, 109-ე  
მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებითა (ოჯახის წევრის მიმართ განზრახ  
მკვლელობის მცდელობა, განსაკუთრებული სისასტიკით) და საქართვე-  
ლოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით (განზრახი დანაშაულისთვის  
ნასამართლევი პირის მიერ, ცივი იარაღის ტარება) გათვალისწინებუ-  
ლი დანაშაულების ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. მ. ბ-ი ძმასთან და ძმის ცოლა. ბ-სთან ერთად ცხოვრობდა ქალაქ  
ა-ში და მათთან ერთად ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას. 2023  
წლის 23 თებერვალს, საღამოს, დაახლოებით 20:00 საათზე, ნასვამ  
მდგომარეობაში მყოფ მ. ბ-სა და ა. ბ-ს შორის მოხდა სიტყვიერი კონ-  
ფლიქტი, რა დროსაც მ. ბ-მა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ა. ბ-ს. ამ  
უკანასკნელმა მ. ბ-ს უთხრა, რომ შეეწყვიტა მისი ლანძლვა, წინააღ-  
მდეგ შემთხვევაში გამოიძახებდა პოლიციას. აღნიშნულით გაბრაზე-  
ბული მ. ბ-ი ბენზინის გადასხმითა და დაწვით დაემუქრა ა. ბ-ს. გან-  
ზრახვის სისრულეში მოსაყვანად კი მუქარის შემდეგ, მ. ბ-მა სახლი-

დან აიღო პოლიტიკურის ცარიელი ბოთლი და სახლიდან გავიდა. ცოტა ხანში სახლში დაბრუნებულმა მ. ბ-მა მოიტანა ნავთობპროდუქტით სავსე პოლიტიკურის ბოთლი და ზემოხსენებული მუქარის სისრულეში მოსაყვანად, ბოთლში არსებული ნავთობპროდუქტი, მცირენლოვანი ბავშვის თანდასწრებით თავზე დაასხა ა. ბ-ს, თან ცდილობდა ჯიბიდან ამოელო სანოებელა და ცეცხლი მოეკიდებინა ა. ბ-სათვის. ამ უკანასკნელმა მოახერხა და ნავთობპროდუქტიანი ბოთლი ხელიდან წართვა მ. ბ-ს, რის შემდეგაც შეშინებული სახლიდან გაიქცა და დახმარებისათვის სამართალდამცავ ორგანოს მიმართა, რის გამოც მ. ბ-მა ველარ შეძლო მისი ზემოხსენებული განზრახვის სისრულეში მოყვანა.

1.3. მ. ბ-ი ახალქალაქის რაიონული სასამართლოს, 03.12.2021 წლის განაჩენით გასამართლებული იყო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის თანახმად ითვლებოდა ნასამართლევ პირად, 2023 წლის 23 თებერვლის დამეს, თან ატარებდა ცივ იარაღს, კერძოდ, ერთ ცალქარხნული წესით დამზადებულ დანას, მაფიქსირებელი მოწყობილობით, რაც ამოღებული იქნა ა-ს შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ბრალდებულის სახით დაკავებული მ. ბ-სის პირადი ჩერეკისას.

## 2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 7 ნოემბრის განაჩენითმ. ბ-სი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მ. ბ-ს, დამატებითი სასჯელის სახით 1 წლით შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები;

საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა;

დამატებითი სასჯელის სახით 2 წლით შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ძირითად სასჯელად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს, 2021 წლის 3 დეკემბრის

განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვე-პუნქტითა და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული და-ნაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 17 წლით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდე-ლი ნაწილიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და მ. ბ-ს განაჩენითა ერთობლიობით, საბოლოოდ, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად გა-ნესაზღვრა – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მთლიანად შეიკრიბა დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ია-რაღოთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა და საბოლოოდ მ. ბ-ს განესაზღვრა იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა 3 წლის ვადით;

გ. ბ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2023 წლის 23 თებერვლიდან;

2.2. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 7 ნოემბრის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. ბ-ს ინტერესების დამ-ცველმა ადვოკატმა ვ. ბ-მ, რომელმაც მოითხოვა მ. ბ-ს მიმართ გამა-მართლებელი განაჩენის გამოტანა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ალტერნატივის სახით უფრო მსუბუქი სასჯე-ლის დანიშვნა – ჯარიმის სახით.

### **3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა პალატის 2024 წლის 15 ივლისის განაჩენით დაცვის მხარის სააპე-ლაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ახალქალაქის რაიონული სასა-მართლოს 2023 წლის 7 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. 2024 წლის 9 აგვისტოს, მსჯავრდებულ მ. ბ-ს ინტერესების დამ-ცველმა ადვოკატმა ვ. ბ-მ საკასაციო საჩივრით მომართა საქართვე-ლოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 ივ-ლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამარ-თლებელი განაჩენის დადგენა, ხოლო ალტერნატივის სახით საქართვე-ლოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშა-ულისათვის მსჯავრდების შემთხვევაში არასაპატიმრო სასჯელის გა-მოყენება – ჯარიმის სახით.

3.3. დაცვის მხარის საკასაციო საჩივარზე ბრალდების მხარემ წამო-ადგინა შესაგებელი, რომლითაც ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უც-ვლელად დატოვება.

### **4. კასატორის არგუმენტები:**

4.1. კასატორის პოზიციით, გამამტყუნებელი განაჩენი არ ემყარება უტყუუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რის გამოც, მ. ბ-ი ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით უნდა დაენიშნოს უფრო მსუბუქი – არასაპატიმრო სასჯელი. კასატორის პოზიციით, მ. ბ-ს მხოლოდ გარკევული კამათი მოუხდა ა. ბ-სთან და ყველაფერი ამით დასრულდა. მას არ ჰქონია ა. ბ-სის სიცოცხლის მოსპობის განზრახვა და არაფერი გაუკეთებია ამ ყველაფრის სისრულეში მოსაყვანად. დაზარალებულ ა. ბ-სა და ა. ბ-ს ჩვენებები ურთიერთნიანალმდეგობრივია და შეიცავს არაერთ უზუსტობას, ასევე არ შეესაბამება სხვა მტკიცებულებებს. შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა გაეთვალისწინებინა მათ მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაცია. მართალია, ა. ბ-სი და ა. ბ-სი ადასტურებენ, თითქოს მ. ბ-ს ხელში ეჭირა ბოთლი, მაგრამ გამოძიებამ ვერ დაადგინა მასში რა ესხა. ა. და ა. ბ-ების ტანსაცმელზე, ხალიჩაზე და იატაკზე ბენზინის კვალი არ აღმოჩნდა. ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ მ. ბ-ს მათვის ბენზინი არ მიუსხამს და ცეცხლის მოკიდება არ უცდია, მაშინ როდესაც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მას ჯიბეში ტექნიკურად გამართული სანთებელა ედო. ამასთან, საყურადღებოა შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული პლასტმასის ბოთლი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოთლში ბენზინის კვალი აღმოჩნდა აღნიშნული მაინც არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სწორედ ეს ბოთლი ეჭირა მ. ბ-ს. ამოღებული ბოთლი არის 1 ლიტრიანი, ხოლო დაზარალებულმა ა. ბ-მა თავის ჩვენებაში განმარტა, რომ მ. ბ-მა სახლიდან 1,5 ლიტრი ტევადობის ბოთლი წაიღო. ასევე, მოწმე ვ-ის ჩვენების თანახმად, მან მ. ბ-ს მიჰყიდა 5 ლარის ბენზინი. იმ დროისათვის ბენზინის ფასი იყო 3,17 ლარი. შესაბამისად, მ. ბ-მა პირადი საჭიროებისათვის შეიძინა 1,5 ლიტრი ბენზინი, რაც შეუძლებელია ამოღებულ 1 ლიტრიან ბოთლში ჩატეულიყო. მ. ბ-მა, მის მიერ შეძენილი ბენზინი სახლში მიიტანა და შეინახა ფარდულში ისე, რომ გამოძიების პროცესში ეს სავსე ბოთლი არავის გახსენებია. რაც შეეხება ამოღებულ ბოთლს, მსჯავრდებულს მასთან შემხებლობა არ ჰქონია. ა. ბ-მა არ დაადასტურა გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება. ის ცდილობდა სასამართლოსთვის მიენოდებინა სწორი ინფორმაცია, რომ მ. ბ-ს არ დაუსხამს ბენზინი ა. ბ-სთვის, თუმცა ბრალდების მხარის დაუინებულმა პოზიციამ დაედასტურებინა გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება, ა. ბ-სი იძულებული გახადა გაემეორებინა ჩვენება, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. გარდა ამისა, ა. ბ-ს ჩვენება არ შეესაბამება სხვა მტკიცებულებებს, მათ შორის, მოწმე ს-ს ჩვენებას, რომლის თანახმადაც დადასტურებულია, რომ შემთხვე-

ვის შემდეგ ა. ბ-ი მივიდა მასთან და შველა სთხოვა, მას არ უთქვამს, რომ მ. ბ-მა მისი დაწვა სცადა, პირიქით, უთხრა, რომ სახლის დაწვას აპირებდა. ასევე, ა. ბ-ს ჩევნება არ შეესაბამება საქმეზე წარმოდგენილ ვიდეოჩანანერებზე დაფიქსირებულ დროს. ამასთან, მართალია ბრალდებული და დაზარალებულის ოჯახი ცხოვრობენ ერთ სახლში, მაგრამ მ. ბ-ს აქვს თავისი ოთახი, იგი ცხოვრობს ცალკე და ძმის ოჯახთან ერთად არ ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას. შესაბამისად, მის მიერ ჩადენილი ქმედება, არ წარმოადგენს ოჯახურ დანაშაულს. რაც შეეხება, საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდების ეპიზოდს, მ. ბ-ი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, იგი ამოლებულ დანას იყენებდა საკვების მომზადების მიზნით, შესაბამისად, მას უნდა დაენიშნოს უფრო მსუბუქი სასჯელი – ჯარიმის სახით.

### 5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ბ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

5.2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მოტივაციას იმ ნაწილში, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყურად დადასტურდა მ. ბ-სის მიერ ოჯახის წევრის – ა. ბ-ს განსაკუთრებული სისასტიკით განზრას მკვლელობის მცდელობისა და განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ, ცივი იარაღის ტარების ფაქტები.

5.3. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ დაცვის მხარისთვის სადაცოა მ. ბ-სის მიერ ოჯახის წევრის – ა. ბ-ს განსაკუთრებული სისასტიკით განზრას მკვლელობის მცდელობის ეპიზოდში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის საქართველოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე, ასევე მ. ბ-სის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა და საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი.

5.4. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყურად დადგვენილია და მხარეებიც არ ხდიან სადაცოდ, რომ შემთხვევის დღეს მ. ბ-სა და ა. ბ-ს შორის მოხდა შეეკამათება. სადაცოფაქტობრივი გარემოებაა, სცადა თუ არა მ. ბ-მა ა. ბ-ს მოკვლა, ბენზინი შეიძინა თუ არა მის მოსაკლავად, ამოძრავებდა თუ არა მისი მოკვლის განზრახვა და ენეოდნენ თუ არა მ. ბ-ი და ა. ბ-ი ერთიან საოჯახო მეურნეობას. სადაცო ფაქტობრივ გარემოებას, არ წარმოადგენს განზრახი

დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარების ფაქტი.

5.5. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასა-მართლო სხდომაზე დაკითხული დაზარალებულის – ა. ბ-ს ჩვენებით დადასტურებულია, რომ ოჯახის წევრებთან, მ. ბ-თან, ვ. ბ-თან, ფ. ბ-თან, ა-თან და მ. ბ-სთან ერთად ცხოვრობს ქალაქ ა-ში. მ. ბ-სი არის მისი მეუღლის ძმა. მ. ბ-მა პენიტენციური დაწესებულება შემთხვევამდე და-ახლოებით 5 თვით ადრე დატოვა, რის შემდეგაც ცხოვრობდნენ ერ-თად, მათ შორის, სარგებლობდნენ საერთო საოჯახო ნივთებით. დაზა-რალებულმა განმარტა, რომ მ. ბ-სი ფხიზელი არის ძალიან კარგი ადამი-ანი და მასთან პრობლემა არ აქვს. პრობლემები იწყება ალკოჰოლური სასმელის მიღების შედეგად. შემთხვევის დღეს, 2023 წლის 23 თებერ-ვალს, სამასახურიდან სახლში დაახლოებით 17:00 საათზე დაბრუნდა. სახლში, ასევე დაბრუნდა მ. ბ-ც, რომელსაც არყის სუნი ასდიოდა და ბარბაცით დადიოდა. დაახლოებით 19:00 საათზე, მ. ბ-ი ოთახიდან გა-მოვიდა და დაინტყო გინება მათი მისამართით. სახლში ის და მისი არას-რულწლოვანი შეილიშვილი – ა-ი იყვნენ. მან მოუწოდა მსჯავრდებულს დაწყნარებულიყო, მაგრამ უშედეგოდ, იგი კვლავ აგრძელებდა ყვირილს და გინებას. მან დაურეკა ა. ბ-ს, რომელსაც დასახმარებლად მასთან მისვლა სთხოვა, ვინა-ნ მ. ბ-ი იყო ნასვამი და არაადეკვატურად იქცეო-და. მალევე ა. ბ-სი და დედამისი ა. ბ-ი მივიღენ მათთან. მათ მისვლამ-დე მ. ბ-ი სახლიდან გავიდა. ა. ბ-ი მალევე წავიდა, ხოლო მათთან სახ-ლში დარჩა ა. ბ-ი. დაახლოებით 20:00 საათზე, მ. ბ-ი სახლში დაბრუნდა, რომელმაც კვლავ დაინტყო გინება მისი მისამართით და ეუბნებდა, რომ მოიტანდა ბენზინს, პირში ჩასახადა და დაწვავდა. რის შემდეგაც, მსჯავრდებულმა სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე დატოვებული პლას-ტმასის ბოთლი აიღო და გავიდა სახლიდან. დაახლოებით ათ წუთში მ. ბ-ი დაბრუნდა სახლში, მას ხელში ეჭირა პლასტმასის ბოთლი, რომელსაც თავსახური არ ეკეთა, მიუახლოვდა და უთხრა ბავშვი გაეყვანა, რად-გან მისთვის უნდა დაესხა და დაეწვა. მ. ბ-მა მას თავზე დაასხა ნავ-თობპროდუქტი, მან ხელი აუქნია და ნავთობპროდუქტი დაიღვარა ია-ტაკზე და ხალიჩაზე. ა. ბ-ი ცდილობდა მ. ბ-ს შეჩერებას, რა დორსაც მასაც მიესხა ნავთობპროდუქტი. რაღაცნაირად მოახერხა და მ. ბ-ს ხე-ლიდან გამოსტაცა ბოთლი და გაიქცა. ბოთლი ღობის ძირას, თოვლზე დააგდო. ამის შემდეგ, დახმარების სათხოვნელად, ს-სთან წავიდა. სარ-კისი სასწრაფოდ წავიდა მათი ბინის მიმართულებით, საიდანაც დაბ-რუნდა დაახლოებით ათ წუთში და უთხრა, რომ მ. ბ-ი სახლიდან იყო ნასული. დაზარალებული დაბრუნდა თავის სახლში, სადაც იმყოფებოდ-ნენ მისი მცირებულოვანი შვილიშვილი და ა. ბ-ი. ა. მ დაურეკა დედამისის – ა. ბ-ს, რომელიც კვლავ მივიდა მათთან, სახლში ასევე მივიღენ მისი

მეუღლე მ. ბ-ი და ფ. ბ-ი, რომლებსაც მოუყვა მომხდარის შესახებ. დარეკა „112-ში“ და აცნობა მომხდარის შესახებ, რის შემდეგაც მათთან სახლში მალევე მივიდა პოლიცია.

5.6. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აფასებს დაზარალებულის ჩვენებას და განმარტავს, რომ მან დეტალურად აღწერა მის მიმართ მსჯავრდებულის მხრიდან განხორციელებული ქმედებები, ისაუბრა მსჯავრდებულის მხრიდან თავდაპირველად სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, შემდგომ ბენზინით დაწვის მუქარაზე, მ. ბ-ს მოთხოვნაზე ოთახიდან გაეყვანა ბავშვი, ვინაიდან აპირებდა მის დაწვას და მ. ბ-ს მიერ ბენზინის შესხმის ფაქტზე. დაზარალებულმა ერთმნიშვნელოვნად და კატეგორიულად განმარტა, რომ მსჯავრდებულმა ლია პლასტმასის ბოთლიდან შეძლო და მიასხა ბენზინი, რაც გაშველების პროცესში ასევე შეესხა მის დასახმარებლად მისულა. ბ-ს. მან მოახერხა და გამოიქცა სახლიდან. საგულისხმოა, ისიც რომ დაზარალებულმა მ. ბ-ი დაახასიათა დადებითად და მიუთითა, რომ პრობლემები მხოლოდ მას შემდეგ იწყება ოჯახში, რაც მსჯავრდებული მოიხმარს ალკოჰოლურ სასმელს.

5.7. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები იქნა დადასტურებული ფაქტის თვითმხილველი მოწმისა. ბ-ს ჩვენებით, რომელმაც დაადასტურა ჯერ ა. ბ-სა და მ. ბ-ს შორის მომხდარი სიტყვიერი შეკამათება, ხოლო მოგვიანებით მ. ბ-ს მიერ ა. ბ-სათვის ბენზინის შესხმის ფაქტი.

5.8. მოწმის სახით დაკითხული ფ. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მ. ბ-სი არის ბიძამისი, რომელიც მასთან, დედამისთან – ა. ბ-სთან, მამამისთან – მ. ბ-თან, მეუღლესთან – ს. მ-თან და მათ არასრულწლოვან შვითან – ა-თან ერთად ცხოვრობს, ქალაქ ა-ში. მოწმის განმარტებით, უშუალოდ შემთხვევის დროს შინ არ იმყოფებოდა, თუმცა 2023 წლის 23 თებერვალს, დაახლოებით 17:00 საათზე, როდესაც სახლში დაბრუნდა მ. ბ-ი, იყო სახლში. მსჯავრდებული იყო მთვრალი, ბარბაცით დადიოდა და შევიდა თავის ოთახში დასაძინებლად. მოგვიანებით ის მამასთან, მ. ბ-თან ერთად წავიდა სოფელ ო-ი, საიდანაც დაბრუნდნენ დაახლოებით 21:20 საათზე, სახლში შესვლისას იგრძნო ბენზინის მაფრი სუნი. დედამისია. ბ-ი იყო ძალიან შეშინებული, ეტყობოდა რომ ნამტირალევი იყო. დედისგან შეიტყო, რომ როდესაც ისინი სახლიდან წასულან მ. ბ-ს ა-სთვის თავზე დაუსხამს ბენზინი. მოწმის განმარტებით ბენზინის სუნი ასდიოდა ა. ბ-საც.

5.9. საკასაციო პალატა საქმეში არსებულ სადავო/უდავო მტკიცებულებებს, აფასებს უტყუარობის თვალსაზრისით, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად. კონკრეტული მტკიცებულებები შესაძლოა დამოუკიდებლად წაკლებინთვორმატიული იყოს, თუმცა სხვა მტკიცებულებ(ებ)ასთან ერთობლიობაში წარმოადგენდეს იმ დამაკავშირე-

**ბელრგოლს, რომელიც საბოლოოდ, ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს განვითარებულ მოვლენებთან მიმართებით.**

**5.10. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ დაზარალებულ ა. ბ-ს ჩვენება დასტურდება ფაქტის თვითმხილველი მოწმის – ა. ბ-ს ჩვენებით, ამასთან იგი სრულად თანხვდება – ფ. ბ-ის მიერ სასამართლოში გაკეთებულ განმარტებებს, უდავოდ ცნობილი ს-ის გამოკითხვის ოქმსა და საქმეში არსებულ წერილობით მტკიცებულებებს, მათ შორის ქიმიური ექსპერტიზის დასკვნასა და ექსპერტ ლ-ს ჩვენებას.**

**5.11. მოცემულ შემთხვევაში ფაქტის უშუალო თვითმხილველი მხოლოდ დაზარალებული არაა და მისი ჩვენება წინააღმდეგობაში არ მოდის ა. ბ-ის ჩვენებასთან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაზარალებული და მსჯავრდებული ფაქტის თვითმხილველი მოწმის – ა. ბ-ის ნათესავები არიან, შესაბამისად, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე არ იყვეთება რაიმე საეჭვო გარემოებები, რაც მიანიშნებს დაზარალებულისა და ა. ბ-ის მიკერძოებაზე და პირად დაინტერესებაზე მსჯავრდებულის საწინააღმდეგოდ. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დაზარალებული მსჯავრდებულს დადებით პიროვნებად ახასიათებს.**

**5.12. მ. ბ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს შორის საგულისხმოა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, რომელშიც მითითებულია, რომ უთავსახურო პლასტმასის ბოთლი, მოყვითალო ფერის სითხით ამოღებული იქნა ეზოსთან, ასფალტიანი გზის მხარეს, ღობიდან გზის მიმართულებით 0,2 მეტრში, სწორედ ამ ბოთლზე მიუთითა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე ა. ბ-მა და განმარტა, რომ ინციდენტის დროს, ა. ბ-სმა მ. ბ-ს ხელიდან წართვა აღნიშნული ბოთლი და გაიქცა გარეთ. ბოთლი ამოღებული და დალუქული იქნა კანონით დადგენილი წესით. ამასთან, მოწმე – ვ. ხ-ის ჩვენებითა და ვიდეო კამერების ჩანაწერებით ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ა... არსებულ შპს „რ-ს“ ავტოგასამართ სადგურზე, დანაშაულის ჩადენის დღეს, დაახლოებით 20:00 საათზე, მ. ბ-მა პლასტმასის ბოთლით შეიძინა ბენზინი.**

**5.13. ქიმიური ექსპერტიზის №.... დასკვნითა და ექსპერტ ლ-ს ჩვენებით კი, უტყუარად იქნა დადასტურებული, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი პოლიეთოლენის ბოთლში არსებული სითხე წარმოადგენს ნავთობპროდუქტს, კერძოდ, ბენზინს. მართალია ექსპერტიზაზე წარდგენილი ა.. და ა. ბ-ის ტანსაცმელზე, ხალიჩაზე და ანაწმენდზე არ დაფიქსირდა ნავთობპროდუქტის კვალი, თუმცა ექსპერტიზის კვლევით ნაწილში არსებული შენიშვნისა და თავად ექსპერტის ჩვენებითაც დასტურებულია, რომ საგანმატარებელზე მოხვედრისას დროის ან ტემპერატურის ზეგავლენით ნავთობპროდუქტი იცვლის თავის პირვანდელ**

სახეს, ან სრულიად გარდაიქმნება. შესაბამისად, ექსპერტმა არც გა-  
მორიცხა და არც უარყო, რომ შესაძლოა საკვლევ საგანზე ყოფილიყო  
ბენზინის კვალი.

5.14. მსჯავრდებულის ბრალეულობის დამადასტურებლად, ასევე  
მნიშვნელოვანია მხარეების მიერ უდავოდ ცნობილი ს-ის გამოკითხვის  
ოქმი, რომელიც მართალია ფაქტის თვითმხილველი მოწმე არ არის, თუმ-  
ცა მომხდარის შემდეგ დაზარალებულთან უშუალო შემხებლობა ჰქონ-  
და, რომელმაც უამბო თავს გადამხდარი მოვლენები.

5.15. მოწმე ს. ა-ის გამოკითხვის ოქმით დადგენილია, რომ ცხოვ-  
რობს ა..., ნ-ში. მის მეზობლად ცხოვრობს მ. ბ-ის ოჯახი. 2023 წლის 23  
თებერვალს, დაახლოებით 20:00 საათზე, იყოფებოდა სახლში, რა დრო-  
საც მასთან მივიდა მეზობელი, ა. ბ-ი, რომელიც იყო შეშინებული, სტრე-  
სულ მდგომარეობაში და ნერვიულობდა. როდესაც ჰკითხა რა ხდებო-  
და, ა. ბ-მა უპასუხა, რომ მ. ბ-ი არის მთვრალი, ხელში ჰქონდა ბენზინი  
და აპირებდა მისი და სახლის დაწვას. მას ბოთლი წაურთმევია და გაქ-  
ცეულა. იგი შეეცადა მის დახმარებას, გადავიდა მის სახლში და ნახა,  
რომ მ. ბ-ი აღარ იყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, რის შემდეგაც ა.  
ბ-ი დაბრუნდა თავის სახლში.

5.14. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დამოუკიდებლად  
ალებული ზემოხსენებული გამოკითხვის ოქმით შეუძლებელია იმის და-  
დასტურება, რომ მსჯავრადშერაცხილი დანაშაული მ. ბ-მა ჩაიდინა, ვი-  
ნაიდან ს. ა-ი ფაქტის თვითმხილველი მოწმე არ ყოფილა. ამასთან და-  
უშვებელია გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნოს მხოლოდ ირიდ ჩვე-  
ნებებს, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა სასამართლო მიუთითებს,  
რომ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში აღნიშნული მტკიცებუ-  
ლების გამოყენება და შეფასება მომხდარი ფაქტიდან მალევე დაზარა-  
ლებულის მთაბეჭდილების გაზიარების თვალსაზრისით და სხვა მოწ-  
მეთა ჩვენებების სანდობის და თანხვედრილობის შემოწმების მხრივ,  
სავსებით შესაძლებელია და არ უგულებელყოფს გონივრულ ეჭვს მიღ-  
მა სტანდარტს.

5.16. ამდენად, საკასაციო პალატის დასკვნით, საქმეში არსებული  
პირდაპირი და სხვა მტკიცებულებების ერთობლიობის გათვალისწინე-  
ბით, სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებები, რომ-  
ლებიც დაკავშირებულია მსჯავრდებულ მ. ბ-ს ქმედებებთან – დადგე-  
ნილია სწორად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით.

5.17. საკასაციო სასამართლო, ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხა-  
რის მიერ საკასაციო საჩივარში ასახულ გარემოებებს, მტკიცებულე-  
ბებს შორის არსებულ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით. საკასაციო  
პალატა კვლავაც მიუთითებს, რომ ყველა მოწმის ჩვენება ზუსტად  
იდენტური ვერ იქნება, მთავარია მოწმეთა ჩვენებებს შორის საქმის

ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ არსებობდეს არსებითი ხასიათის წინააღმდევობები.

5.18. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩინია, რომ ა. ბ-სა და ა. ბ-ს ჩვენებები არის თანმიმდევრული და მათ ჩვენებებში არსებითი ხასიათის წინააღმდევობები არ იკვეთება. მათ დეტალურად და თან-მიმდევრულად მიუთითეს შემთხვევის ადგილზე მოვლენების განვი-თარების შესახებ. პალატა აღნიშნავს, რომ ა. ბ-მა და ა. ბ-მა ერთმინიშ-ვნელოვნად დაადასტურეს მ. ბ-ს მიერ ა. ბ-სათვის ბენზინის შესხმის, ა. ბ-ს მხრიდან მსჯავრდებულის შეჩერების მცდელობისა და ა. ბ-ს შემ-თხვევის ადგილიდან გაქცევის ფაქტები. ამასთან, სასამართლო აღნიშ-ნავს, რომ მცირე წინააღმდევობები, რომლებიც დაფიქსირდა მოწმეთა ჩვენებებს შორის ვერ იქნება მიჩნეული არსებითი ხასიათის წინააღ-მდევობებად.

5.19. საკასაციო სასამართლო, ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხა-რის პოზიციას მსჯავრდებულის უდანაშაულობის თაობაზე, ვინაიდან ნავთობროდუქტის კვალი არ აღმოჩნდა იატაკიდან და ტანსაცმლიდან აღებულ ანაწმენდებზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონ-კრეტულ საგნებზე კვალის დარჩენა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორ-ზე, მათ შორის გარემო პირობებზე და სხვა გარემოებზე. განსახილ-ველ შემთხვევაში ნავთობროდუქტის კვალის დარჩენასთან დაკავში-რებით, ექსპერტმა ცალსახად განმარტა, რომ ნავთობპროდუქტი სა-განმატარებელზე მოხვედრისას დროის ან ტემპერატურის ზეგავლე-ნით იცვლის თავის პირვანდელ სახეს, ან სრულიად გარდაიქმნება, შე-საბამისად, კვალის აღმოუჩენლობა აპრიორი მსჯავრდებულის უდანა-შეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ იქნება განხილუ-ლი.

5.20. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს დაცვის მხარის პო-ზიციას, რომ მსჯავრდებულს ა. ბ-ს მოკვლის განზრახვა არ ამოძრა-ვებდა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სის-ხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია დამამდიმებელ გარემოებებში განზრა-სი მკვლელობისათვის. ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილე-ბელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ ქმედებასა და დამ-დგარ შედეგს შორის. რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, იგი მრავალ-ფეროვანია და შესაძლებელია აღმოცენდეს მაგალითად: შურისძიების, ეჭვიანობის, შელაპარაკების ნიადაგზე. ამავე მუხლის „კ“ და „მ“ ქვე-პუნქტების თანახმად, დამამდიმებელ გარემოებას წარმოადგენს ამ ქმედების ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ და განსაკუთრებული სისას-ტიკით. ამასთან, ვინაიდან სახეზეა მატერიალური კატეგორიის განზრა-სი დანაშაულის შემადგენლობა, შესაბამისად, სისხლისსამართლებრი-

ვი პასუხისმგებლობის საფუძველია აგრეთვე ამ დანაშაულის მცდელობაც, რა დროსაც, უნდა დადგინდეს, რომ დამნაშავის ქმედება წარმოადგენდა ადამიანის სიცოცხლის საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობას. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

5.21. პალატა აღნიშნავს, რომ ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის უნდა შეფასდეს ქმედება, მათ შორის, ქმედების ჩადენის ხერხი და საშუალება, დამნაშავისა და დაზარალებულის ქცევა, მათი ურთიერთობა, კონფლიქტის მიზეზი და ა.შ. ვინაიდან განზრახვა წარმოადგენს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანს და ხშირ შემთხვევაში შესაძლოა მსჯავრდებული უარყოფდეს განზრახვის არსებობას. განსახილველ შემთხვევებში, სასამართლომ უნდა შეკაფასოს რამდენად მოიცავდა მ. ბ-ს განზრახვა ა. ბ-ს სიცოცხლის მოსპობას, ხოლო გამოყენებული საშუალება გამოიწვევდა თუ არა განსაკუთრებულ სისასტიკეს, ასევე, ჰქონდა თუ არა მსჯავრდებულს დანაშაულის ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა და როს გამოარ დადგა სასიკვდილო შედეგი.

5.22. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში მომხდარი მოვლენები შესაძლოა დაიყოს ორ ეპიზოდად, პირველი, როდესაც მ. ბ-მა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დაზარალებულს, გამოავლინა განზრახვა და დაემუქრა, რომ მიიტანდა ბენზინს და დაწვავდა და მეორე, როდესაც განზრახვის სისრულეში მოყვანა დაიწყო, კერძოდ: აილო პლასტმასის ბოთლი, დატოვა სახლი, შეიძინა ბენზინი, დაბრუნდა სახლში და შეასხა დაზარალებულ ა. ბ-ს. მართალია, ა. ბ-მა შეძლო და ა. ბ-ს დასხმარებით თავი დააღწია მსჯავრდებულს, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა ამგვარი გარემოებები ვერ შეფასდება მკვლელობის განზრახვის არარსებობად. წინარე მოქმედებები, ნათლად მიუთითებს მ. ბ-ს განზრახვაზე და სურვილზე, რომლის სისრულეში მოსაყვანადაც განახორციელა არაერთი მოქმედება, ხოლო ის გარემოება, რომ შედეგი ვერ იქნა მიყვანილი ბოლომდე განპირობებულია იმით, რომ დაზარალებულმა და ფაქტის თვითმხილველმა მოწმემ - ა. ბ-მა ხელი შეუშალეს მას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ბ-ს მიერ განხორციელებული მოქმედებების ანალიზი, მათ შორის, დანაშაულის ობიექტური ნიშნების გამოვლენამდე და უკვე შემდგომ განხორციელებული მოქმედებები (დაწვით მუქარა, ბენზინის ყიდვა, ბენზინის შესხმა) სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის ნამდვილობაზე მიუთითებს.

5.23. ეჭვის გამომრიცხავი გარემოებაა, რომ ცეცხლის მოკიდების გზით ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობა ობიექტურად ძლიერი ტან-

ჯვის და ტკივილის გამომწვევია, რასაც აცნობიერებს ყველა ნორმა-ლური განვითარების ადამიანი. ანალოგიურად განსაკუთრებული ტკივილის და არანაკლები ტანჯვის გამომწვევია გაცნობიერება იმისა, რომ ბენზინის შესხმით და ცეცხლის ნაკიდებით ცდილობდა ადამიანი სიცოცხლის მოსპობას. ამ ფაქტობრივი გარემოების ფონზე, მ. ბ-სის მხრიდან, სახეზეა სისასტიკის მომეტებული ხარისხი, რაც ობიექტურად განსაკუთრებულ სისასტიკედ უნდა შეფასდეს.

5.24. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133<sup>1</sup>, 133<sup>2</sup>, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144<sup>3</sup>, 149-ე-151<sup>1</sup>, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255<sup>1</sup>, 381<sup>1</sup> და 381<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით. სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup> მუხლის შენიშვნა კი განსაზღვრავს ოჯახის წევრის ვინაობას და ადგენს, რომ ამ კოდექსის მიზნებისათვის, ოჯახის წევრად, აგრეთვე ითვლებიან პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ა. ბ-ი და მ. ბ-ი არიან რძალ-მაზლი, კერძოდ: დაზარალებული მსჯავრდებულის ძმის ცოლია, რომლებიც ცხოვრობენ ერთად და ეწევიან საერთო საოჯახო მეურნეობას, მათ შორის, იყენებენ საერთო საყოფაცხოვრებო საგნებსა და ნივთებს, შესაბამისად სახეზეა ბრალად წარდგენილი ქმედების ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანიც, როგორიცაა – ქმედების ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ.

5.25. ამდენად, საქასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში ასახულ გარემოებებს, ასევე, დაცვის მხარის მოთხოვნას მ. ბ-სის განზრას მკვლელობის მცდელობის ეპიზოდში უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტები დადგენილია სწორად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით და მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ ქმედებებს მიეცა ზუსტი სამართლებრივი შეფასება.

5.26. რაც შეეხება, საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით მ. ბ-ს მსჯავრდების ნაწილს – აღნიშნული სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოადგენს, ამასთან, დადასტურებულია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მტკიცებულებებით, კერძოდ: ახალქალაქის რაიონული სასამართლოს, 2021 წლის 3 დეკემბრის განაჩენით (მ. ბ-ი მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის

„ა“ და ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის), ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩერეკის ოქმითა (მ. ბ-სგან ამოღებული იქნა დასაკუცი დანა) და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით (ამოღებული დანა მიეკუთვნება მჩხვლეტავი – მჭრელი ტიპის ცივ იარაღთა კატეგორიას). ამდენად, სახეზეა საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ყველა ნიშანი – განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

## 6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა ვლინდება სამართლიანი სასჯელის დაკისრებაში, რა დროსაც სასამართლო შებოჭილი ვალდებულებით მის მიერ დანიშნული სასჯელი იყოს ეფექტური და პროპორციული. სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მის გამოყენებას მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამზადვის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პირვენებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს, ასევე საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამზადეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

6.3. სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნები, სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამზადვის რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლის გრძნობით.

6.4. ამასთან, სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებე-

ბი, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გა-  
მოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხა-  
სიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსა-  
წინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკო-  
ნომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

6.5. საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნ-  
ქტებით გათვალისწინებული ქმედება, რომლითაც მსჯავრი უნდა დაე-  
დოს მ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების  
აღკვეთას ვადით თექვებეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლე-  
ბის აღკვეთას, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან  
უამისოდ, ხოლო საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი –  
ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხ წლამდე.

6.6. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამარ-  
თლომ სრულად შეაფასა მ. ბ-სის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებე-  
ლი და დამამძიმებელი გარემოებები, გაითვალისწინა ჩადენილი დანა-  
შაულის მოტივი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნე-  
ბა, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციე-  
ლების სახე და ხერხი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკო-  
ნომიკური პირობები და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე, 67-ე და 59-  
ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მ. ბ-ს მსჯავრადშერაც-  
ხილი დანაშაულების ჩადენისთვის ძრითად სასჯელებად განუსაზღვრა  
შესაბამისი მუხლის ნაწილის სანქციით გათვალისწინებული – თავისუფ-  
ლების აღკვეთა, რაც სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის  
39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელე-  
ბას.

6.7. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს  
გადაწყვეტილებას საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით  
დამატებით სასჯელის სახით დანიშნული იარაღთან დაკავშირებული  
უფლებების შეზღუდვის თაობაზე, ასევე დანაშაულთა და განაჩენთა  
ერთობლიობით სასჯელთა განსაზღვრის წესს, შემდეგ გარემოებათა  
გამო:

6.8. სააპელაციო სასამართლომ მ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე  
მუხლის მე-2 ნაწილით, ისევე როგორც საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-  
ე მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების დროს, დამატებით  
სასჯელად დაუნიშნა იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდ-  
ვა.

6.9. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის  
41-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იარაღთან დაკავშირებული  
უფლებების შეზღუდვა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სას-  
ჯელად, ხოლო საქართველოს სსკ-ის 52<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის თა-

ნახმად, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არის გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით. საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც ასევე მსჯავრი დაედო მ. ბ-ს სასჯელის სახედ არ ითვალისწინებს იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვას. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 52<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის იმპერატიული დანაწესის თანახმად, სასამართლომ იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა დამატებით სასჯელად უნდა გამოიყენოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი კონკრეტული დანაშაული-სათვის სასჯელად არის განსაზღვრული.

6.10. ასევე საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება ანალოგის წესით განსაზღვროს სასჯელი, ვინაიდან სასჯელის სახედ ზომა პირდაპირ, მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს კანონში განსაზღვრული. სისხლის სამართალში აღიარებული პრინციპი „nulla poena sine lege“ (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე) განმტკიცებულია საქართველოს სსკ-ის პირველივე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და ანერებებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის სამართლებრივ ღონისძიებას.“

6.11. ამდენად, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას მ. ბ-სის მიმართ საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის შემსუბუქების შესახებ.

6.12. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მართალია, საქართველოს სსკ-ის 59<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი დანაშაულთა ერთობლიობის დროს იძლევა სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების შესაძლებლობას, თუმცა, საპელაციო სასამართლოს განაჩენიდან არ იკვეთება, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას, მოსამართლემ სასჯელის ნაწილობრივი შეკრების პრინციპით იხელმძღვანელა. აშკარაა, რომ ძირითად სასჯელთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის წესი, ხოლო დამატებით სასჯელთან მიმართებით – შეკრების.

6.13. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 59<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილი დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა დანიშვნის წესი მიემართება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელებს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ოქტომბერი 642აპ-21 განაჩენი). შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ ხელ-

მძღვანელობს სასჯელთა ნაწილობრივ ან სრულად შეკრების წესით და მიზანშეწონილად მიიჩნევს სასჯელთა შთანქთქმის პრინციპის გამოყენებას, ეს უკანასკნელი უნდა გაავრცელოს როგორც ძირითადი, ისე – დამატებითი სასჯელის მიმართ.

6.14. ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, მ. ბ-სთვის საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა ძირითადმა და დამატებითმა სასჯელმა – 17 წლით თავისუფლების აღკვეთამ და 2 წლით იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვამ უნდა შთანთქას, საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ასევე, ვინაიდან მ. ბ-ს მიერ მისთვის მსჯავრადშერაცხილი განზრახი დანაშაულები ჩადენილი იქნა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უნდა გაუქმდეს მის მიმართ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 3 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სასჯელი უნდა დაენიშნოს ამ კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით. კერძოდ, სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს მიიჩნევს, რომ მ. ბ-ს საბოლოო სასჯელი უნდა დაენიშნოს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპის გათვალისწინებით, რა დროსაც ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ უნდა დაემატოს ნინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6.15. ამასთან, ვინაიდან მ. ბ-მა მსჯავრადშერაცხილი დანაშაულები ჩაიდინა 2024 წლის 1 ივლისამდე და საბოლოო სასჯელი უნდა განეხსაზღვროს განაჩენთა ერთობლიობით, ნაწილობრივ შეკრების პრინციპის გათვალისწინებით, მის მიმართ ნინა განაჩენით დანიშნულ სასჯელზე უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი.

6.16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლითა და საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლით (გარდა ნაკავთიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარებისა) გათვალისწინებულ დანაშაულებზე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა ამ მუხლის პირველი პუნქტით ან/და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დანაშაულის მომზადება ან მცდელობა.

6.17. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სისხლისსამარ-

თლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უნდა გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენის-თვის ნასამართლობის აღმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

6.18. მოცემულ შემთხვევაში, მართალია მ. ბ-სათვის, ამ განაჩენით მსჯავრადშერაცხილ დანაშაულებზე არ ვრცელდება „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, თუმცა ვინაიდან, მ. ბ-ს საბოლოო სასჯელი უნდა დაენიშნოს, განაჩენითა ერთობლიობით, რა დროსაც ბოლო განაჩენს ნაწილობრივ უნდა დაემატოს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 3 დეკემბრის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 1 წელი, რომელზეც უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება და დამატებული სასჯელი უნდა შეუმცირდეს 1/6-ით.

6.19. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია მ. ბ-ს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 3 დეკემბრის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, თუმცა ვინაიდან მისთვის მსჯავრად შერაცხილი კვალიფიკაცია მოიაზრებს ქურდობის ჩადენას, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით) და დანიშნული აქვს ერთიანი სასჯელი, შესაბამისად მასზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი-მე-3 მუხლების მოქმედება ვერ გავრცელდება. თუმცა სახეზე „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული

შეღავათის გამოყენების წინაპირობა, კერძოდ: „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **დ ა ბ დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. ბ-სის ინტერესების დამცველი ადვოკატის ვ. ბ-სა საკასაციო საჩივარი და კმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 ივნისის განაჩენში;

3. მ. ბ-სი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, დამატებით სასჯელად 2 წლით შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები;

საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 19, 109-ე მუხლის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქეას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, მ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე, დამატებით სასჯელად 2 წლით შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები;

5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 3 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი;

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს ახალქა-

ლაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 3 დეკემბრის განაჩენით დაწინაურებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 თვით;

7. განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ, მ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 17 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, მასვე, დამატებით სასჯელად 2 წლით შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები;

8. მ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალის დაკავებიდან – 2023 წლის 23 თებერვლიდან;

9. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ. ბ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმებულია;

10. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ:

დასაკეცი დანა, სანთებელა, პოლიტილენის ბოთლი მოყვითალო ფერის სითხით და ამოღებული ანანძენდები – განადგურდეს;

მოწითალო ფერის ხალიჩა, ტანსაცმელი, ასევე მ. ბ-ს პირადი ჩერეკისას ამოღებული ცხვირსახოცი, გატეხილი სათვალე, კრიალოსანი, ბრალდებულის პირადობის მოწმობა, სიგარეტი და „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი – დაუბრუნდეთ კანონიერ მფლობელებს ან მათი ნდობით აღჭურვილ პირს;

დისკები – შენახულ იქნეს სს საქმის სენახვის ვადით;

11. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

12. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განხილვას მართველობა წინასწარი შეცდობით შეზღუდული  
შესაძლებლობების მქონე ოპარატის წევრის მიმართ**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№1167აპ-24

24 თებერვალი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატა შემადგენლობა:**  
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),  
ლ. თევზაძე,  
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენზე მსჯავრდებულ ბ. შ-ს ინტერესების დამცველის, ადგომის 6-ს საკასაციო საჩივარი.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქართველოს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 მაისის განაჩენით ბ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 109-ე მუხლის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 (თვრამეტი) წლით.

ბ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ბ. შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 (თვრამეტი) წლით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულ ბ. შ-ს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის – 18 (თვრამეტი) წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდა – განესაზღვრა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (...) მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც, მსჯავ-

რდებულმა სასჯელის მოხდა უნდა გააგრძელოს საერთო წესით.

გაუქმდა ხ. შ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე – პატიმრობა.

ხ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2023 წლის 10 დეკემბრიდან.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი: სუნის კვალის ნიმუშები, ხელის ფრჩხილების ნიმუშები, ხელის მტკიცებიდან და სახიდან აღებული ანაწმენდები, ნერწყვის ნიმუში, ხელის კვლის ნიმუშები, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული სამედიცინო მედიკამენტების 4 ცალი ფირფიტა, მოწითალო ფერის ლაქებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული პურის 1 ცალი ნატეხი მოწითალო ფერის ლაქებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული 2 ცალი დანა მოწითალო ფერის ლაქებით, შემთხვევის ადგილზე ამოღებული ჭიქიდან გადატანილი სითხე, შაქარი და ჩაის ფერი, 28 ცალი სიგარეტის ნამწვი, მოწითალო ფერის ლაქის ანაწმენდი 8 ცალ სტერილურ ჩხირზე, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ანაწმენდები 11 ნიმუშად 22 ცალ სტერილურ ჩხირზე, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული რკინის 1 ცალი კარკასი მოწითალო ფერის ლაქებით, მცირე ზომის 1 ცალი ქილა სითხით, მოწითალო ფერის ლაქებით, ჯ. შ-ს სისხლის ნიმუში, ფრჩხილების ნიმუში, ნაცხის ნიმუში და ანაწმენდები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს.

გვამიდან აღებული ხელის კვლები დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული 1 ცალი ხალათი, 1 ცალი თუთუნის სატენი მოწყობილობა, 1 ცალი ქალალდის ფურცელი წარწერით – „ნეოგენი“, 2 ცალი რეზინის ჩუსტი მოწითალო ფერის ლაქებით, 2 ცალი ჭიქა, 1 ცალი კოვზი, 1 ცალი მობილური ტელეფონი შალითასთან ერთად, გადასაფარებელი მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი ზენარიდა 1 ცალი ე.ნ. „პლედი“, 1 ცალი სანთებელა მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი საფულე ნივთებით და მოწითალო ფერის ლაქებით, ტელევიზორის 1 ცალი პულტი მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი ფეხსაცმლის ე.ნ. „მაშველი მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი შალითა ნივთებით მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი პლასტიკური ბარათი მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი პირსახოცი მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი ბალიშის პირი მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი საბის პირი მოწითალო ფერის ლაქებით, 1 ცალი პლედი მოწითალო ფერის ლაქებით, ხ. შ-ს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი და ჯ. შ-ს ტანსაცმელი საქ-

მეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს მათ მფლობელებს, ან მათი ნდობით აღჭურვილ პირებს ან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს.

2. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხ. შ-მ ჩაიდინა: განზრას მკვლელობა, დამამძიმებელ გარემოებებში – წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ოჯახის წევრის მიმართ; სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

ხ. შ. იყო ჯ. შ-ს ბიძა, ისინი ერთად ცხოვრობდნენ და ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ამასთან, ჯ. შ-ს 2016 წლის 19 აპრილიდან მინიჭებული ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. 2023 წლის 9 დეკემბრის, ლამის, დაახლოებით 23:00 საათიდან – 10 დეკემბერს ლამის, დაახლოებით 01:00 საათამდე პერიოდში ...., ხ. შ-მ განზრას მოკვლის მიზნით, დანის გამოყენებით ჭრილობები მიაყენა ძმისშვილს – ჯ. შ-ს, რომელიც მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. ხმაურზე ეზოში შევიდა ხ. შ-ს მეზობელი – გ. გ., რომელმაც შეიხედა შ-ების სახლში და ოთახში დაინახა ჯ. შ., რომელიც იყო ჩაკეცილი, ხოლო მის გარშემოიდგა სისხლის გუბე. დასახმარებლად გ. გ-მა სცადა ხ. შ-ს სახლში შესვლა, მაგრამ ხ-მ, რომელსაც ხელში დანა ეჭირა, დაუყვირა, „არ შემოხვიდე, თორემ შენც იგივეს დაგმართებო“. გ. გ-მ მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გასასაჩივრა მსჯავრდებულ ხ. შ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ნ-მ. დაცვის მხარემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულ ხ. შ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატ-

მაი. ნ-მ. დაცვის მხარე საკასაციო საჩივრით მოითხოვს გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, შემდეგი ძირითადი არგუმენტებით: განაჩენი ემყარება დაინტერესებული და მიკერძოებული პირების – დაზარალებულ გ. გ-სა და მისი მეუღლის – მ. პ-ს ჩვენებებს, რომლებიც ენინაალმდეგება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც, არ უნდა იქნეს გაზიარებული; დაცვის მხარის მოსაზრებით, ხ. ჟ-ს მიერ ჯ. შ-სათვის ჭრილობების მიყენება განპირობებული იყო აუცილებელი მოგერიებით, ვინაიდან, აწგარდაცვლილმა, კონფლიქტისას მას ფიზიკური დაზიანება მიაყენა; შესაბამისად, თავდაცვის ერთადერთი საშუალება იყო, თავადაც მიეყენებინა დაზიანება ჯ. შ-სათვის; რაც შექება მუქარის ბრალდების ეპიზოდს, განაჩენი ამ ნაწილშიც ემყარება მხოლოდ დაინტერესებული მოწმეების – დაზარალებულ გ. გ-სა და მისი მეუღლის, მ. პ-ს ჩვენებებს.

6. თბილისის პროკურატურის პროკურორი ლევან ვეფხვაძე საკასაციო საჩივრის შესაგებლით მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვებას, ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის კრიტიკიუმებს.

### სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომეს. შ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 109-ე მუხლის „ე“, „კ“ ქვეპუნქტებითა და 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანამაულების ჩადენა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, დადასტურებულია ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ გ. გ-ს ჩვენებით, მოწმეების: მ. პ-ს, შ. ტ-ს, ნ. მ-ს, ღ-ს, გ-ს, ჯ. შ-ს, ა. უ-ს, გ. ღ-ს, დ. გ-სა და სხვათა ჩვენებებით, დანამაულის შესახებ შეტყობინებებით, საცხოვრებელი სახლის დათვალიერების ოქმით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის პაციენტის სამედიცინო ბარათებით, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ხ. ჟ-სა და ჯ. შ-ს მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერითა და მათი ოქმებით, ხ. შ-სგან ტანსაცმლის ამოღების ოქმით, გარდაცვლილ ჯ. შ-ს ტანსაცმლისა და ბიოლოგიური ნიმუშების ამოღების ოქ-

მით, ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმით, ოდოროლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით, ხ. შ-ს მიმართ ჩატარებული სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით, ჯ. შ-ს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის №.... დასკვნითა და მისი გამცემი ექსპერტის ჩვენებით, ქიმიური ექსპერტიზის №.... დასკვნით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნით, ფარული ჩანაწერითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

3. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ მსჯავრდებულ ხ. შ-ს ნამდვილად სურდა ჯ. შ-ს მოკვლა. ამას ადასტურებს შემთხვევის ადგილზე მისული, დაზარალებულ გ. გ-სა და მოწმე მ. პ-ს ჩვენებები, რომლებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ მსჯავრდებულის ხელში შემთხვევის ადგილზე დაინახეს დანა, ხოლო სახლის ოთახში – მოკეცილ მდგომარეობაში მყოფი ჯ. შ., მის გარშემო კი – სისხლის გუბე. როდესაც გ. გ. შეეცადა ოთახში შესვლასა და ჯ. შ-ს დახმარებას, მსჯავრდებული მას დაემუქრა, „არ შემოხვიდე, თორემ შენც იგვივეს დაგმართებო“. მოწმეთა ჩვენებებით ასევე დგინდება, რომ მსჯავრდებულსა და ჯ. შ-ს ბოლო პერიოდში ჰქონდათ დაძაბული ურთიერთობა და მათი სახლიდან ხშირად ისმოდა კამათის ხმები. ხ. შ. აგრესიული იყო ჯ. შ-ს მიმართ. მოწმე მ. პ. დამატებით განმარტავს, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს, შემთხვევამდე, გაიგონა ხ. შ-ს დაყვირება – „მოგვლავ“, რის შემდეგაც, მან დაუყოვნებლივ დარეკა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში, ოპერატორს აუხსნა სიტუაცია და ითხოვა საპატრულო პოლიციის მისვლა. შემდეგ დარეკა ჯ. შ-თან, რათა ეკითხა, დახმარება ხომ არ სჭირდებოდა. მ. პ. ასევე უთითებს, რომ შემთხვევის დროს, აივანზე გასულმა, დაინახა ხ. რომელსაც ხელში დანა ეჭირა, რის შემდეგ, მოწმე ეზოში ჩავიდა და გაბრაზებულმა დაუყვირა ხ-ს, რა აყვირებდა. მან კი უპასუხა „ – მოდი, მოდი ნახე ეს, დანა ჩაგარტყი და მოვკალი“. მ. პ-ს ძალიან შეეშინდა, ავიდა სახლში, დაუძახა მეუღლეს – გ. გ-ს. ისიც მალევე ადგა და ჩავიდა ეზოში, თავად კი ისევ დარეკა 112-ში. შემდეგ ორივენი ერთად მივიღნენ ხ-ს სახლის ეზოში. მოწმემ ასევე განმარტა, რომ აღნიშნულ ფაქტამდე, ჯ-მ მას მუცელზე ჭრილობა აჩვენა და უთხრა, რომ ეს დაზიანება ხ-მ მიაყენა, მან ბოთლი თუ ჭიქა დაამტვრია და ის გადამისვაო. ამდენად, მსჯავრდებულის განზრახვა, რომ მას ნამდვილად სურდა ჯ. შ-ს მოკვლა, ცალსახად დასტურდება მოწმეთა – გ. გ-ს და მ. პ-ს ჩვენებებით. მან ადგილზე მისული მეზობლები არც კი შეუშვა ოთახში, რათა დახმარებოდნენ დაჭრილს. მოწმეთა ჩვენებებით, უტყუარად დასტურდება, რომ მათი მისვლისას ხ. კვლავ შეიარაღებულია დანით და მოკვლით ემუქრება იმასაც, ვინც ოთახში შესვლას და ჯ-ს დახმარებას

შეეცდება. შესაბამისად, აღნიშნული მტკიცებულებების გაანალიზებითა და ურთიერთშეჯერებით, უტყუარად დასტურდება მსჯავრდებული. შ-ს მიერ დაზიარალებულისათვის დანის გამოყენებით, მისი მოკვლის განზრახვით დაზიანებების მიყენების ფაქტი, რაც სრულად გამორიცხავს დაცვის მხარის ვერსიას, რომ ხ. შ. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა. აღნიშნული არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით, სრულად ენინააღმდეგება მოწმეების – მ. პ-სა და გ. გ-ს ჩვენებებსა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს. ამასთან, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ განიხილა და შეაფასა აუცილებელი მოგერიებისათვის სავალდებულო წინაპირობათა ელემენტები და სავსებით სწორად მიიჩნია, რომ მსჯავრდებული აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.

4. საკასაციო სასამართლოს სააპელაციო პალატის მსგავსად, ასევე დადასტურებულად მიაჩნია ხ. შ-ს მიერ გ. გ-ს მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტიც, კერძოდ: რამდენადაც, შემთხვევის ადგილზე მისული გ. გ., ოთახში ხედავს იატაკზე სისხლის გუბეში ჩამჯდარ, მოკეცილ ჯ. შ-ს, ხოლო ხ. შ-ს ხელში უჭირავს დანა, ხელზე ეტყობა სისხლის კვალი, დანას იქნევს მისი მიმართულებით და ოთახში შესვლის შემთხვევაში, ემუქრება იმავეს დამართებით, – ბუნებრივია, რომ გ. გ. მსჯავრდებულის მუქარას ალიქვამდა რეალურად და გაუჩინდებოდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. მსჯავრდებულის მიერ დაზიარალებულის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტი, გ. გ-ს ჩვენების გარდა, ასევე დადასტურებულია მოწმეების – მ. პ-სა და შ. ტ-ს ჩვენებებითაც.

5. ნიშანდობლივია, რომ დაზიარალებულ გ. გ-სა და მოწმე მ. პ-ს ჩვენებების არ გაზიარების რაიმე საფუძვლი საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია. ისინი წეიტრალური მოწმეები არიან, ხოლო მათი ჩვენებები სანდო, დამაჯერებელი და თანმიმდევრულია, ამასთან, სრულად თანხვდენილია როგორც ერთმანეთთან, ისე – საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მოწმეები არ არიან დაინტერესებული პირები და, ამდენად, მათი მხრიდან ხ. შ-ს მიმართ რაიმე ინტერესი არ იკვეთება.

6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულად მიაჩნია, რომ ხ. შ-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 109-ე მუხლის „ე“, „ე“ ქვეპუნქტებითა და 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

7. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ ხ. შ-ს მიმართ – უნდა აღსრულდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი, კერძოდ:

8. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა, მათ შორის – დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოიყების ორგანოს ან სასამართლოს ნინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია.

9. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება, მათ შორის – იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით.

10. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

11. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბ. შ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით შეფარდებულ სასჯელზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელის განახევრება ვერ გავრცელდება, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი დაზარალებულის თანხმობა. ამასთან, რადგან მსჯავრდებულის მიმართ არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და, ამავდროულად, სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილი ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულ ჩამონათვალში არ ექცევა, მსჯავრდებულის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი – სასჯელის ერთი მეექვსედით შემცირება.

12. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ვინაიდან მსჯავრდებულს საბოლოო სასჯელი განსაზღვრული აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 109-ე მუხლით, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელთა შთანთქმის წესით, ბ. შ-ს მიმართ სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით შეფარდებულ სასჯელზე ამნისტიის გავრცელება გავლენას ვერ მოახდენს საბოლოო სასჯელის ზომაზე.

13. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2024 წლის 7 ოქტომბრის №... წერილი, რომლის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 მაისის განაჩენით მსჯავრდებული ხ. შ. მოთავსებული იყო აღნიშნულ ცენტრში. წერილის ბოლოში, ხ. შ-ს ნაცვლად, მითითებულია, რომ „მ. კ.“ 2024 წლის 7 ივნისს გაწერილ იქნა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან და სასჯელის მოსახდელად გადაყვანილ იქნა შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში. ამდენად, აღნიშნული წერილით დაზუსტებით არ ირკვევა ხ. შ. ამჟამადაც იხდის თუ არა სასჯელს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ხ. შ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატი ი. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, უნდა შეიცვალოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლითა და 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ხ. შ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატი ი. ნ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. შეიცვალოს თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენი:

3. ხ. შ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 109-ე მუხლის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 18 (თვრამეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. ხ. შ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი

პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მექქვედით და განესაზღვროს 10 (ათი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 109-ე მუხლის „ე“ და „ქ“ ქვეპუნქტებით შეფარდებულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ხ. შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 18 (თვრამეტი) წლით.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულ ხ. შ-ს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის – 18 (თვრამეტი) წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდა განსაზღვრული ჰქონდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ხ.შ) – მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა უნდა გაეგრძელებინა საერთო წესით.

7. ხ. შ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე – პატიმრობა, გაუქმებულია.

8. ხ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალის ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2023 წლის 10 დეკემბრიდან.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 18 სექტემბრის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

10. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. დანაშაული ჯანმრთელობის წილადმდებარები

ჯანმრთელობის განხილვას მიზნების და მართვის მიზნების განხილვას მსუბუქ დაზიანებაზე

### განაჩენი საქართველოს სახელით

№ 1258აპ-24

6 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატა შემადგენლობა:

6. სანდოძე (თავმჯდომარე),
- მ. გაბინაშვილი,
- ლ. ოვაზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკუ-  
რატურის პროკურორლაბა მერაბიშვილის საკასაციო საჩივარი თბილი-  
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2024 წლის 9 ოქტომბრის განაჩენზე.

#### აღნერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

##### 1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. მ. მ-ი ცნობილი იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სა-  
მართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის  
განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სა-  
ხიფათოა სიცოცხლისათვის და რომელმაც გამოიწვია სახის წარუშლე-  
ლი დამახინჯება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც  
გამოიხატა შემდეგით:

2022 წლის 13 აგვისტოს, დამის საათებში, ქ. გ.... სადარბაზოში, მ. მ-  
მა მაღაზიაში შელაპარაკების გამო, შურისძიების მოტივით, დანის გა-  
მოყენებით ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა რ. ხ-ს,  
კერძოდ ს-ას მაღაზიაში, რ. ხ-ი და მ. მ-ი შელაპარაკდნენ, რის შემდე-  
გაც მ. მ-ი დაბრუნდა დანით ხელში, გაეკიდა კორპუსებში გაქცეულ რ.  
ხ-ს, დაიჭირა №- სადარბაზოში და ცდილობდა მისთვის დანის გამოყე-  
ნებით დაზიანების მიყენებას, ერთხელ დაუსვა დანა ცხვირის არეში  
და მიაყენა ნაკვეთი სისხლმდებნი ჭრილობა, ცხვირის შუალედისა და  
მარცხენა ნესტოს სრული დარღვევით, ასევე მუშტები და ფეხებირამ-  
დენჯერმე დაარტყა სხეულის სხვადასხვა არეში. მ. მ-ის ქმედებით ფი-  
ზიკური ტკივილი განიცადა და სახის წარუშლელი დამახინჯების სა-

ხით, სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო რ. ხ-მა.

## **2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:**

2.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინა, რომ მ. მ-მა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია.

2.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 11 მარტის განაჩენით, მ. მ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით დან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე. მ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 7250 ლარი. მ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2022 წლის 15 აგვისტოდან 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით და საბოლოოდ, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარი.

2.3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 11 მარტის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლაპა მერაბიძევილმა და მოითხოვა მ. მ-ის საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით დამნაშავედ ცნობა.

## **3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით, ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ცვლილება შევიდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 11 მარტის განაჩენში. მ. მ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით დან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე. მ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 7250 ლარი. მ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2022 წლის 15 აგვისტოდან 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით და საბოლოოდ, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის გამოყენე-

ბით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარი. „ამ-ნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის საფუძველზე მ. მ-ი გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

3.2. 2024 წლის 10 ოქტომბერს, რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლაშა მერაბიშვილმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოთხოვა თბილისის სააპე-ლაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, მ. მ-ის საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სამართლიანი სასჯე-ლის განსაზღვრა.

#### **4. კასატორის არგუმენტები:**

4.1. კასატორის პოზიციით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, რად-გან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ რ. ხ-ს ცხვირის მიდამოში არსებული სწორნაპირებიანი ნაწილური წარუ-ხოცელია და დროთა განმავლობაში თავისით არ გამოსწორდება, ამას-თან იწვევს სახის ასიმეტრიას, რითაც დასტურდება მ. მ-ის მიერ ბრა-ლად შერაცხული დანაშაულის ჩადენა. საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს პრატიკის თანახმადაც სახის წარუშლელი დამახინჯება დაკ-ვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით. ბრალდების მხარეს მიაჩინა, რომ საქმე თავისი შინაარსით არის მნიშვნელოვანი.

#### **5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:**

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასა-ციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძ-ვლიანობა და მიაჩინა, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკ-ვალიფილდეს ნაწილობრივ და თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ოქტომბრის განა-ჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. უპირველეს ყოვლისა საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მხა-რეთა შორის სადავო გარემოებას არ წარმოადგენს საქმეზე დადგენი-ლი ფაქტობრივი გარემოებები, რომ მ. მ-მა დაზარალებულ რ. ხ-ს მიაყე-ნა დაზიანება სახისა და მხრის არეში, რამაც სასამართლო ექსპერტი-ზის ეროვნული ბიუროს №... სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თა-ნახმად გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, მისი ხანმოკ-ლე მოშლით. ბრალდების მხარის მიერ სადავოდაა გამხდარი მ. მ-ის ქმე-დების სამართლებრივი შეფასება, კერძოდ იმ გარემოების დადგენა, რ. ხ-ისთვის მიყენებული დაზიანება, იწვევს თუ არა სახის წარუშლელ და-მახინჯებას.

**5.3.** საკასაციონ პალატა მიუთითებს, რომ ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება, რომელიც იწვევს სახის წარუშლელ დამახინჯებას ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანების თავისებური სახეა, რაღან იგი არ ხასიათდება ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანებისათვის აუცილებელი ნიშნებით (მაგ. არა სახითათო ჯანმრთელობისათვის და სხვა).

**5.4.** მოცემულ შემთხვევაში, მართალია, რ. ხ-ს დაზიანება მიყენებული აქვს სახის არეში და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №... სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ „ნანიბური წარუხოცელია, დროთა განმავლობაში თავისით არ გამოსწორდება, იწვევს სახის ასიმეტრიას. მიმიკის შეცვლას არ იწვევს“, თუმცა აღნიშნული დაზიანება იწვევს თუ არა სახის დამახინჯებას – უნდა შეფასდეს ესთეტიური კრიტერიუმებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიუალურად. საკასაციონ პალატა ყურადღებას გაამახვილებს, საქმეში წარმოდგენილ დაზარალებულ რ. ხ-ის განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, იგი არ მიიჩნევს თავს დამახინჯებულად, მიყენებული დაზიანების კვალის გამო, ფსიქოლოგიურ ტანჯვას არ განიცდის და შესაბამისად, მ. მ-ის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია. ამასთან, საქმის მასალებით (№... სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნის ფოტოლუსტრაცია) დასტურდება, რომ დაზარალებულის სახეზე არსებული წარუშლელი დაზიანება არ ამახინჯებს მის სახეს, არ არის შესაზარი, არ იწვევს ზიზღს ან სიბრალულს.

**5.5.** შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ერთის მხრივ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №... სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ რ. ხ-ისთვის მიყენებული ჭრილობები ერთობლიობაში მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით და ხოლო მეორეს მხრივ, კი საქმის მასალებით არ დადგინდა, რომ მიყენებულმა დაზიანებამ სახის დამახინჯება გამოიწვია – ბრალდების მხარის მოთხოვნა მ. მ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიკაციის თაობაზე საფუძველს მოკლებულია.

**5.6.** საკასაციონ პალატის აღნიშნული დასკვნა არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკისგან. კერძოდ, საკასაციონ პალატამ მიუთითა, რომ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ სახეზე არსებული ნაწილურები არ იწვევს სახის ასიმეტრიასა და მიმიკის მოშლას, ამასთან, ესთეტიკურად არ იწვევს ზიზღს, შეცოდებას ან რაიმე მსგავს განწყობას, ან ემოციებს როგორც დაზარალებულის, ასევე სხვა ობიექტური მესამე პირისათვის, პალატის მოსაზრებით, ვერ ჩაითვლება სახის წარუშლელ დამახინჯებად (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №398აპ-17 გადაწყვეტილება).

5.7. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ურთიერთშეჯერებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მ. მ-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც იგი ცნობილუნდა იქნება დამნაშავედ.

## 6. სასჯელის დასაბუთება

6.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სასჯელი სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

6.2. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ნიშნავს სასამართლოს მიერ დანაშაულისა და დამნაშავის შეფასებას, სასჯელი კი არის კანონის რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე. შესაბამისად, სასჯელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური და ადეკვატური, ამასთან, მას უნდა გააჩნიდეს მკაცრად პერსონალური ხასიათი. სასამართლო ხაზს უსვამს სასჯელის სამართლიანობის სწორად განსაზღვრის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ სასჯელი აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს კანონის საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

6.3. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხიმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამდიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლაცნიანალმდეგონებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის ნარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფააქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

6.4 სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნების განსასაზღვრად, სრულყოფილად უნდა შეფასდეს ყველა ის გარემოება, რაც სასჯელის დანიშვნის დროს არის გასათვალისწინებელი და ასევე ნათლად უნდა იქნეს გაანალიზებული საფრთხე ან საფრთხეები, რაც შექმნა დამნაშავის ქმედებამ.

6.5. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასჯელის სამართლიანობა ყო-

ველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. თითოეული დანაშაული და მისი ჩამდენი პირი ხასიათდება ინდივიდუალურობით, შესაბამისად, დანიშნული სასჯელი უნდა იყოს თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილ დანაშაულთან.

6.6. საკასაციო სასამართლო სასჯელის დანიშნისას ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, პირის ინდივიდუალურ მახსიათებლებს (მ. მ-მა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, მტკიცებულებები მიიჩნია უდავოდ, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას), სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა მხედველობაში მიღებით, მ. მ-ს უნდა განესაზღვროს – ჯარიმა 12000 ლარი, რაც საკასაციო პალატის შეფასებით სრულად შეესაბამება საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს და მსჯავრდებულის პიროვნებას.

6.7. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მ. მ-ის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ და მიუთითებს, რომ ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

6.8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით, მ. მ-ი მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით და განესაზღვრა სასჯელის სახე და ზომა, რისი გათვალისწინებითაც საქართველოს სსკ-ის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატას, „ამნისტიის შესახებ“ კანონის ფარგლებში, იგი უნდა გაეთავისუფლებინა სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეემცირებინა ან შეეცვალა უფრო მსუბუქი სასჯელით.

6.9. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გამოძიების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია ამნისტიის აქტი. კერძოდ, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისამართლებრივი დევნა არ უნდა დაინტერირდეს თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან. ხსენებული ნორმა ეხება პირებს, რომლებიც არ არიან მსჯავრდებული და პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების მხედველობაში მიღებით, არსებობს წინაპირობები დასმული და განხილული იქნეს საკითხი, ამნისტიის კანონის საფუძველზე, პირის სისხლის-

სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა და გამო-  
ძიების შეწყვეტის შესახებ.

6.10. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩინია, რომ როგორც სა-  
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ასევე საქართველოს სის-  
ხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ერთმნიშვნელოვნად არის  
დადგენილი ამნისტიის აქტის საფუძველზე დამაშავის სისხლისამარ-  
თლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და მსჯავრდე-  
ბულის სასჯელისაგან გათავისუფლების ანდა მისთვის დანიშნული სას-  
ჯელის შემცირების ან უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საფუძვლე-  
ბი.

6.11. ამასთან, მართალია მ. მ-მა მსჯავრადშერაცხილი დანაშაული  
ჩაიდინა 2024 წლის 1 ივლისამდე, თუმცა „ამნისტიის შესახებ“ 2024  
წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი  
პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებუ-  
ლი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გა-  
თავისუფლება, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული სის-  
ხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავი-  
სუფლება, აგრეთვე ამ კანონის მე-2 მუხლით (გარდა მე-2 მუხლის მე-  
3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მე-3 მუხლით, მე-4  
მუხლით (გარდა მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტით გათვალისწინე-  
ბული შემთხვევისა) ან მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებუ-  
ლი სასჯელის შემცირება ვრცელდება ვადიანი თავისუფლების აღკვე-  
თის სახით დანიშნულრეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გა-  
მოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე (გარდა ჯარიმისა, ქო-  
ნების ჩამორთმევისა, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზ-  
ღუდვისა და სამხედრო წოდების ჩამორთმევისა). შესაბამისად, მ. მ-  
ის მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის განსაზღვრისას, მის მიმართ ვერ  
გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქარ-  
თველოს კანონი.

6.12. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რუსთავის რა-  
იონული პროკურატურის პროკურორ ლაშა მერაბიშვილის საკასაციო  
საჩიგარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის სააპელა-  
ციონ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9  
ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის  
სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირ-  
ველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“  
2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლაშა მერაბიშვილის საკასაციო საჩიგარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

4. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განეხსაზღვროს ჯარიმა 12000 ლარი.

5. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2022 წლის 15 აგვისტოდან 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით), მ. მ-ს დანიშნული სასჯელი შეუმსუბუქდეს და მოსახდელად განეხსაზღვროს ჯარიმა 5000 ლარი.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ. მ-ის მიმართ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელი ჯარიმა 5000 ლარი აღსრულებულია.

7. მ. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო გაუქმებულია.

8. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ. მ-ს დაბრუნებული აქვს ჩამორთმეული პასპორტი და პირადობის მოწმობა.

9. საქმეს დართული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

დანა, ლაქები, სისხლის ნიმუში, ნერწყვის ნიმუში, ხელის კვლები – განადგურდეს;

ტანსაცმელი – დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს;

დისკი – შენახულ იქნეს სს საქმის შენახვის ვადით.

10. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

11. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ოჯახის ერთი ცენტრის მიერ ოჯახის სხვა ცენტრის  
ჯარისტულობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი  
საცოცლა მოწოდებია, ჩაღენილი გაზღუდული  
შესაძლებლობის პირის მიმართ**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№1051აპ-24

20 თებერვალი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატა შემადგენლობა:  
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),  
ნ. სანდოძე,  
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 16 მაისის გა-  
ნაჩენზე ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილის – ალექსანდრე  
კოდუას საკასაციო საჩივარი.

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მ. ჟ-ს ბრა-  
ლად ედება ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის ჯანმრთე-  
ლობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გა-  
მოიწვია, ჩადენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ,  
დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხ-  
ლის მე-2 ნაწილით. აღნიშნული გამოიხატა შემდეგით:

2024 წლის 12 იანვარს, დაახლოებით 01:00 საათზე, ხ-ს მუნიციპა-  
ლიტეტის ხ-ს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მ. ჟ-სა და მისი  
დის – ი. ჟ-ს – საცხოვრებელ სახლში, მ. ჟ-მ, ურთიერთშელაპარაკების  
ნიადაგზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს (აღნიშნება  
მერჯ-ბარძაყის ამოვარდნილობა და გადაადგილდება ხელჯონით) – ი.  
ჟ-ს წაართვა ხელჯონი, ჰკრა ხელი, წააქცია და თავის მიდამოში ხელ-  
ჯონის ერთხელ დარტყმით, მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუ-  
ქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია.

2. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 1 აპრილის განაჩენით  
მ. ჟ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან  
გადაკალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის პირველ  
ნაწილზე.

მ. ჟ., – დაბადებული ... წელს, ნასამართლობის არმქონე – ცნობილ

იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით, რაც, საქართველოს სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად, 1 (ერთი) წლის გამოსაცდელი ვადით.

მ. ჟ-ს სასჯელის ვადად ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფილის დრო – 2024 წლის 12 იანვრიდან 2024 წლის 28 მარტის ჩათვლით.

მ. ჟ-ს ყოფაქცევაზე კონტროლი და დახმარება პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დაევალა პრობაციის ბიუროს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გაუქმდა მ. ჟ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილე, ალექსანდრე კოდუაშ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ – მ. ჟ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 16 მაისის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 1 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 16 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილემ, ალექსანდრე კოდუაშ. კასატორი საკასაციო საჩივრით მოითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მ. ჟ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და შესაბამისი სასჯელის შეფარდებას, შემდეგ გარემოებათა გამო: საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით უდავოდ დადგენილია, რომ ი. ჟ-ს აქვს მენჯ-ბარძაყის ამოვარდნილობა და გადაადგილდება ხელჯოხით, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზარალებულს რეალურად აქვს შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობა. ის გარემოება, რომ დაზარალებულმა არ ისარგებლა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით (არა ვალდებულებით) და აღნიშნული სტატუსის მისაღებად არ მიმართა კომპეტენტურორგანოს – არ გამორიცხავს დანაშაულის ჩადენას – მითითებული დამამძიმებელი გარემოებით. სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და საერთაშორისო კანონმდებლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა

ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილის, ალექსანდრე კოდუას სა-კასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმა-ყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასე-ბას, რომ საქმეში არსებული და მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული მტკი-ცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: გამოძიების დაწყების აღრიც-ხვის ბარათით, შეტყობინებით, პატაკით, დაზარალებული ი. უ.-ს, მოწ-მეების: რ. გ-ს, შ. ბ-ს, კ. გ-ს, ნ. ბ-ს, ს. კ-ს, ნ. ც-ს, ბ. ბ-ს, კ. კ-ს, თ. თ-ს, დ. ბ-ს გამოყითხვის ოქმებით, მ. ჟ-ს აღიარებითი ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ნიმუშის აღების ოქმებით, დაკავე-ბის ოქმით, შემაკავებელი ორდერითა და შემაკავებელი ორდერის ოქ-მით, ამოღების ოქმებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, ამოღე-ბული ნივთმტკიცებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებე-ბით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, დასტურდება მ. ჟ-ს მიერ ოჯახის წევრის – დის ი. ჟ-ს ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზია-ნების ფაქტი, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია.

3. რაც შეეხება ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრით წამოჭრილ სადავო საკითხს, საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, მ. ჟ-მ ჩაი-დინა თუ არა დანაშაული მაკვალიფიცირებელი ნიშნით, კერძოდ, შეზ-ღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, ბრალდების შესახებ დადგენილების კვალიფიკაციის მიხედვით – საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

4. სააპელაციო პალატა მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამარ-თლოს პრაქტიკას (იხ. 2023 წლის 1 ივნისის განაჩენი, №208აპ-23 საქმე-ზე) და განმარტავს, რომ ვინაიდან დაზარალებული ი ჟ-ს არ აქვს შეზ-ღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი და არ არის წარ-მოდგენილი მისთვის მინიჭებული სტატუსის დამდგენი შესაბამისი დო-კუმენტი, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განსაზღვროს დაზარალებულის შეზღუდული შესაძლებლობების მქო-ნე პირის სტატუსი. ამდენად, მ. ჟ-ს ქმედების დაკვალიფიცირება სა-ქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით არ გამომდინარე-ობს კანონის მოთხოვნებიდან და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხ-ლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირების თაობაზე, კანონიერია. სა-კასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის განმარტე-ბას, შემდეგ გარემოებათა გამო:

5. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: იმისათვის, რათა პირის ქმე-დება დაკვალიფიცირდეს, წინასწარი შეცნობით, შეზღუდული შესაძ-ლებლობების მქონე პირის მიმართ ჩადენილად, მნიშვნელოვანია ორი გარემოების ერთდროულად არსებობა: პირი ნამდვილად უნდა იყოს

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ამის შეცნობა უნდა იყოს შესაძლებელი დანაშაულის ჩამდენი პირისათვის.

6. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი. უ-ს ოფიციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი არ გააჩნია. საქმეში წარმოდგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხ-ს სერვისცენტრის 2024 წლის 29 იანვრის წერილის თანახმად, დასტურდება, რომ ი. უ-ს ოჯახი არაა რეგისტრირებული სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა ერთიან ბაზაში, არ იღებს რაიმე სახის სახელმწიფო გასაცემელს (სახელმწიფო პენსიას, სოციალური პაკეტი, სახელმწიფო კომპენსაცია).

7. მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი მტკიცებულებით, დაზარალებული ი. უ-ს გამოკითხვის ოქმით დადგენილია, რომ ცხოვრობს ხ-ს მუნიციპალიტეტის ხ-ს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მ. უ-ს და თავის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში, მ. უ-სთან ერთად, დაზარალებულს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, კერძოდ, მენჯ-ბარძაყის ამოვარდნილობა, რის გამოც, 3-4 წელია გადაადგილდება ხელჯოხით. ი. უ-ს განმარტებით, მას ხელჯოხის გარეშე გადაადგილდება არ შეუძლია. მათი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების ბაზაში. ამ ეტაპზე სოციალურ დახმარებას არ იღებენ. 2024 წლის 11 იანვარს ის და მ. იმყოფებოდნენ სახლში, დღის მეორე ნახევარში მ-მ ჩააბარა სახლში მოყვანილი დაფნის ფოთოლი. ი. უ-მ ჰეთიხა, თუ რა ფასად ჩააბარა და სად წაიღო მიღებული შემოსავალი, რაზეც მან უპასუხა, რომ დაფნა იყო 120 ლარის ლირებულების, მაგრამ თანხა არ ჰქონდა. ამის გამო, დაზარალებული გაბრაზდა და შეელაპარაკა მ-ს, რომელიც იყო ნასვამი. ამ დროს იქნებოდა, დახალოებით, 2024 წლის 12 იანვრის 01.00 საათი, დაზარალებული ადგა და ხელჯოხის მეშვეობით, გაემართა საპირფარებოსკენ. ამ მომენტში მ. უ-მ ხელიდან წაართვა ხელჯოხი, რომლითაც გადაადგილდებოდა, ხელი ჰკრა და წაიქცა, ხოლო წაქცეულს მ-მ ხელჯოხი ერთხელ დღიერად ჩაარტყა თავის არეში. ი. უ-ს თავიდან წამოუვიდა სისხლი და იგრძნო დღიერი ფიზიკური ტკივილი, რის გამოც, მან დაიკივლა. დაზარალებულმა დამოუკიდებლად ვერ შეძლო წამოდგომა და თვითონ მ-მ შეიყვანა სახლში. რამდენიმე წუთში მივიდა სამედიცინო დახმარების ბრიგადა და აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

8. საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 ივნისის №208აპ-23 გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ ვინაიდან პირს არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი და არ არის წარმოდგენილი მისთვის მინიჭებული სტატუსის დამდგენი შესაბამისი დოკუმენტი, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განსაზღვროს დაზარალებულის შეზღუ-

დული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი.

9. მითითებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარე-მოებები უნდა გამოიჯოთ საკასაციო სასამართლოს მიერ ამჟამად გან-სახილველი საქმის გარემოებებისგან, კერძოდ: №208აპ-23 გადაწყვე-ტილების მიხედვით, გ. კ-მ, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მო-ტივით, ვაიფაის აპარატის, ე.წ. „როუტერის“ თავის არეში რამდენჯერ-მე დარტყმით, ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიაყენა ს. ვ-ს, რომელსაც წარსულში მიღებული ფიზიკური ტრავმების გამო, შეზღუდული ჰქონდა თავისუფალი გადაადგილების უნარი. განსახილ-ველ საქმეზე კი, მ. ჟ. დაზარალებული ი. ჟ-ს შეზღუდულ შესაძლებლო-ბას, რაც მსჯავრდებულს კარგად აქვს შეცნობილი, იყენებს მის წინა-აღმდეგ, ხელიდან ართმევს სწორედ იმ ხელჯორებს, რომლითაც გადაად-გილდებოდა, შემდეგ ხელს ჰკრავს და წაქცევეს, წაქცეულს კი ხელ-ჯორს თავის არეში ერთსელ ძლიერად ურტყამს, რის შემდეგაც, დაზა-რალებული დამოუკიდებლად წამოდგომასაც კი ვერ ახერხებს და თვი-თონ მ-ს შეჰქავს სახლში.

10. განსახილველ საქმეზე ცალსახად დასტურდება, რომ, ერთის მხრივ, დაზარალებული ი. ჟ-ს აქვს მყარი, აშკარად გამოხატული და თვალ-საჩინო ფიზიკური დარღვევა, რაც მსჯავრდებულისათვისაც ცნობი-ლია, ხოლო, მეორე მხრივ, მ. ჟ. მისი ქმედებით – ჯორის წართმევით, ხელის კვრითა და წაქცევით – დაზარალებულის შეზღუდულ შესაძ-ლებლობას იყენებს ი. ჟ-ს წინააღმდეგ, რის შედეგადაც, ართმევს და ობიექტურად უზღუდავს თავდაცვის თანაბარ, თანასწორ შესაძლებ-ლობას. ასეთ ვითარებაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღარ არის საჭირო, განსხვავებით წინა საქმისგან, შემ სტატუსის დამატებით დად-გენა.

11. გარდა ზემოაღნიშნულისა, შეზღუდული შესაძლებლობების ქო-ნა, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება, სისხლისსამართლებრი-ვი მიზნებისათვის უნდა შეფასდეს არა მარტო მკაცრად ფორმალური მიდგომით, კერძოდ, სასამართლო ყოველთვის არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ფაქტით, რომ დაზარალებულს შესაბამისი ორგანოს მიერ არ აქვს მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტა-ტუსი, არამედ – სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქ-მის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა დაადგინოს და შეაფასოს, იკვეთება თუ არა შესაძლებლობათა შეზღუდვის რეალუ-რად და ფაქტობრივად გამოხატული დარღვევები, რამაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს, გავლენა იქონიოს პირის თავდაცვისუნარიანობაზე და მიუთითებდეს მის მოწყვლადობას. შეზღუდული შესაძლებლობე-ბის ქონის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიჩნევით, კანონმდებლის მიზანიც სწორედ ის იყო, რომ ხაზი გაესვა შეზღუდული შესაძლებლო-

ბების მქონე პირთა დაცვის მომეტებულ საჭიროებაზე.

12. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ პირის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ოფიციალური სტატუსის არარსებობის განმაპირობებელი გარემოებები, შესაძლებელია აგრეთვე იყოს ისეთი მოცემულობა, როგორიცაა, მაგალითად: მითითებულ საკითხე საერთოდ ინფორმაციის არქონა, სერვისების ხელმისაწვდომობაზე ფიზიკური სიშორე და სხვა ობიექტები მიზეზები. დასაშვებია ისეთი ვითარებაც, როდესაც პირმა კომპეტენტურ ორგანოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ოფიციალური სტატუსის მოსაპოვებლად მიმართა, მაგალითად, დანაშაულის ჩადენამდე ერთი ან რამდენიმე დღით ადრე, რა დროშიც, კანონით დადგენილი პროცედურების გავლისა და შესაბამისი დასკვნის გაცემის პროცესში, ვერ მოესწრო მისთვის შშმ სტატუსის მინიჭება. ყოველივე აღნიშნული კი გამოიწვევს პირის უფლებრივად არათანასწორ მდგომარეობაში ჩაყენებას.

13. ამავდროულად, ხაზგასასმელია, რომ სასამართლო არ ადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსს, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით და სასამართლოს დასკვნა ამ მიმართებით არ უთანაბრდება პირისათვის შშმ პირის სტატუსის მინიჭებას (რაც განსაზღვრულია კანონით დადგენილი წესითა და შესაბამისი პროცედურის გავლით). სასამართლო აფასებს მხოლოდ იმ გარემოებას, მოიერებულად და რეალურად იკვეთება თუ არა პირის ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს, გავლენა იქონიოს მის თავდაცვისუნარიანობაზე და მიუთითებდეს პირის განსაკუთრებულ მოწყვლადობას, რაც ვერ იქნება მიჩნეული სასამართლოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის დადგენად და, შესაბამისად, შშმ სტატუსის დამდგენ სათანადო დოკუმენტად. ამასთან, საკასაციო სასამართლო აზუსტებს, რომ სისხლისამართლებრივი მიზნებისათვის შეზღუდული შესაძლებლობების განსაზღვრა, ყოველთვის არ უნდა იყოს მხოლოდ პირის სტატუსსა და მის მიერ საკუთარი უფლების გამოყენება/არგამოყენებაზე დამკიდებული, არამედ აღნიშნული უნდა დადგინდეს, ყოველი კონკრეტული საქმის ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ჟ-მ დანაშაული ჩაიდინა – მაკვალიფიცირებელი ნიშნით – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ. ამდენად, უნდა შეიცვალოს მის მიმართ მსჯავრად შერაცხილი ქმედების კვალიფიკაცია და მ. ჟ-ს მსჯავრი უნდა დაედოს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

15. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სა- სამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სა- მართლიანი. განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესა- ბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშა- ულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხ- ლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლი- ან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხ- ლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დე- ბულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯე- ლი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშნის დროს სასამარ- თლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბურებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მი- ზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლასანინააღმდეგო ნებას, მოვალე- ობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სა- ხეს, ხერხესა და მართლასანინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შე- ურიგდეს და ზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის საპრო- ცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცი- ლება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

16. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოიყებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრე- ბით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილი ისჯება თავისუფლე- ბის აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებუ- ლი უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

18. საკასაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშ- ვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუა- ლური მახასიათებლები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ- სის 39-ე, 53-ე-53<sup>1</sup>-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ, დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი (ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის გან-

ზრახი, ძალადობრივი ხასიათის დანაშაული), მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი (აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, სადაც ვოდ არ გაუხდია ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, წარსულში არ არის ნასამართლევი, დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია) და დამამძიმებელი (დანაშაული ჩადენილია ოჯახის წევრის მიმართ) გარემოებების მხედველობაში მიღებით, მიაჩნია, რომ მ. ჟ-ს, საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით (ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას) უნდა მიესაჯოს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე 64-ე მუხლების გამოყენებით, უნდა ჩაეთვალოს პირობით მსჯავრად, იმავე გამოსაცდელი ვადით. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებული სრულად აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ, პირობით მსჯავრის დანიშვნისათვის აუცილებელ წინაპირობებს, სახელდობრ, მან ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მიმეგ დანაშაული, რომელსაც აღიარებს, ასევე თანამშრომლობს გამოძიებასთან და წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. აქვე საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მ. ჟ-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით გათვალისწინებული შეღავათები ვერ გავრცელდება ამავე კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე (ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-4 მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული სასჯელის შემცირება ვრცელდება მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე), ვინაიდან მან ჩაიდინა ოჯახური დანაშაული.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ფოთის რაიონული პროერორის მოადგილის აღექსანდრე კოდუას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 16 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

## დ ა ა დ გ ი ლ ი:

1. ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილის – ალექსანდრე კო-დუას საკასაციო საჩივარი და კმაყოფილებები;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა პალატის 2024 წლის 16 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მ. ჟ-ს ქმედება, დაკავალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

4. მ. ჟ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლით, რაც, საქართველოს სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე, ჩატვალის პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 4 (ოთხი) წელი.

5. მ. ჟ-ს სასჯელის ვადად ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2024 წლის 12 იანვრიდან 2024 წლის 28 მარტის ჩათვლით.

6. მსჯავრდებულ მ. ჟ-ს დაეკისროს მოვალეობა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯავრო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე, არ შეიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო მის ყოფაქცევაზე კონტროლი და დახმარება პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დაევალოს პრობაციის პიუროს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ. ჟ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდებულია.

8. ნივთმტკიცებები: სისხლის, ნერწყვისა და ხელის ანაბეჭდის ნიმუშები, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ნაწილაკები – განადგურდეს, ხოლო: ხის ხელკეტი, ბალიშის პირი, მ. ჟ-სა და ო. ჟ-ს ტანსაცმელი – დაუბრუნდეთ მათ მესაკუთრეებს.

9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **3. დანაშაული აღამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნინააღმდეგ**

**სიცოცხლის მოსამართის მუქარა, ჩადენილი ოჯახის წევრის  
მიმართ**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№1183აპ-24

28 თებერვალი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატა შემადგენლობა:**

- 6. სანდოძე (თავმჯდომარე),**
- მ. გაბინაშვილი,**
- ლ. თევზაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. შ-სა და მისი  
ინტერესების დამცველის ადვოკატ ნ-ის საკასაციო საჩივარი თბილი-  
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2024 წლის 17 სექტემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:**

##### **1. წარდგენილი ბრალდების არსი:**

1.1. ჯ. შ. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სა-  
მართლის კოდექსის (მემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 11<sup>1</sup>, 151-ე მუხ-  
ლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სიცოცხლის მოსპობის მუქარა, რო-  
დესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების  
საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ), რაც გამოიხატა  
შემდეგით:

1.2. 2022 წლის დეკემბრის თვიდან 2023 წლის თებერვლამდე დროის  
პერიოდში ჯ. შ. სოციალური ქსელის – „...“-ის მეშვეობით სისტემატუ-  
რად ახორციელებდა სიცოცხლის მოსპობის მუქარას ბ... მცხოვრები  
ძმის – ვ. შ-ს მიმართ, კერძოდ ეუბნებოდა, რომ არ გაახარებდა, დაუ-  
ობლებდა შვილებს, გაიზიარებდა დაღუპული მშობლების ბედს. აღნიშ-  
ნული ქმედებების შედეგად ვ. შ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების  
საფუძვლიანი შიში.

##### **2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:**

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-  
თა კოლეგიის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენით ჯ. შ. ცნობილ იქნა დამ-  
ნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვე-

პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯე-ლის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, ჯ. შ-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ჯ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო – 2024 წლის 8 ივლისიდან.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ჯ. შ-მა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ლ-ამ და ნ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, ჯ. შ-ს უდანაშაულოდ ცნობა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

### **3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის განაჩენით, დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. 2024 წლის 17 ოქტომბერს, მსჯავრდებულმა ჯ. შ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ნ-მა საკასაციო საჩივრით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

### **4. კასატორთა არგუმენტები:**

4.1. კასატორთა პოზიციით, გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენი უკანონოა, ვინაიდან საქმეში არ არსებობს საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც უტყუარად დაადასტურებდა ჯ. შ-ს ბრალეულობას. სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა დაზარალებულის ჩვენება, ვინაიდან სწორედ მის მიერ გაგზავნილ შეტყობინებებს პასუხობდა მსჯავრდებული. ვ. შ. უშვერი სიტყვებით მოიხსენიებს ჯ. შ-ს,

ხოლო მის მიერ გაგზავნილ შეტყობინებებს დამცინავად უდგება, რაც ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულს მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში არ გასჩენია. მას მხოლოდ მობეზ-რდა ჯ. შ-ის მხრიდან იმ ფაქტის შეხსენება, თუ როგორ დახოცა მშობლები, რის გამოც დაემუქრა ციხეში გამოკეტვით და შეასრულა კიდეც.

### **5. საკასაციო სასამართლოს შეფასება:**

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეამოწმა მისი საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. შ-სა და მისი ინტერესების დამცველის ადვოკატ – ნ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს, თუმცა თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

5.2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ჯ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 111, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მსჯავრდების შესახებ.

5.3. საკასაციო პალატა თავდაპირველად განმარტავს, რომ სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოადგენს ვ. შ-ს (დაზარალებულის) და ჯ. შ-ს (მსჯავრდებულის) ნათესაური კავშირი, კერძოდ, არიან ძმები და შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>-ე მუხლის მიზნებისთვის ითვლებიან ოჯახის წევრებად.

5.4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ჯ. შ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის განმარტებებს მსჯავრდებულის უდანაშაულობის თაობაზე, ვინაიდან საპირისპირო ფაქტობრივი გარემოებები დადასტურდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ:

5.5. დაზარალებულ ვ. შ-ს ჩევნებით დადასტურებულია, რომ ოჯახთან – მეუღლესთან და სამ არასრულწლოვან შეილთან ერთად ცხოვრობს ბ....ი, ხოლო მისი ძმა – ჯ. შ. და ორი და ს-სი. ჯ. შ-თან ჰქონდა ნორმალური ურთიერთობა. ბ....იც სტუმრობდა მას. მშობლები ბ....ი ცხოვრობდნენ, ბოლოს სოციალურ საცხოვრებელში. 2021 წლის 31 დეკემბერს, სოციალურ საცხოვრებელში გაზის აფეთქების შედეგად მათი მშობლები გარდაიცვალნენ, რის შემდეგაც ჯ. შ. მას ადანაშაულებდა მათ სიკვდილში და თ-ში მდებარე ბინის მასზე გადაფორმებას სთხოვდა, ასევე 60000 აშშ დოლარის გადაცემას. ჯ. შ-ს მხრიდან მუქარის ფაქტებს ადგილი 2022 წლის მაისიდან ჰქონდა, თუმცა 2022 წლის დეკემბრამდე ყურადღებას არ აქცევდა. 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის იანვრის ჩათვლით ჯ. შ-ს სოციალურ ქსელ „...“-ის საკუთარ კედელზე გამოქვეყნებული ვიდეოების მეშვეობით და „...“-ის მეშვეობით დაზარალებულთან გაგზავნილი ხმოვანი და ტექსტური შეტყობინების სახით ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, კერძოდ: დაემუქრა, რომ მას

შემდეგ რაც პირობითი მსჯავრი დაუმთავრდებოდა, ის ჩავიდოდა პ....ში და მოკლავდა მას. მუქარის შემცველი ხმოვანი შეტყობინებები მისმა მეუღლემაც მოისმინა. მუქარის თაობაზე, ასევე იცოდნენ მისმა შვილებმაც, რომლებსაც ასევე გაუჩნდათ შიში, რომ ბიძა ჩავიდოდა პ....ში და მოკლავდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯ. შ. ს-ში იყო, ხოლო თავად პ....ში, მას გაუჩნდა რეალური შიში, ვინაიდან ჯ. შ-მა იცოდა სად ცხოვრობდა იგი. ამის გამო ვიდეო კამერებიც კი დააყენა. თავდაპირველად ბ-ს სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა დახმარებისთვის, ხოლო მას შემდეგ, რაც პ....ში განუცხადეს, რომ ტერიტორიული სხვაობის გამო ვერ დაეხმარებოდნენ, ძმისგან მალულად ჩამოვიდა ს-ში და პოლიცია-ში განაცხადა ჯ. შ-ს მიერ მის მიმართ განხორციელებული მუქარის შესახებ.

5.6. შემაკავებელი №0... ორდერითა და შემაკავებელი ორდერის თან-დართული ოქმით დასტურდება, რომ 2023 წლის 3 თებერვალს, 01:14 საათზე, ჯ. შ-ს მიმართ შსს ...ის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-.. სამმართველოს გამომძიებელ ვ-ს მიერ 30 დღის ვადით გამოიცა შემა-კავებელი ორდერი, ჯ. შ-ს მიერ ვ. შ-ს მიმართ 2022 წლის დეკემბერსა და 2023 წლის იანვრის თვეში, სოციალური ქსელის მეშვეობით სიცოც-ხლის მოსპობის, ახლო ნათესავების სიცოცხლის მოსპობისა და საც-ხოვრებელი სახლის დაწვის მუქარის ფაქტებზე.

5.7. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქ-მით, ასევე სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ლაზერული დისკე-ბით, რომელზეც ჩაწერილია ვ. შ-ს კუთვნილი „SAMSUNG S9“ მოდელის მობილური ტელეფონიდან გამოოთხვილი ინფორმაცია, ერთმნიშვნე-ლოვნად დასტურდება, ჯ. შ-სა და ვ. შ-ს შორის არსებული დაძაბული მდგომარეობა, კერძოდ: პირველ აუდიოფაილში ვ. შ. მიმართავს ჯ. შ-ს და სთხოვს მუქარების შეწყვეტას „ჩემთან რევენას თავი დაანებე, გასა-გებია...ჯანდაბამდე გზა გქონია, მომაბეზრე თავი შენი მუქარებით, ყელ-ში ამომიხვედი“.

მე-2 აუდიოფაილში ჯ. შ. მიმართავს ვ. შ-ს, კერძოდ ადანაშაულებს ბინის მითვისებაში და მშობლების მკვლელობაში, ასევე ეუბნება, რომ „ჩადენილი“ მარტივად არ გაუვა, ეუბნება, რომ „როგორც შენ დამტოვე მშობლების გარეშე, ასევე მე შენს შვილებს დავტოვებ მშობლების გა-რეშე“, ეუბნება „მე შენ ... ივლისის თვე“.

მე-3 აუდიოფაილის ჩანაწერში ვ. შ- ჯ. შ-ს ეუბნება, რომ მისი და მისი ოჯახის წევრების მუქარისთვის პასუხს აგებინებს სასამართლო-ში, „ჯ...., შენ გინდა მომკლა მე, ჩემი შვილები და ოჯახი, შენ ინანებ სასამართლოში“.

მე-4, მე-5, მე-7 და მე-8 აუდიოფაილში ჯ. შ-დმას მშობლების მკვლე-ლობაში სდებს ბრალს. ეუბნება, რომ მიმართავს პ....ი მოსამართლეს,

რომ გამოიკვლიოს მისი (ვ. შ-ს) მონაწილეობა და საეჭვო გარემოებები მშობლების სიკვდილში.

მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 აუდიოფაილში ვ. შ. მუქარის გამო ლანდლავს ჯ. შ-ს, ეძახის ვირთხას, ემუქრება სასამართლოთი, „გინდა აქ ჩამოხვიდე და გადაგვჭრა მე და ჩემი ცოლი, მე წავალ ჩემ მშობლებთან, შენ კი დაბლები, მთელი სახლი კამერებშია და პოლიციამ იცის ყველაფერი“.

მე-13, მე-14 და მე-15 აუდიოფაილში ჯ. შ. მიმართავს ვ. შ-ს სიტყვებით, რომ არ ანტერესებს მშობლები, რომლებმაც 16 წელს ბინა გადაუფორმეს (ვ. შ-ს), ბინა რომელიც ეკუთვნოდა მას, ასევე ეუბნება რომ „მე მეკუთვნის და მე მივიღებ, გპირდები, რომ ივლისის თვის შემდეგ სიხარული აღარაფერში გექნება, არც შენ და არც შენს ოჯახს“; ეუბნება, რომ ბინის მითვისებას ასე არ დატოვებს და აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას. ასევე ეუბნება, რომ „მშობლების ცოდვებისთვის პასუხს შვილები აგებენ“, „ეძებე მიზეზი, შენ გინდა, რომ მეტად გამაბრაზო, ვზივარ და ველოდები, ეს იქნება 1 თვის, ერთი წლის თუ 10 წლის შემდეგ, როცა შენთან გადავწყვეტ ამ საქმეს დამიჯერე შენ ძალიან ინანებ და შეიძლება ესეც ვერ მოასწრო“, ასევე აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას.

მე-17 აუდიოფაილში ჯ. შ. მიმართავს ვ. შ-ს, ეუბნება რომ „იმის გამო რომ შენ გაიფორმე ჩემი კუთვნილი სახლი, მხოლოდ ამის გამო საჭიროა შენი მოკვლა და ძალლივით დაკვლა!“.

მე-19, 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე, 28-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე აუდიოფაილებში ვ. შ- მიმართავს ჯ. შ-ს, მუქარების გამო ლანძღვს და აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, უნდებს მათხოვარს, ნარკომანს, პედოფილს, „შენ მე მომკლავ, მე მოვკვდები ერთხელ, შენ ყოველდღე კვდები, ესაა ნარკომანის ცხოვრება... გინდა რომ მშობლების გარეშე დატოვო ჩემი შვილები... გინდა მომკლა, დამჭრა, შენ მე მკლავ ფულის გამო... მოდი მომკალი, როგორ გინდა მომკლა და თავი მომჭრა, მოდი მომკალი, მითხარი თარიღი და მე ჩამოვალ. მე ერთხელ მოკვდები და რას მიაღწევ რომ მომკლავ, გამდიდრდები? მითხარი როდის ჩამოვიდე და ჩამოვალ“.

35-ე, 36-ე, 37-ე აუდიოფაილებში ჯ. შ. მიმართავს ვ. შ-ს უყვირის, აგინებს და ემუქრება „გეუბნები, დააზღვიე სახლი, ცოლ-შვილი, რაც გიყვარს და გული გტკივა... შენ შეიძინე მტერი, არ გაპატიებ... უყურე შენს სახლს იგივე არ დაემართოს რაც მშობლების სახლს, შენიანად და შენს შვილებთან ერთად“.

42-ე აუდიოფაილში ჯ. შ- მიმართავს ვ. შ-ს შემდეგი სიტყვებით: „როცა ბინაზე გადამაგდე შენს განაჩენს მოაწერე ხელი, ღმერთს ვფიცავ ნაძირალა, ახლა ამ სიტყვებისთვისაც... დამელოდე ნაძირალა“.

43-ე და 44-ე აუდიოფაილშივ. შ. მიმართავს ჯ. შ-ს, აყენებს სიტყვი-ერ შეურაცხყოფას, ეუბნება რომ არის ნარკომანი, ეუბნება „თუ მოკ-ვლა გინდა მოდი და მომკალი, მაგრამ მშობლების ბინას მაინც ვერ მიიღებ, მერე რომ ნარკოტიკებში გადაცვალო, მთხოვეს გეცხოვრა ამ სახ-ლში, შენ კი გინდა ეს ფული გაანიავო“.

45-ე და 46-ე აუდიოფაილშივ. შ. მიმართავს ვ. შ-ს, ეუბნება „ჩემზე ნერვიულობ რომ ქუჩაში არ დავრჩე, ნახავ შენი შვილები სად დარჩები-ან, დააზღვიე შენი სახლი სანამ მე ჩამოვალ, ფრთხილად იყავი იმასაც იგივე არ დაემართოს, რაც მშობლების სახლს, ივლისის თვე, ღმერთიც ვერ გადაგარჩენს ვერც შენ ვერც შენს შვილებს... დამელოდე!“.

48-ე, 49-ე, 50-ე და 51-ე აუდიოფაილშივ. შ. მიმართავს ჯ. შ-ს, ეუბ-ნება რომ მალე მაგ სახლიდანაც გამოვარდება, აღარ ექნება მასთან კონტაქტი და მიმართავს სასამართლოს.

5.8. 2023 წლის 17 მარტის №... ფონოსკოპიური ექსპერტის დასკვნით დასტურდება, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ აუდი-ოგრამებს მონტაჟის ნიშნები არ აღენიშნება და ექსპერტიზაზე გამო-საკვლევად წარმომდგენილ სადავო ფონოგრამებში მოსაუბრე დიქტო-რი მამაკაცის ხმა და ეტალონურ ფონოგრამაში (ხმის ნიმუში) მოსაუბ-რე ჯ. შ-ს ხმა ერთმანეთის იდენტურია. აღნიშნული დასკვნის სისწორე დადასტურებულია ექსპერტ დ-ის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვე-ნებით.

5.9. საკასაციო სასამართლო აფასებს დაზარალებულის ჩვენებას და განმარტავს, რომ დაზარალებულმა ვ. შ-მა კატეგორიულად და ერთმნიშ-ვნელოვნად დაადასტურა ჯ. შ-ს მხრიდან მის მიმართ განხორციელე-ბული სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტი, რა დროსაც მას გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. დაზარალებულის ჩვე-ნება გამყარებულია სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული დისკებით, რომელზეც ჩაწერილია ვ. შ-ს კუთვნილი „SAMSUNG S9“ მოდელის მო-ბილური ტელეფონიდან გამოთხვილი ინფორმაცია და 2023 წლის 17 მარტის №... ფონოსკოპიური ექსპერტის დასკვნით.

5.10. ამდენად, დაზარალებულისა და ზემოთხსენებული მტკიცებუ-ლებებით ცალსახად დაგინდება, რომ 2022 წლის დეკემბრის თვიდან 2023 წლის თებერვლამდე დროის პერიოდში ჯ. შ. სოციალური ქსელის მეშ-ვეობით სისტემატურად ახორციელებდა სიცოცხლის მოსპობის მუქა-რას ბ... მცხოვრები ძმის – ვ. შ-ს მიმართ, კერძოდ ეუბნებოდა, რომ არ გაახარებდა, დაუობლებდა შვილებს, გაიზიარებდა დაღუპული მშობ-ლების ბედს, ხოლო დაზარალებულმა მსჯავრდებულის მუქარა აღიქვა რეალურად, მისი პიროვნებისა და ნარსული ქმედებების გათვალისწი-ნებით. დაზარალებულმა ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ მისი ძმა, მას ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით, ხოლო ფაქტი, რომ სადავო

ფონოგრამებში მოსაუბრებ მამაკაცი არის ჯ. შ. დადასტურებულია ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტ დ-ის ჩვენებით.

5.11. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის ვერ-სიას, რომ ვ. შ-ს დამცინავი პასუხები გამორიცხავს დაზარალებულის მიერ მუქარის რეალუარად აღქმას. აუდიოფაილებით ნამდვილად დასტურდება დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის არსებული და-ძაბული ურთიერთობა და კონფლიქტური სიტუაცია ყოფით და მატე-რიალურ ნიადაგზე, თუმცა, ასევე ცალსახად დადასტურდა ჯ. შ-ს მხრი-დან განხორციელებული მუქარის ფაქტები, რაზეც დაზარალებული რიგ შემთხვევებში აგულიანებს მსჯავრდებულს და თანაც მიმართავს, რომ სახლი დაცულია ვიდეოკამერებით, ხოლო რიგ შემთხვევაში აფრთხი-ლებს, რომ მიმართავს სამართალდამცავებს და სასამართლოს, რაც კი-დევ ერთხელ ხაზს უსვამს დაზარალებულის მხრიდან საფუძვლიანი ში-შის რეალურად არსებობას.

5.12. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ საქარ-თველოს სსკ-ის 151-ე მუხლით სისხლისამართლებრივი პასუხისმგებ-ლობა დაწესებულია მუქარისთვის, რაც გულისხმობს სიცოცხლის მოს-პობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის გან-ხორციელების საფუძვლიანი შიში. ამ დანაშაულის შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ მუქარა მიმართული იყოს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურებისაკენ. ქმედე-ბის მუქარად დაკვალიფიცირებისათვის გადამწყვეტია, რომ მუქარის ადრესატს გაუჩნდეს საფუძვლიანი შიში, რომ მუქარა რეალურად გან-ხორციელდება. ამ საკითხის შეფასებისას სასამართლომ უნდა იხელ-მდღვანელოს, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური კრიტერიუმით. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დამმუქრებლის პიროვნე-ბა, ურთიერთდამოკიდებულება დამნაშავესა და მსხვერპლს შორის, მუ-ქარის გამოხატვის ხერხი, ფორმა, ინტენსივობა და სხვა.

5.13. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეზე გამოკვლეული მტკი-ცებულებებით უტყუარად დადასტურდა ჯ. შ-ს აგრესიული მიმართვა და სიცოცხლის მოსპობის მუქარა, რომელიც ნებისმიერ ჯანსაღი ფსი-ქიკის მქონე ადამიანს შეუქმნიდა განცდას მუქარის რეალურობასთან დაკავშირებით. ამასთან, დამმუქრებლის პიროვნების, დამნაშავესა და მსხვერპლს შორის გამწვავებული ურთიერთდამოკიდებულების, მუქა-რის გამოხატვის ხერხისა და დაზარალებულის განმარტებების გათვა-ლისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა დანაშაულის – მუ-ქარის შემადგენლობისათვის სავალდებულო ყველა ნიშანი.

5.14. ამდენად, საკასაციო პალატის შეფასებით, კანონის მოთხოვ-ნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეუ-

ლი, ურთიერთშეჯერებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით შესაძლებელია, როგორც ფაქტების უტყუარი და-დასატურება, ისე – მატერიალური სამართლის ნორმის თითოეულ ელე-მენტის დადასატურებულად მიჩნევა, რაც ქმნის დანაშაულის სრულყოფილ შემადგენლობას და სახეზეა დანაშაული, გათვალისწინებული სა-ქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

## 6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართალნარმოების სამართლიანობა ვლინდება სამართლიანი სასჯელის დაკისრებაში, რა დროსაც სასამართლო შებოჭილია ვალდებულებით მის მიერ დანიშნული სასჯელი იყოს ეფექტური და პროპორციული. სასჯელის პრო-პორციულობა გულისხმობს მის გამოყენებას მნიშვნელოვნად ინდივი-დუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამარ-თლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმ-ძიმეს. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს, ასევე განამტკიცებს სა-ქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც სასამარ-თლოს ავალდებულებს, დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯე-ლი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამო-ყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

6.3. სასამართლომ სასჯელის დანიშნისას უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზანი: სა-მართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამ-ნაშავის რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სას-ჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქ-მედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კა-ნონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო მე-3 ნაწილის თა-ნახმად, სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მი-სი ღირსების დამცირება.

6.4. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თა-ნახმად, სასჯელის დანიშნისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გა-რემოებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედე-ბაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარ-

ღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

6.5. საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც ჯ. შ-ს მსჯავრი უნდა დაედოს სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწინებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

6.6. სასჯელის თანაზომიერება მიზნად ისახავს მიღწეული იქნეს ბალანსი პირის დასჯის ხარისხსა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ლეგიტიმურ ინტერესებს შორის, რაც განსახილველ შემთხვევაში მიღწევადია სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პირობებში. დანაშაულის ხასიათი და ქმედებაში გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება ასახულია შესაბამისი მუხლის საწილის ფარგლებში და ამ კუთხით არ არსებობს სასჯელის დამამდიმებელი გარემოებები.

6.7. საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშნვისას, მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

6.8. სასჯელის დანიშვნისას საკავალი სასამართლო ითვალისწინებს მსჯავრდებულის პირად და ეკონომიკურ პირობებს, მის ქმედებებში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ჩადენილი ქმედებების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათს, ქმედების განხორციელების სახეს და ხერხს, ასევე იმ გარემოებას, რომ ჯ. შ-მა აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა განზრახი დანაშაულისთვის შეფარდებული პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში. ამდენად, ჯ. შ-ს მიმართ სახეზეა საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი რეციდივის გათვალისწინების საფუძველი, რის გამოც მას სასჯელის სახედ და ზომად უნდა გაანგესაზღვროს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც თანაზომიერი და პროპორციულია მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და საშიშროებასთან, ასევე უზრუნველყოფს მომავალში საზოგადოებაში მის უსაფრთხო რესოციალიზაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნების მიღწევას.

6.9. ამასთანავე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან ჯ. შ-ს მიერ მისთვის მსჯავრადშერაცხილი განზრახი დანაშაული ჩადენილი იქნა

პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უნდა გაუქმდეს მის მიმართ თბილი-სის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სასჯელი უნდა დაენიშნოს ამ კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით. კერძოდ, სასამართლო სასჯელის დანიშნვის დროს მიიჩნევს, რომ ჯ. შ-ს საბოლოო სასჯელი უნდა დაენიშნოს სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპის გათვალისწინებით, რა დროსაც ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ უნდა დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, ჯ. შ-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს – 1 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

6.10. ამასთან, ვინაიდან ჯ. შ-მა მსჯავრადშერაცხილი დანაშაული ჩაიდინა 2024 წლის 1 ივლისამდე, მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი.

6.11. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, 1<sup>1</sup>-ე ნაწილის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით, 1<sup>1</sup>-ე ნაწილით (გარდა სისტემატური (ცემისა) ან მე-2 ნაწილის (გარდა სისტემატური (ცემისა), „ა“ ან „ლ“ ქვეპუნქტით, 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით ან 151-ე მუხლის პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის ალსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

6.12. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიმისათვის რათა პირზე გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება, შესაბა-

მისი მუხლებით მსჯავრდების გარდა, აუცილებელია კუმულაციურად რამდენიმე პირობის დაქმაყოფილება, კერძოდ: 1) მსჯავრდებული უნდა იყოს განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლობის არმქონები; 2) თითოეულმა დაზარალებულმა ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობა უნდა განაცხადოს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია; 3) მსჯავრდებული თანახმა უნდა იყოს მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ძალადობის გამოწყობის რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი. ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი პირობის დაუკავშირდებლობა გამორიცხავს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების შესაძლებლობას.

6.13. ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ხოლო მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირზე ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება, თუ იგი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

6.14. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის მასალებში და პირად საქმეში წარმოდგენილი არ არის დაზარალებულის – ვ. შ-ს თანხმობა მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის კანონის გამოყენების შესახებ, ასევე ჯ. შ-დანაშაულის ჩადენის დროს იყო განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი – არ არსებობს ჯ. შ-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის გავრცელების საფუძველი. ამასთან, ვინაიდან მსჯავრდებულის პირად საქმეში მოთავსებულია მსჯავრდებულის თანხმობა მის მიმართ „ქალთა მიმართ ძა-

ლადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდება სასჯელი ამნისტიის კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების თანახმად, ჯ. შ-ს ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი.

6.15. „ამნისტიის შესახებ“, 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენის შემთხვევაში), 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენის შემთხვევაში) ან 381<sup>1</sup> მუხლით, ან იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა ოჯახური დანაშაული (გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-7 მუხლით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულისა), ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ ალისტორიულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმტეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

6.16. რაც შეეხება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს (რომლის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა დაემატოს ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს), მოცემულ შემთხვევაშიც დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა დაზარალებულის თანხმობა მსჯავრდებულ ჯ. შ-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელების თაობაზე. შესაბამისად, ამ პირობებში არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 120-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელზე ამნისტიის კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის გავრცელების საფუძველი.

6.17. ამასთან, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ჯ. შ-ს მიმართ გამოცემული უნდა იქნეს დამცავი ორდერი, – 3 თვით, იმ ვადით, რა ვადითაც ამნისტიის შედეგად შეუმცირდება სასჯელი.

6.18. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამნისტიის შესახებ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ჯ. შ-სა და მისი ინტერესების დამცველის ადვოკატ 6-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ჯ. შ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდეს ერთი მეექსედით და განესაზღვროს 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელის ნაწილობრივ დაემატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, ჯ. შ-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

6. ჯ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაწყოს – 2024 წლის 8 ივნისიდან;

7. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ჯ. შ-ს მიმართ გამოიცეს დამცავი ორდერი 3 თვით (იმ ვადით, რა ვადითაც პირს ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი) ჯ. შ-ს აეკრძალოს: დაზარალებულ ვ. შ-თან ნებისმიერი სახის კომუნიკაციის დამყარება, ნებისმიერი სახის ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებით, როგორც ვერბალურად, ასევე, მიმოწერის გზით, სოციალური ქსელების, ან სხვა ნებისმიერი საშუალების გამოყენებით; მის საცხოვრებელ, სამუშაო, ან სხვა ადგილთან მიახლოება, სადაც დაზარალებული იმყოფება, ასევე, პირადად დაზარალებულთან მიახლოება;

8. დამცავი ორდერი ძალაში შედის პენიტენციური დაწესებულები-დან გათავისუფლებისთანავე;

9. მსჯავრდებულს განემარტოს, რომ მის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით;

10. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მსჯავრდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო გაუქმდებულია;

11. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

– გ. შ-ს მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი ინფორმაცია და ჯ. შ-ს ხმის ნიმუში, დალუქულ მდგომარეობაში ერთ პაკეტად, ვ. შ-ს მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის სხდომის აუდიოჩანაწერი – შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

12. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

13. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ოჯახის ერთი ნევრის მიერ ოჯახის სხვა ნევრის პინაში  
მფლობელის ერთი საცინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა,  
რომელიც არღვევს პინის ან სხვა მფლობელის  
სელშეუხებლობას**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№ 1229აპ-24

24 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატა შემადგენლობა:**

- ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),**
- მ. გაბინაშვილი,**
- ლ. თევზაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-ის ინტერე-  
სების დამცველი ადვოკატის პ. ნ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის საა-  
პელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024  
წლის 17 სექტემბრის განაჩენზე.

**აღნერილობით – სამოტივაციო ნაწილი:**

**1. ნარდენილი ბრალდების არსი:**

1.1. ა. კ. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სა-  
მართლის კოდექსის (შემდგომში საქართველოს სსკ-ის) 11<sup>1</sup>, 151-ე მუხ-  
ლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ, სიცოც-  
ხლის მოსპობის და ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვი-  
საც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი ში-  
ში) და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯა-  
ხის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის ბინაში, მფლობელის ნების  
საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, რომელიც არღვევს ბინის მფლო-  
ბელობის ხელშეუხებლობას) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადე-  
ნისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

1.2. 2023 წლის 26 ივლისს, დაახლოებით, 02:00 საათზე, ქ-ში მდება-  
რე საცხოვრებელ სახლში, ა. კ-ე სიცოცხლის მოსპობით და ქონების  
განადგურებით დაემუქრა, ოჯახის წევრს, მეუღლეს – ხ. ჯ-ეს, რაც და-  
ზარალებულმა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის განხორციე-  
ლების საფუძვლიანი შიში.

1.3. 2023 წლის 26 ივლისს, დაახლოებით 02:00 საათზე, ქ-ში მდებარე  
საცხოვრებელ სახლში, ა. კ-ე მესაკუთრის და მფლობელის ოჯახის წევ-  
რის, მეუღლის მშობლის – ხ. ჯ-ის ნების საწინააღმდეგოდ, დაკეტილი

ფანჯრიდან უკანონოდ შევიდა მის საცხოვრებელ სახლში, რითაც და-ირღვა 6. ჯ-ის ბინისა და მფლობელობის ხელშეუხებლობა.

## **2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:**

2.1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 11 იანვრის განაჩენით, ა. კ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,160-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდებით.

ა. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის თანახმად, ა. კ-ეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩატარვალა დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დრო, 2023 წლის 28 ივნისიდან 2023 წლის 25 აგვისტოს ჩატვლით და საბოლოოდ, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 55 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

2.2. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 11 იანვრის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რამაზ შანიძემ, რომელმაც მოითხოვა ა. კ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,160-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდებით და უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, რაც დაკავშირებული იქნება სასჯელის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდასთან.

## **3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 11 იანვრის განაჩენში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ:

გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 11 იანვრის განაჩენი ა. კ-ის საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,160-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების ნაწილში.

ა. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,160-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,160-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თანაბარი ზომის სასჯელებიდან ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ა. კ-ეს განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ა. კ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათველა დაეწყო განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავებიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2023 წლის 28 ივლისიდან 2023 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

3.2. 2024 წლის 17 ოქტომბერს, მსჯავრდებულ ა. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადგომატმა, პ. ნ-ებ საკასაციოსაჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდებით და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის არასაპატიმრო სასჯელის განსაზღვრა.

#### 4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება, იმის თაობაზე, რომ ა. კ-ემ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება უკანონოა, ვინაიდან ა. კ-ე მანამდე აღნიშნულ ბინაში ცხოვრობდა მეუღლესთან – ხ. ჯ-სთან ერთად. მართალია, 2023 წლის 26 ივლისს, ის და ხ. ჯ-ე დაშორებულები იყვნენ, თუმცა მისი განზრახვა მოიცავდა მეუღლესთან შერიგებას და არა – ბინაში უკანონო შეღწევას. ამასთან, აღნიშნული საცხოვრებელი ბინის მესაკუთრები არიან სხვა პირები, რომლებიც არ დაკითხულან, და შესაბამისად, უცნობია მათი პოზიცია. ამ ფაქტის ირგვლივ დაიკითხენ ხ. ჯ-ის მშობლები, რომლებიც იმ დროს იყვნენ დაინტერესებული პირები. ამასთან, კასატორის აზრით, ა. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი ზედმეტად მეტად და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს არა-საპატიმრო სასჯელი.

#### 5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ცვლილება უნდა შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის

## 17 სექტემბრის განაჩენში, კერძოდ:

5.2. საკასაციო პალატა, თავდაპირველად აღნიშნავს, რომ სადავო ფაქტობრივ გარემობას არ წარმოადგენს ა. კ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი. დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი შეეხება ა. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის კანონიერებას/ სამართლიანობას და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში დანაშაულის ნიშნების არარსებობას, ვინაიდან დაცვის მხარის განმარტებით, ა. კ-ის მიერ ხ. ჯ-ის საძინებელ ოთახში ფანჯრიდან გადაძვრომის მიზანი იყო არა პინაში უკანონო შეღწევა, არა-მედ - ყოფილ მეუღლესთან შერიგება.

5.3. შესაბამისად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცათუ არა სააპელაციო სასამართლომ ა. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრად-შერაცხილ ქმედებას და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის კანონიერება.

5.4. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, პრალად წარდგენილ ორივე ეპიზოდთან მიმართებით, სრულად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

5.5. საქმეში არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიღებული უდავო მტკიცებულებებით: დაზარალებულების: ხ. ჯ-ისა და ნ. ჯ-ის, მოწმეების: ნ-ის, დ-ისა და დის გამოკითხვის ოქმებით, 2023 წლის 26 ივლისის №.... შემაკავებელი ორდერითა და თანდართული ოქმით, 2023 წლის 29 ივლისის საცხოვრებელი სახლის დათვალიერების ოქმით, 2023 წლის 29 ივლისის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ა. კ-ემ ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის და ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლის შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ. ასევე ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის პინაში, მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, რომელიც აღვევს ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობას.

5.6. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე წარმოდგენილ საკ-

მარის და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით ასევე გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ა. კ-ემ გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალადშერაცხილი ქმედებები, ჩაიდინა ოჯახის წევრების მიმართ.

5.7. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად დაკვალიფიცირდა ა. კ-ის ქმედება და ვინაიდან წარსულში მსჯავრდებული მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში, მის ქმედებაში არ არის საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანამუშლის ნიშნები.

5.8. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა დაწესებულია ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის წების სანინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლის, უკანონო ჩხრეკის ან სხვა ქმედებისთვის, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას. ბინისა და მფლობელობის წრებაში იგულისხმება არა მარტო საცხოვრებელი ფართი (სახლი, ბინა) არამედ სასტუმროს ნომერი, ოთახი საერთო საცხოვრებელში, სარდაფი, გარაჟი, ეზო და სხვა. ქმედების ამ მუხლით კვალიფიციისათვის აუცილებელია ნათლად იყოს გამოხატული ბინის მფლობელის წება მასში სხვა პირის არასასურველი ყოფნის შესახებ.

5.9. კონკრეტულ შემთხვევაში, დაზარალებულების: ხ. ჯ-ის, ნ. ჯ-ისა და მოწმე ნ-ის გამოკითხვის ოქმებით (უდავო მტკიცებულებები), უტყუარად დასტურდება, რომ 2023 წლის 26 ივლისს, ა. კ-ემ დაახლოებით, 02:00 საათზე, ქ. ბ-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, მესაკუთრის და მფლობელის ოჯახის წევრის, მეუღლის მშობლის – ხ. ჯ-ის წების სანინააღმდეგოდ, დაკეტილი ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწია ხ. ჯ-ის საძინებელ ოთახში და სთხოვდა შერიგებას. უარის მიღების შემდეგ კი, დაემუქრა სიცოცხლის მოსპობითა და ქონების განადგურებით. ხ. ჯ-ემ მოსთხოვა ოთახის დატოვება და დასახმარებლად მოუხმი მშობლებს. აღნიშნული გამოკითხვის ოქმებით, ასევე დადასტურებულია, რომ მართალია, ა. კ-ე ხ. ჯ-სთან და მეუღლის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა აღნიშნულ მისამართზე, თუმცა დაახლოებით 2023 წლის მარტიდან ა. კ-ე და ხ. ჯ-ე დაშორდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც ა. კ-ე აღარ ცხოვრობდა აღნიშნულ მისამართზე და ხ. ჯ-ემ აუკრძალა მათ საცხოვრებელ სახლში მისვლა.

5.10. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, უტყუარად დადასტურდა, რომ ა. კ-ეს არ ჰქონდა ხ... და ხ. ჯ-ების მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინაში შესვლის უფ-

ლება, რაზეც ასევე მიუთითებს მისი მხრიდან აღნიშნულის განხორცი-ელება გვერდითი გზებით, კერძოდ, ხ. ჯ-ის საძინებელ ოთახში ფან-ჯრიდან გადაძვრომა, მალულად. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებით, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას ა. კ-ის საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხ-ლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდებით უდანაშაულოდ ცნო-ბის თაობაზე.

5.11. რაც შეეხება დაცვის მხარის მითითებას, რომ ხ. ჯ-ის საკუთ-რებასა და მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი, რომელ-ში შესვლასაც ედავება ბრალდების მხარე ა. კ-ეს, ასევე წარმოადგენს სხვა პირების საკუთრებას, რომლებიც ბრალდების მხარეს არ გამოუ-კითხავს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული მტკი-ცებულებებით, ასევე დადასტურდა, რომ სადავო საცხოვრებელი ფარ-თი – ბინა, იმყოფებოდა ნ. ჯ-ის და მისი ოჯახის წევრების (მუხლის – ნ-ისა და შვილის – ხ. ჯ-ის) მფლობელობაში, სხვა თანამესაკუთრები არ ფლობდნენ აღნიშნულ ბინას. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის მოთხოვნას ა. კ-ის საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდებით უდანა-შაულოდ ცნობისა და გამართლების თაობაზე.

5.12. ამდენად, საკასაციო პალატის შეფასებით, კანონის მოთხოვ-ნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად მოპოვებული, ურთიერთშეჯერებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, უტყუა-რად დადასტურდა ა. კ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხ-ლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ფაქტი.

## 6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. სისხლის სამართლწარმოების სამართლიანობა ვლინდება სა-მართლიანი სასჯელის დაკისრებაში, სასამართლო კი შებოჭილია ვალ-დებულებით: მის მიერ დანიშნული სასჯელი იყოს ეფექტიანი და პრო-პორციული. სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მის გამოყენე-ბას მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედ-ველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანა-შაულის შედეგად გამოწვეული ზიანი.

6.2. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამარ-თლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმ-

ძიმეს. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს, ასევე განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს, დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაფიო სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

6.3. სასამართლომ სასჯელის დანიშნვისას უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზანი: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

6.4. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშნვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგონება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

6.5. სასჯელის თანაზომიერება მიზნად ისახავს მიღწეული იქნება-ლანსი პირის დასჯის ხარისხსა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ლეგიტიმურ ინტერესებს შორის, რაც განსახილველ შემთხვევაში, მიღწევადია სასჯელის სახედ, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პირობებში. სააპელაციო სასამართლომ, ა. კ-ს, საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე, 58-ე და 59-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით კანონიერი და სამართლიანი სასჯელები განუსაზღვრა, რაც სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული, სასჯელის მიზნების განხორციელებას და სრულად შეესაბამება, როგორც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მოთხოვნებს, ისე – საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს (ჩადენილი დანაშაულების ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას).

6.6. ამასთან, ვინაიდან ა. კ-მ მსჯავრადშერაცხილი დანაშაულები ჩაიდინა 2024 წლის 1 ივლისამდე, მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი. საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი იქნა დაზარალებულების – ხ. ჯ-ისა და ხ. ჯ-ის თანხმობა ა. კ-ის მიმართ „ამნისტიის

შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით გათვალი-წინებული შეღავათის გავრცელების თაობაზე, ასევე ა. კ-ის პირად საქ-მეში განთავსებულია მსჯავრდებულის განცხადება, რომლითაც ირკვე-ვა, რომ იგი თანახმაა გამოცემული იქნეს დამცავი ორდერი.

6.7. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უნდა გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი გან-ზრახი დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რო-მელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქარ-თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწი-ლით ან მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, თუ თითოეული დაზარალებუ-ლი ამ კანონის აღსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის გან-მეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვა-დით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგ-რამ არაუმეტეს – 9 თვისა.

6.8. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშ-ნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირვე-ლი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კა-ნონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნ-ქტით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პირზე ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამ-ნისტია გავრცელდება, თუ იგი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მი-მართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანო-ნის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შე-ფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე. ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თა-ნახმად, იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვა-ლისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშ-

ნით ჩადენის შემთხვევაში), 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ამ დანაშაულის ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენის შემთხვევაში) ან 381<sup>1</sup> მუხლით, ან იმ პირზე, რომელმაც ჩაიდინა ოჯახური დანაშაული (გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-7 მუხლით განსაზღვრული ოჯახური დანაშაულისა), ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის ალსრულებისას გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს ნინაშე თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია, და თუ ეს პირი თანახმაა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ალკოჰოლის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ პირის მიერ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, მაგრამ არაუმეტეს – 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე.

6.9. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. კ-ე ნარსულში ნასამართლევია განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, ამდენად, დაზარალებულის თანხმობის არსებობის მიუხედავად საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელზე ვერ გავრცელდება ამნისტიის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი. ამასთან, ვინაიდან მსჯავრდებულის პირად საქმეში მოთავსებულია მსჯავრდებულის თანხმობა, რომ მის მიმართ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ალკოჰოლის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე გამოიცეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რომლითაც მას ამნისტიის შედეგად შეუმცირდება სასჯელი, ამნისტიის კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების თანახმად, ა. კ-ეს ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი.

6.10. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნულ სასჯელს, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების თანახმად, ა. კ-ეს ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი.

6.11. ამასთან, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ალკოჰოლის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ა. კ-ის მიმართ გამოცე-

მული უნდა იქნეს დამცავი ორდერი, იმ ვადით, რა ვადითაც ამნისტიის შედეგად შეუმცირდება სასჯელი.

6.12. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სა-სამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სის-ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის განა-ჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტი-ის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

### **დ ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ა. კ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის პ. 6-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ცვლილება შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სის-ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 სექტემბრის განა-ჩენში;

3. ა. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულე-ბის ჩადასტუმრობის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

4. საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვე-პუნქტით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის თა-ნახმად, შეუმცირდეს 1/6-ით და განესაზღვროს 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 160-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის თანახმად შეუმცირ-დეს 1/6-ით და განესაზღვროს 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღ-კვეთა;

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სა-ქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქეას მეორე თანაბარი სასჯელი და დანა-შაულთა ერთობლიობით, ა. კ-ს საბოლოოდ განესაზღვროს – 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

7. ა. კ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან –

2024 წლის 27 ნოემბრიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალის პატიმრობაში ყოფნის დრო – 2023 წლის 28 ივნისიდან 2023 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით;

8. ცნობად იქნეს მიღებული რომ მსჯავრდებულ ა. კ-ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და ყადაღა მოეხნაო (ს/კ ...) მდებარე, და... და... (პ/ნ ...), დ. დ-ა (პ/ნ ...) და ფ-ი და... (პ/ნ ... სახელზე, საკუთრების უფლებით რიცხული უძრავი ქონების 5000 ლარის ღირებულების წილს;

9. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ა. კ-ის მიმართ გამოიცეს დამცავი ორდერი 3 თვით (იმ ვადით, რა ვადითაც პირს ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი) და ა. კ-ეს აეკრძალოს: დაზარალებულებთან – ხ. ჯ-ესთან და 6. ჯ-ესთან ნებისმიერი სახის კომუნიკაციის დამყარება, ნებისმიერი სახის ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებით, როგორც ვერპალურად, ასევე, მიმოწერის გზით, სოციალური ქსელების, ან სხვა ნებისმიერი სამუალების გამოყენებით; მათ საცხოვრებელ, სამუშაო, ან სხვა ადგილთან მიახლოება, სადაც დაზარალებულები იმყოფებიან, ასევე, პირადად მათთან მიახლოება;

10. დამცავი ორდერი ძალაში შედის ა. კ-ს პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებისთანავე;

11. ა. კ-ს განემარტოს, რომ მის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით;

12. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

13. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 4. ეკონომიკური დანაშაული

### ქურდობა, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების ნივარები

განაჩენი  
საქართველოს სახელით

№983აპ-24

6 მარტის, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატა შემადგენლობა:

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. თევზაძე,  
ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ფ-ს ადვოკატ  
გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024  
წლის პირველი ივლისის განაჩენზე.

#### აღნიშვნილობითი ნაწილი:

##### 1. ბრალდების შესახებ დადგენილებით:

1.1. თ. ფ-ს – ბრალად ედებოდა ქურდობა, ესე იგი, სხვისი მოძრავი  
ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზ-  
ნით, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, დიდი ოდე-  
ნობით, იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მარ-  
თლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, დანაშაული, გათვალისწინე-  
ბული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – სა-  
ქართველოს სსკ) 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, მე-4 ნაწილის „ბ“ და  
„გ“ ქვეპუნქტებით.

##### 2. ბრალდების შესახებ დადგენილებით, თ. ფ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგით:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის განა-  
ჩენით, თ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხ-  
ლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო თბილისის საქალა-  
ქო სასამართლოს 2019 წლის 26 სექტემბრის განაჩენით – საქართვე-  
ლოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

2.2. 2023 წლის 4 თებერვალს, ღამის საათებში, თ-ი, პ...-ში მდებარე  
იტალიური ტიპის ეზოდან თ. ფ. ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მი-  
საკუთრების მიზნით დაეუფლა ო. მ-ის კუთვნილ „TOYOTA PRIUS“-ის  
მოდელის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით ...). აღნიშნული ქმედე-

ბითო. მ-ს მიადგა 11 500 ლარის, დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

### 3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 აპრილის განაჩენით:

3.1. თ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანამატულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ თ. ფ-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

3.2. თ. ფ-ს სასჯელის მოხდის ვადად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფილის პერიოდი – 2023 წლის 21 თებერვლიდან 2023 წლის 20 მარტის ჩათვლით და სასჯელის ვადის ათვლა დაწყოთ სასჯელის აღსრულების მიზნით მისი თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულ თ. ფ-ს ადვოკატმა – ვ. ბ-ემ – სააპელაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 აპრილის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის პირველი ივლისის განაჩენით, დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულ თ. ფ-ს ადვოკატმა – ვ. ბ-ემ – საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 1 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენა, შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით: დაზარალებულის კუთვნილ ავტომანქანაში არ აღმოჩნდა თ. ფ-ს ბიოლოგიური მასალა და სუნის კვალი; თ. ფ-ს ტანსაცმელზე არ აღმოჩნდა ავტომანქანის სავარძლის ქსოვილის ნაერთის ბოჭკოები; დამნაშავის იდენტიფიცირების მიზნით, დაქტილოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზები არ ჩატარებულა, რის გამოც, მსჯავრდებულის შემთხვევის ადგილზე ყოფნა მხოლოდ ვარაუდია; თ. ფ-ს ტანსაცმლისა და ვიდეოჩანანერში ასახული დამნაშავის ტანსაცმლის იდენტურობა არ დადგენილა; გამამტყუნებელი განაჩენი ბრალდებულთან ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნით ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტს ვერ დაეფუძნება.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკა-საციოსაჩივრის საფუძვლინობა და მიაჩინა, რომ დაცვის მხარის საკა-საციოსაჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა გასაჩივრებული გა-ნაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ დაცვის მხარე არ უარყოფს ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული დანაშა-ულის ფაქტს, სადაც მხოლოდ დამნაშავის ვინაობა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე არ გამოკვლეულა სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები (მათ შორის: დაზარალებულ ო. მ-ის გამოკითხვის ოქმი, მონმედიების – გ. ხ-ის, ვ. ხ-ას, ს. მ-ისა და ლ. მ-ის – გამოკითხვის ოქმები; ავტომობილის დათვალიე-რების ოქმი; ვიდეოჩანანერების გახსნისა და დათვალიერების ოქმები; ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ამონტების ოქმი და ამონტებული ნივთიე-რი მტკიცებულებები; დაზარალებულისა და ბრალდებულის მონანილე-ობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმები; ოდოროლო-გიურიექსპერტიზის დასკვნა, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა; ნივ-თიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის დას-კვნა), ვინაიდან ისინი მხარეებმა მიიჩნიეს უდავოდ და, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართვე-ლოს სსსკ) 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიენიჭათ პრეიუდიციული მნიშვნელობა.

4. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ით, გა-მამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის განსაზღვრული, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მოიაზრებს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალებულობაში, რაც „გულისხმობს მტკიცებულებათა ხარისხობრივ და არა – რაოდენობრივ მასასიათებელს“ (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 27 ოქტომბრის №400აპ-21 განჩინება). „მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, რომელი სახის და რა რაოდენობის მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში დაიშვება გამამტყუნებელი განაჩენის დად-გენა, მით უფრო არ ადგენს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემ-ყარებოდეს მხოლოდ პირდაპირი ხასიათის გამამტყუნებელ მტკიცე-ბულებებს“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 21 ივლისის №594აპ-22 განჩინება). „როდესაც მტკიცებულება მყრია და მის სანდოობასთან მიმართებით არ არსებობს რისკები, დამატებითი მტკიცებულების საჭიროება, შესაბამისად, მცირეა“ (იხ. Tortladze v. Georgia, no. 42371/08, §69, ECtHR, 18/06/2021).

5. შესაბამისად, საკითხი – რა სახის და რაოდენობის მამხილებელი მტკიცებულების ერთობლიობაა საკმარისი გამამტყუნებელი განაჩე-

ნის დასადგენად, წყდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით.

6. ქ. თ-ში, პ. ჩ-ს № მდგებარე შპს „დ-დან“ გამოთხოვილი ვიდეოჩანა-ნერების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, დათვალიერდა 2023 წლის 4 თებერვლის კამერების დროით 02:45-03:10 (რეალური დროით – 01:51-02:17) საათამდე პერიოდში განხორციელებული ვიდეოჩანანერი. ვიდეოკამერის ჩანაწერზე გამოსახულია ქ. თ-ში, პ. ჩ-ს №-ში განთავსებული, შპს „დ...-ს“ გარეპერიმეტრი, საავტომობილო გზა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარი. საავტომობილო გზაზე დგას ავტომობილები. ვიდეოჩანანერზე ასევე ჩანს პ. ჩ-ის № ეზოს შესასვლელი. 02:47 საათზე საავტომობილო გზაზე, გ. ჩ-ს ქუჩის მხრიდან შემოდის პიროვნება, რომელსაც აცვია მოთეთრო სპორტული ფეხსაცმელი, ჯინსის შარვალი, მუქი მოსაცმელი და თავზე ახურავს კაპიუშონი; ის დადის ქუჩაში და მიდის გაჩერებულ ავტომობილებთან, ათვალიერებს მათ, რის შემდგომაც შედის პ. ჩ-ის ეზოში, საიდანაც 02:58 საათზე ისევ გამოდის ქუჩაში, მიდის იქვე გაჩერებული ავტომობილის კარებთან, ათვალიერებს და, სავარაუდოდ, სინჯავს მის კარს; შემდეგ სცილდება ავტომობილს და გადაადგილდება ქუჩაში. მალევე შედის უკან, პ. ჩ-ის ქუჩაზე №-ის ეზოში. 03:01 საათზე, კადრში ჩანს, რომ პ. ჩ-ის №-ის ეზოდან უკუსვლით გამოდის „ტოიოტა პრიუსის“ მოდელის ავტომობილი (სერია და ნომერი არ ჩანს), რომლის მძლლოლი ეზოდან გამოსვლის შემდგომ დგება რამდენიმე წამით იქვე, ქუჩაში, შემდგომ კი გადის გ. ჩ-ას ქუჩაზე მარჯვენა მხარეს და ქრება კადრიდან.

7. მითითებულ ვიდეოჩანანერებში დაფიქსირებული პიროვნების ჩაცმულობის იდენტური პირი დაფიქსირდა ქ. თ-ში, რ-ისა და პ-ის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სს „ლ-ის“ ფილიალის 2023 წლის 4 თებერვლის 02:30-02:40 საათამდე პერიოდის ვიდეოჩანანერში, რომელშიც მოჩანს ღამის განათების პირობებში, ქ. თ-ში, რ-ისა და პ-ის ქუჩების გადაკვეთა, „ლ-ის“ ფილიალის მიმდებარე ტერიტორია, ბანკომატი და იქვე გაჩერებული შავი „პონდას“ მარკის (სახელმწიფო ნომრით – №...) ავტომობილი. 02:34:00 საათზე აღნიშნულ „ლ-ის“ ბანკომატს და ავტომობილს ეჯახება ყავისფერი „ტოიოტა პრიუსის“ მარკის ავტომობილი, რომლის სახელმწიფო ნომრები არ ჩანს. მას ეხსნება საჭის უსაფრთხოების ბალიში, იღება ავტომობილის წინა მარცხენა კარი (პიროვნება იხსნის უსაფრთხოების ღვედს) და ავტომობილიდან სწრაფად გადმოდის მამაკაცი, რომელსაც აცვია მოთეთრო სპორტული ფეხსაცმელი, ჯინსის შარვალი, მუქი მოსაცმელი და თავზე ახურავს კაპიუშონი. აღნიშნული მამაკაცი სწრაფად ტოვებს ავტომობილის წინა მარცხენა მხარეს, ავტომობილს უვლის უკანა მხრიდან, გარბის და ქრება კადრიდან.

8. ამოლების ოქმით დგინდება, რომ 2023 წლის 9 თებერვალს, თ. ფ-

მანებაყოფლობით წარმოადგინა ნაცრისფერი ე.ნ. „ჰუდი“ წინა მარცხენა მხარეს წარწერით „LEGEND GRAND PRIK N67“, შავი კაპიუშონინანი ქურთუები წინა მარცხენა მხარეს წარწერით – „SCOR PLUS“, ნაცრისფერი ჯინსის შარვალი, რომელსაც ორივე მუხლზე აღენიშნება დაზიანება (წარწერებით: „ORDER“; „KG2795“) და ერთი წყვილი თეთრი სპორტული ფეხსაცმელი, წარწერით – „Adidas“.

9. მართალია, წარმოდგენილი ჩანაწერებიდან პიროვნების ვიზუალური მახასიათებლების გარკვევა შეუძლებელია და დამნაშავის იდენტიფიცირების მიზნით არც ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა დანიშნულა, თუმცა საგულისხმოა, რომ გამომძიებელმა თ. ფ-ს გან ამოილო სწორედ იმგვარი აღნერილობის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, როგორიც ვიდეოჩანაწერების თანახმად დამნაშავეს აცვია. საგამოძიებო მოქმედება ამოღებას წინ უძლოდა სამართალდამცავ ორგანოში თ. ფ-ს ნებაყოფლობით, უწყების საფუძველზე გამოცხადება და გამოკითხვისას დაფიქსირებული ინფორმაცია, რომ თან ჰქონდა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელიც ეცვა შემთხვევის დროს. თ. ფ-ს ამოღების ოქმზე არ დაუფიქსირებია რაიმე შენიშვნა ან პრეტენზია, იმასთან დაკავშირებით, რომ მან საგამოძიებო ორგანოში ტანსაცმელი მიიტანა თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, ნათელია, რომ თ. ფ-მა თავიდანვე იცოდა, რა ფაქტთან დაკავშირებით უნდა გამოცხადებულიყო პოლიციის განყოფილებაში, რა დროსაც წებაყოფლობით წარადგინა პირადი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

10. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მსჯავრდებულის უდანაშაულობის მტკიცების არგუმენტად ვერ გამოდგება ის ფაქტი, რომ თ. ფ-ს ტანსაცმელზე არ აღმოჩნდა დაზარალებულის ავტომანქანის სავარძლის ქსოვილის შემადგენელი ბოჭკოები, რადგან ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, თ. ფ-ს კუთვნილი ჟაკეტისა და ჯინსის შარვლის შემადგენელი ბოჭკოები აღმოჩნდა დაზარალებულის ავტომანქანის მძღოლის სავარძლის საზურგესა და დასაჯდომზე, კერძოდ, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ – სპეცპაკეტში (№...) წარწერით: „მიკრონანილაკები 2 (ორ) ც. მწებავ ფირზე, ტოიოტას სახ. № R...“ მოთავსებულ, სპეცწებოვანი ფირფიტების, „წინა მარცხენა სავარძლის საზურგედან“ და „წინა მარცხენა სავარძლის დასაჯდომიდან“ ზედაპირებზე აღინიშნება მორუხო-მოისფრო ბამბის ბოჭკოები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო გვარობრივი კუთვნილება სპეცპაკეტში (M...) წარწერით: „თ. ფ-ს კუთვნილი ტანსაცმელი...“ მოთავსებული ჟაკეტის შემადგენელ შესაბამის ბოჭკოებთან; სპეც. წებოვანი ფირფიტის, „წინა მარცხენა სავარძლის დასაჯდომიდან“ ზედაპირზე აღინიშნება არათანაბრად შეღებილი მორუხო ბამბის ბოჭკოები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო გვარობრივი კუთვნილე-

ბა სპეციაკეტში (M...-.) წარწერით: „თ. ფ-ს კუთვნილი ტანსაცმელი...“ მოთავსებული ჯინსის შარვლის შემადგენელ შესაბამის ბოჭკოვებთან.

11. დაზარალებულის კუთვნილ ავტომანქანაში თ. ფ-ს სუნისა და ბიოლოგიური მასალის არარსებობასთან დაკავშირებით, საკასაციო სა-სამართლო აღნიშნავს, რომ საგნებსა და ნივთებზე სხვადასხვა სახის კვლების დატოვება, ისევე როგორც კონკრეტულ სივრცეში სუნის კვლის აღმოჩენა, დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, მათ შორის, რო-გორც ნივთების სახეობასა და მათი ზედაპირის თვისობრიობაზე, ასე-ვე – გარემო პირობებსა და ურთიერთშეხების ხანგრძლივობაზე. ამდე-ნად, საეჭვო გარემოებად ვერ შეფასდება ის ფაქტები, რომ თ. ფ-ს ტან-საცმელზე არ გადავიდა დაზარალებულის ავტომანქანის სავარდლის შემადგენელი ბოჭკოები და ამასთანავე, ხსენებულ ავტომანქანაში თ. ფ-ს სუნის, ბიოლოგიური მასალისა და ხელის კვლების არსებობა არ დადგინდა. როგორც აღინიშნა, ამ მოცემულობის პარალელურად, და-ზარალებულ ო. მ-ის კუთვნილი ავტომანქანის წინა მარცხენა სავარ-დლიდან თ. ფ-ს ტანსაცმლის შემადგენელი ბოჭკოების არსებობა და-დასტურებულია, რაც თვალსაჩინოს ხდის მსჯავრდებულის ყოფნას და-ზარალებულის ავტომანქანაში.

12. სასამართლო იზიარებს დამცველის პოზიციას, ჩვენების ადგილ-ზე შემოწების მიზნით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის გა-უზიარებლობასთან დაკავშირებით. ამ მიმართებით საკასაციო პალა-ტას არაერთხელ განუმარტავს, რომ თუ ბრალდებული წინააღმდეგია საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ მოწმის სტატუსით მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვაზე, საგამო-ძიებო ექსპერიმენტი გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩე-ნის დადგენისა და დასაბუთებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ვითარების აღდგენის მიზნით არის ჩატარებული (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 აპრილის №561აპ-15 განაჩენი), ან როდესაც საგამოძიებო ექსპერიმენტის პრო-ცესში, საქმეზე დამატებით აღმოჩენილი იქნება რაიმე საგანი, დოკუ-მენტი, კვალი თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი (იხ. საქარ-თველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 28 სექტემბრის №682აპ-21 განაჩენი).

13. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოში თ. ფ-მა არ დაადასტუ-რა გამოძიების ეტაპზე მიცემული აღიარებითი ჩვენება, შესაბამისად, ის ინფორმაცია, რომელიც გამომძიებლებმა საგამოძიებო ექსპერიმენ-ტის მიმდინარეობისას მისგან მიიღეს ადგილზე შემოწებული ჩვენე-ბის სახით (საგამოძიებო ექსპერიმენტი არ ყოფილა ვითარების აღდგე-ნის მიზნით ჩატარებული და ამასთან, დამატებით რაიმე საგანი, დოკუ-მენტი, კვალი თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი არ აღმოჩენი-

ლა), მტკიცებულებად ვერ იქნება გამოყენებული. მიუხედავად ამისა, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულია, რომ 2023 წლის 4 თებერვალს, ღამის საათებში, თ-ში, პ. ჩ-ს №-ში მდებარე იტალიური ტიპის ეზოდან, თ. ფ. ფარულად, მარლსანინარდევო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ო. მ-ის „TOYOTA PRIUS“-ის მოდელის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით – R...).

14. სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი „TOYOTA PRIUS“-ის (სახ. №R...) საბაზრო ღირებულება (დაზიანებამდე) იყო 11 500 ლარი, რაც აღემატება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოების – დიდი ოდენობის – კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ნიშნულს – 10 000 ლარს.

15. იმავდროულად, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ თ. ფ. დანაშაულის ჩადენის დროს იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 სექტემბრის განაჩენებით ნასამართლევი, ერთი მხრივ – საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო მეორე მხრივ – საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

16. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურებულია თ. ფ-ს მიერ მსჯავრადშერაცხილი დანაშაულის ჩადენა, შესაბამისად, ადვოკატის მოთხოვნა თ. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და „ე-4 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში უდანაშაულოდ ცნობის შესახებ, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

17. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს, დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება

„საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). მართლმსაჯულების განხორციელება და სასჯელის სამართლიანობა, პირველ რიგში, მსჯავრდებულისთვის ჩადენილი ქმედების და მისი პიროვნების ადეკვატური სასჯელის დანიშვნას გულისხმობს. სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის № 1/7/851 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 7).

18. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

19. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეუნიტებისთვის გათვალისწინებულია სანქცია – თავისუფლების აღკვეთის სახით, ვადით – ექვსიდან ათ წლამდე.

20. საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს მიერთ. ფ-სთვის დანიშნული სასჯელის სახე და ზომა სრულად შეესაბამება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს და მის პიროვნებას. შესაბამისად, 6 წლით თავისუფლების აღკვეთის პირობებში, სრულად იქნება მიღწეული საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნები – სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

21. თ. ფ-სთვის საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს, სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ, 2024 წლის 17 სექტემბერს მიღებულ ამნისტიის კანონს, რომელიც ცალკეული დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის შეღავათს ითვალისწინებს.

22. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის

კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის (მათ შორის, ძებნილი მსჯავრდებულის) მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო, ხოლო, თუ საქმეზე სამართალწარმოება დასრულებულია – თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სამართლო.

23. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, თ. ფ-ს მიმართ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი უნდა შემცირდეს ერთი მეექვსედით, რადგან მის მიმართ მსჯავრადშერაცხილ მუხლზე არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და ამასთან, მას ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

24. იმავდროულად, თ. ფ-ს სასჯელი უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან მან დანაშაული ჩაიდინა 2023 წლის 4 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის განაჩენამდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თ. ფ. დანაშაულის ჩადენისას იმყოფებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 სექტემბრის განაჩენით დადგენილი გამოსაცდელი ვადის პერიოდში (გამოსაცდელი ვადა აეთვალა 2022 წლის 7 ნოემბერს და უნდა დასრულებულიყო 2025 წლის 18 აპრილს), თუმცა სასამართლო, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე, ვერ გააუქმებს პირობით მსჯავრს და ვერ დანიშნავს სასჯელს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით, რადგან ხსენებული განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი გაუქმებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ თ. ფ-ს ადვოკატ ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის პირ-

## ველი ივლისის განაჩენი:

3. თ. ფ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის „დ“, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნ-ქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, რაც „ამნისტიის შე-სახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუმცირდეს ერთი მეუქვებელით და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას თბილისის საქა-ლაქო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი და, საბოლოოდ, თ. ფ-ს, სასჯელის სახედ და ზომად განესაზ-ღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

5. მსჯავრდებულ თ. ფ-ს სასჯელში ჩატარებულოს პატიმრობაში ყოფ-ნის დრო – 2023 წლის 21 თებერვლიდან 2023 წლის 20 მარტის ჩათვლით და სასჯელის ვადა აეთვალის განაჩენის აღსრულების მიზნით მისი თა-ვისუფლების აღკვეთის მომენტიდან – 2024 წლის 22 აპრილიდან;

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ თ. ფ-ს მიმართ შერჩეული აღკვე-თის ღონისძიება – გირაო – გაუქმდებულია;

## 7. ნივთიერი მტკიცებულებების ბეჭი გადაწყდეს შემდეგნაირად:

7.1. მიკრონაწილაკები, სუნის კვლები, ნერწყვის ნიმუში და ანაწ-მენდები – განადგურდეს.

7.2. ტანსაცმელი, ბოტასები, ავტომობილი (სახელმწიფო ნომრით – „R...“) – დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს;

7.3. დისკები დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით.

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ქარცვა

### განაჩენი საქართველოს სახელით

№1084აპ-24

25 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაში სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),  
მ. გაბინაშვილი,  
ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ხ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ც-ს და მსჯავრდებულ გ. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენზე.

#### აღნიშვნილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 5 ივლისის განაჩენით:

1.1. დ. ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჟა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1.2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა დ. ხ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. ხ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2022 წლის 18 ნოემბრიდან.

1.3. გ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჟა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1.4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა გ. ს-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და-

ემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 24 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ ს-ეს სასაჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასაჯელის მოხდა დაეწყო 2022 წლის 18 ნოემბრიდან.

1.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით:

დ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად, მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასჯელის ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა მოიხადოს პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 3 წელი, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩატვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი.

გ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად, მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასაჯელის ნაწილი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა მოიხადოს პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 3 წელი, სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩატვალა პირობითად.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების მიხედვით, მოცემული განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 ნოემბრის განაჩენით სსკ-ის 19,177-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი – ჯარიმა 500 ლარი. საბოლოოდ, გ. ს-ეს სასაჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასჯელის ნაწილი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა მოიხადოს პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 3 წელი, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩატვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი).

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ხ-მა და გ. ს-ემ ჩაიდინეს ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არა-ერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2022 წლის 17 ნოემბერს, დაახლოებით 09:40 საათზე, ქ. თ-ი, მეტ-

როსადეურ „რ-ს“ მიმდებარე ტერიტორიასთან, 2021 წლის 7 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით პირობით მსჯავრდებულებმა – დ. ხ-მა და გ. ს-ემ არას-რულწლოვან დ. ჯ-ს გასტაცის 820 ლარად ღირებული „პონორ 9X“ მოდელის მობილური ტელეფონი, რითაც დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

### 3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენით:

3.1. დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგი-ის 2023 წლის 5 ივლისის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

3.2. დ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესავა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3.3. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა დ. ხ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. ხ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა და დაეწყო 2022 წლის 18 ნოემბრიდან.

3.4. გ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესავა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3.5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა გ. ს-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ს-ეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა და დაეწყო 2022 წლის 18 ნოემბრიდან.

4. კასატორმა – მსჯავრდებულ დ. ხ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ც-ზ საკასასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დ. ხ-ის ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებზე და სამართლიანი სასჯელის შეფარდება.

4.1. მსჯავრდებულ გ. ს-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ხ-მ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენის გაუქმება და გ. ს-ს გამართლება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ დ. ხ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ც-ს და მსჯავრდებულ გ. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ს მოსაზრებებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უსაფუძვლო, უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან, საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ მსჯავრდებულების მიერ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, დადასტურებულია ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ დ. ჯ-ს ჩვენებით, მოწმეების – ა-ს, თ. გ-ს, ხ. ჯ-ს, კ. კ-სა და სხვათა ჩვენებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ფოტოსურათით ამოცნობის ოქმებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, შესყიდვის აქტით, სასაქონლო ექსპერტიზის №...- დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

3. დაცვის მხარე სადაცოდ არ ხდის მსჯავრდებულების შემთხვევის ადგილზე ყოფნისა და დაზარალებულთან გარკვეული კომუნიკაციის დამყარების ფაქტს, მათ შორის, დ. ჯ-სათვის მობილური ტელეფონის გამორთმევას, ლომბარდში ჩაბარების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, სადაცოდა კვალიფიკირების საკითხი.

4. დაზარალებულმა დ. ჯ-მ თანმიმდევრულად გადმოსცა 2022 წლის 17 ნოემბერს დილის საათებში რ-ს მეტროდან ამოსვლის შემდეგ სკოლაში მისვლამდე განვითარებული მოვლენები და განმარტა, რომ დ. ხ-მა და გ. ს-ემ მას წართვეს მობილური ტელეფონი. კერძოდ, თავდაპირველად „დ-მ“, როგორც შემდეგ გაირკვა, დ. ხ-მა, შესთავაზა მობილური ტელეფონის „დალომბარდება“ და მიღებული თანხის, „ქურდებისთვის“ გადარიცხვა; მან რამდენჯერმე გაუმეორა, რომ ტელეფონი „დაელომბარდებინა“. საუბრის დროს მათთან მივიდა იმ დროისათვის მისთვის უცნობი გ. ს-ე, რომელმაც ასევე ტელეფონის „დალომბარდებაზე“ და-

უწყოსაუბარი, შემდეგ კი დარეკვის მიზნით სთხოვა ტელეფონი. დ. ჯ-მ არ უარყო, რომ მან ამ ეტაპზე ნებაყოფლობით გადასცა მობილური ტელეფონი გ. ს-ეს, თუმცა მან დარეკვის ნაცვლად, მისი კუთვნილი ნივთი გადაცემისთანავე ჯიბეში ჩაიდო და ჰქითხა ეხლა რას იზამო. დაზარალებულმა ნათლად ახსნა მისი უმოქმედობის მიზეზებიც და მიუთითა, რომ დ. ხ-სა და გ. ს-ეს ჰქონდათ ტატუები და აპელირებდნენ ციხიდან ახლად გამოსვლის ფაქტზე, რის გამოც შეეძინდა აღნიშნული პირების და ვერაფერი მომოქმედა, შეშინებული წავიდა სკოლაში.

5. სკოლაში მისვლის შემდგომ, დ. ჯ-ს მიერ მასწავლებლისათვის ტელეფონის დაკარგვისა და არა მისი წართმევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს მისი ჩვენებას და მიუთითებს, რომ დაზარალებულს მსჯავრდებულების მიმართ რაიმე პირადი ინტერესი არ გააჩნია და სასამართლოს წინაშე მათ მამხილებელ ჩვენებას აძლევს არა მათთან რაიმე სახით ანგარიშს ირენების მიზნით, არამედ შემთხვევის დროს განვითარებულ მოვლენებს იხსენებს გულწრფელად, ფაქტებს ასახავს ისე, როგორც რეალურად ჰქონდათ ადგილი, განმარტავს, რომ იყო შეშინებული.

6. დაზარალებულ დ. ჯ-ს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ამყარებს სკოლის მანდატურის – ა-ს ჩვენება, რომელმაც დ. ჯ-ს კლასის დამრიგებლის – ლ. მ-ნ შეიტყო, რომ დ. ჯ-ს „რ-ს“ მეტროსთან ორმა უცნობმა პირმა გამოართვა მობილური ტელეფონი და ალარ დაუბრუნეს. ამავე დროს, მოწმემ პირადად ხახა დაზარალებული და მიუთითა, რომ კლასის დამრიგებელთან ერთად მყოფი დაზარალებული იყო აღელვებული, რაც კიდევ უფრო ამყარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ მისგან მობილურ ტელეფონს დაუფლენენ ძარცვის შედეგად და კუთვნილი ნივთის მსჯავრდებულებისათვის ნებაყოფლობით გადაცემას ადგილი არ ჰქონია.

7. საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით კრიმინალი ზებულია ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც გულისხმობს სხვისი ქონების დაუფლებას თვალნათლივ იმ პირისათვის, ვის საკუთრებაში, მფლობელობას ან სარგებლობაშიც ნივთი იმყოფება, ან სხვა ადამიანისათვის. ნივთის აშკარა დაუფლება ხდება მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირთა თანდასწრებით და აუცილებელია მძარცველს შეგნებული ჰქონდეს მისი ქმედების აშკარა ხასიათი. დაზარალებულის განმარტებით, დ. ხ-მა და გ. ს-ემ არაერთხელ მოუწოდეს – მიცეცა მათთვის კუთვნილი მობილური ტელეფონი „დასალომბარდებულად“, საიდან აღებული თანხაც „ქურდებისთვის“ უნდა გადაერიცხათ. ამასთანავე, გ. ს-ემ მის წინაშე აღნიშნა, რომ სხვა პირს უკვე წაართვეს მობილური ტელეფონი. მას შემდეგ კი, რაც დ. ჯ-მ უთხრა, რომ ის იყო სკოლის მოსწავლე და არ

სურდა რაიმე სახის კავშირი ჰქონოდა „ქურდებთან“, ასევე უარი განაცხადა მათ შეთავაზებაზე, რომ კუთვნილი ნივთი გაეცვალა სხვა დაზიანებულ ან მოპარულ ტელეფონში, გ. ს-ემ უკვე თითქოსდა დარეკვის მიზნით სთხოვა მას მობილური ტელეფონი. შესაბამისად, მსჯავრდებულები დაზარალებულის კუთვნილი ქონებას დაეუფლნენ აშკარად, დაზარალებულის მკაფიოდ გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ.

8. უსაფუძვლოა დაცვის მხარის ვერსია, თითქოსდა მსჯავრდებულებს არ გააჩნდათ დ. ჯ-ს ტელეფონის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ეტყოდნენ მას თავიანთ სახელებსა და გვარებსა და ლომბარდში ჩაბარების ნაცვლად, გაყიდვები მისგან დაუფლებულ ნივთს.

9. საკასაციო სასამართლო, გასაჩივებული განაჩენის მსგავსად, მიიჩნევს, რომ ერთი მხრივ, მხოლოდ დ. ხ-მა უთხრა დ. ჯ-ს, რომ ერქვა და, რაც გვარისა და სხვა პირადი მონაცემების მიწოდების გარეშე, შეუძლებელს ხდის პირის იდენტიფიცირებას. ამასთან, ქონების დაუფლება გულისხმობს, რომ პირს რეალური შესაძლებლობა აქვს, განკარგოს ეს ქონება საკუთარი შეხედულებით. ამის შემდგომ თუ რა გზით განკარგავს პირი დაუფლებულ ქონებას – გაყიდის, ლომბარდში ჩაბარებს, პირადი მოხმარებისთვის დაიტოვებს თუ სხვა, ან საერთოდ მოახერხებს თუ არა ამ შესაძლებლობის რეალიზებას, გავლენას ვერ მოახდენს მისი ქმედების საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დასრულებული დანაშაულით (ამ შემთხვევაში ძარცვით) დაკვალიფიცირებაზე.

10. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ წარმოდგენილ სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებები მოპოვებულია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ პროცესში რაიმე სახის არსებითი დარღვევა, რასაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა სისხლის სამართლის საქმის შედეგზე, გამოკვეთილი არ არის. ამასთან, დაცვის მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც საეჭვოდ გახდიდა ბრალდების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა უტყუარობას და დაადასტურებდა მსჯავრდებულების – დ. ხ-ისა და გ. ს-ს უდანაშაულობას მათ მიმართ ბრალად შერაცხულ ბრალდებში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევის გარეშე, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით, რაც საშუალებას აძლევდა თითოეულ მხარეს, ჯეროვნად წარმოექმინა და დაესაბუთებინა თავისი პოზიცია საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებასთან დაკავშირებით. საქმის წარმოების არცერთ ეტაპზე გამოვლენილა გარემოება, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულთა მიერ მათ მიმართ შერაცხული ქმედებების ჩადენის საფუძვლიან ეჭვს გაუჩენ-

და. ამდენად, არ არსებობს დაცვის მხარის საკასაციო საჩივრების დაკ-მაყოფილების კანონისმიერი საფუძველი.

11. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელი გარემოებები, ჩადენილი ქმედებების ხასიათი და სიმძიმე, მსჯავრდებულების ინდივიდუალური მახასიათებლები, სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი და საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე, 59-ე და 67-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, დ. ხ-სა და გ. ს-ეს კანონიერი და სამართლიანი სასჯელები განუსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულების მიმართ განსაზღვრული სასჯელები საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებშია და სრულად შეესაბამება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და მსჯავრდებულთა პიროვნულ მახასიათებლებს.

12. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე სრულად და ობიექტურად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და დაცვის მხარეების მოსაზრებებს გასცა ამომზურავი და დასაბუთებული პასუხი, ამასთან, დეტალურად დაასაბუთა მიღებული გადაწყვეტილება, რასაც საკასაციო პალატა ეთანხმება და იზიარებს.

13. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების – დ. ხ-ისა და გ. ს-ს მიმართ უნდა აღსრულდეს „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ:

14. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე, ერთი მეექვედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

15. ამდენად, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ დ. ხ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვედით, რაც შეადგენს 3 წელს და 4 თვეს, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასჯელის ნაწილი – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა მოიხადოს პერიტენციურ დანესებულებაში, ხოლო დარჩენილი 2 წელი და 6 თვე, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალოს პირობითად და გამოსაცდელ ვა-დად დაუდგინდეს 2 წელი და 6 თვე.

16. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ დ. ხ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-თა პალატის 2024 წლის 8 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით, რაც შეადგენს 5 წელს.

17. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უნდა გაუქმდეს დ. ხ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა უნდა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. ხ-ს სასჯელის ზომად უნდა განეხსაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

18. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

19. ამდენად, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ს-ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით, რაც შეადგენს 3 წელსა და 9 თვეს, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასჯელის ნაწილი – 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა მოიხადოს პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 2 წელი და 6 თვე, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალოს პირობითად.

20. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების მიხედვით, მოცემული განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა უნდა შთანთქას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 ნოემბრის განაჩენით სსკ-ის 19,177-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი – ჯარიმა 500 ლარი. საბოლოოდ, გ. ს-ეს სასჯელის ზომად უნდა განეხსაზღვროს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასჯელის ნაწილი – 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა მოიხა-

დოს პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 2 წელი და 6 თვე, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალოს პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 წელი და 6 თვე.

21. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ს-ეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა პალატის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმ-ცირდეს ერთი მეექვსედით, რაც შეადგენს 5 წელს.

22. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უნდა გაუქმდეს გ. ს-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანამად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა უნდა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მო-უხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ს-ეს სას-ჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქარ-თველოს კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ დ. ხ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ც-სა და მსჯავრდებულ გ. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ს სა-კასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა პალატის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. დ. ხ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და სას-ჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღ-კვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართვე-ლოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და შეეფარდოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე დ. ხ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით საქართვე-

ლოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და შეეფარდოს 3 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასჯელის ნაწილი – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა მოიხადის პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი სასჯელი – 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩატვალოს პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 წელი და 6 თვე;

5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს დ. ხ-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ხოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. ხ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. დ. ხ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღი-დან – 2022 წლის 18 ნოემბრიდან;

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დ. ხ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდებულია;

8. გ. ს-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და შეეფარდოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

9. „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე გ. ს-ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად დანიშნული სასჯელი – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ერთი მეექვსედით და შეეფარდოს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასჯელის ნაწილი – 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა მოიხადოს პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩატვალოს პირობითად;

10. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების მიხედვით, მოცემული განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგი-ის 2021 წლის 2 ნოემბრის განაჩენით სსკ-ის 19,177-ე მუხლის 1-ლი ნა-ნილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი – ჯარიმა 500 ლარი. საბოლოოდ, გ. ს-ეს სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სას-ჯელის ნაწილი – 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა მოიხა-დოს პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამი-სად, ჩადენის 2 წლითა და 6 თვე;

11. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს გ. ს-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სას-ჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ს-ეს სასჯელის ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

12. გ. ს-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაწყოს დაკავების დღი-დან – 2022 წლის 18 ნოემბრიდან;

13. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გ. ს-ს მიმართ გამოყენებული აღ-კვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია;

14. ნივთიერი მტკიცებულებები:

გ. ს-ს პირადი ჩერეკის შედეგად ამოღებული მობილური ტელეფო-ნები, რომელიც ინახება ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არას-რულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამ-მართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

დ. ხ-ის საცხოვრებელი ბინის ჩერეკის შედეგად ამოღებული ტან-საცმელი, რომელიც ინახება ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს ადმინისტრა-ციულ შენობაში, დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

შპს „ი-ნ“ ამოღებული მობილური ტელეფონი „Huawei hinor 9x“ დაუბ-რუნდა დაზარალებულ დ. ჯ-ს;

შპს „ი-ნ“ ამოღებული შესყიდვის აქტი, რომელიც თან ერთვის საქ-მეს, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

გ. ს-ს კუთვნილი ტანსაცმელი, რომელიც ინახება ქ. თბილისის პო-ლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამ-მართველოს საგამოძიებო სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობა-ში, დაუბრუნდეს მესაკუთრეს;

15. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. ნარკოტიკული დანაშაული

### ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადება

**განაჩენი**  
**საქართველოს სახელით**

№1146აპ-24

20 თებერვალი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატაში შემდეგი შემადგენლობით:**  
**მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე)**  
**ლ. თევზაძე,**  
**ნ. სანდოძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბ-  
ლიკის პროკურორატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ  
ირაკლი დონდოლაძისა და მსჯავრდებულ დ. ა-ის ინტერესების დამ-  
ცველის, ადვოკატ ლ. ქ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელა-  
ციონ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8  
ივნისის განაჩენზე.

#### **ალწერილობითი ნაწილი:**

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, დ. ა-ს ბრა-  
ლად ედებოდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და  
19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების –  
ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენა, შენახვა და ნარკოტიკუ-  
ლი საშუალების უკანონო გასაღების მცდელობის – ჩადენა.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 ნოემბრის განა-  
ჩენით დ. ა-მა ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენა,  
შენახვა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მომზადე-  
ბა. აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

დ. ა-მა, გამოძიებით დაუდგენერ დროსა და ვითარებაში, უკანო-  
ნოდ შეიძინა და ინახავდა 458.053 გრამ ნარკოტიკული საშუალება „მე-  
ფედრონის“ შემცველ ფხვნილს; აქედან 262,74 გრამი ნარკოტიკული  
საშუალება „მეფედრონის“ შემცველი ფხვნილი ამოიღეს 2023 წლის 11  
მარტს ქ. ბ...-ის ქუჩის №...ში მდებარე დ. ა-ის დროებითი ბინიდან, №...-  
ში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ასევე, 195,313 გრამი ნარკოტიკუ-  
ლი საშუალება „მეფედრონის“ შემცველი ფხვნილი ამოიღეს 2023 წლის  
12 მარტს ქ. ბ...-ის ქუჩის №...ში მდებარე სასტუმრო „კ...ის“ უკანა მხა-  
რეს, ზღვის სანაპიროზე ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის შე-

## დეგად.

დ. ა-მა, დაუდგენელ პირზე გასაღების მიზნით, ქ. ბ...ის ქუჩის №...ში მდებარე სასტუმრო „კ...-ის“ უკანა მხარეს, ზღვის სანაპიროზე განათავსა 195.313 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეფედრონის“ შემცველი ფხვნილი, რაც 2023 წლის 12 მარტს ამოიღეს საგამოძიებო მოქმედების შედეგად.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 ნოემბრის განაჩენით დ. ა-ის – ნასამართლევის, მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილზე. დ. ა-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით, 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დ. ა-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 მაისის განაჩენით დ. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დანიშნული და სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით განსაზღვრული და პირობითად ჩათვლილი სასჯელი – 4 წლით, 2 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სრულად შთანთქა ახალი განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულს სასჯელი აეთვალა დაკავების დღიდან – 2023 წლის 11 მარტიდან. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დანესებულებაში საქმიანობის უფლებები; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. ბრალდების მხარემ ითხოვა დ. ა-ის დამნაშავედ ცნობა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობისათვის და განაჩენ-

თა ერთობლიობით, მაქსიმალურთან მიახლოებული მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, ხოლო დაცვის მხარემ – დ. ა-ის უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – პროეურორი ირაკლი დონდოლაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს დ. ა-ის დამნაშავედ ცნობას ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობისათვის და განაჩენთა ერთობლიობით, მაქსიმალურთან მიახლოებული მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

7. კასატორი – მსჯავრდებულ დ. ა-ის ინტერესების დამცველი, ადგვიატი ლ. ქ-ი – საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 8 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანას და დ. ა-ის უდანაშაულოდ ცნობას საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნათა საფუძვლიანობა და მიაჩინა, რომ მხარეთა საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრარი განიხილება საჩივრისა და მის შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარე ითხოვს დ. ა-ის დამნაშავედ ცნობას ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობისათვის და განაჩენთა ერთობლიობით, მკაცრი, მაქსიმალურთან მიახლოებული სასჯელის განსაზღვრას. დაცვის მხარე სადაცვოდ არ ხდის გასაჩივრებულ განაჩენს დ. ა-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში, არამედ ითხოვს მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობას საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს ნარმოადგენს, დ. ა-მა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით თუ 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ან საერთოდ ჩაიდინა თუ არა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწი-

ლით გათვალისწინებული დანაშაული.

3. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დ. ა-ის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისთვის დამნაშავედ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, უტყუარად დასტურდება დ. ა-ის მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედებების ჩადენა, კერძოდ:

4. საქართველოს შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებლის – რ....- ბ....-ის – ჩვენებით დადგენილია, რომ 2023 წლის 11 მარტს მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმად, მამა-შვილი – ე....- და დ. ა-ები – ნარკოტიკულ საშუალებებს უკანონოდ იძენდნენ და ინახავდნენ, ცხოვრობდნენ ქირით ქ....ში, მ-ის №...., ბინა №....-ში, იმ დროისთვის გადაადგილდებოდნენ მ...-ის ქუჩით და პირადად, ასევე დროებით საცხოვრებელ ბინაში, ინახავდნენ უკანონოდ შეძენილ ნარკოტიკულ საშუალებებს; მიღებული ინფორმაცია შეატყობინა ხელმძღვანელობას.

5. გამომძიებელმა ლ. გ-ემ სასამართლოს განუმარტა, რომ 2023 წლის 11 მარტს აჭარის პოლიციის დეპარტამენტში შესული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, მამა-შვილი დ. და ე. ა-ები უკანონოდ იძენდნენ და ინახავდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს, გადაადგილდებოდნენ მ...-ის ქუჩაზე და, როგორც პირადად, ისე – იმავე ქუჩაზე მდებარე ნაქირავებ ბინაში ინახავდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს. საქმეზე გამოძიების დაწყების შემდეგ ინფორმაციის გადასამონმებლად ოპერატიულ ჯგუფთან ერთად გავიდა ინფორმაციაში მითითებულ ადგილზე. მ...-ის №-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შეაჩერეს ე. და დ. ა-ები; დ. ა-ს განუმარტა, რომ მიმდინარებდა გამოძიება და უნდა ჩატარებულიყო მისი პირადი ჩხრეკა, წარუდგინა გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში პირადი ჩხრეკის ჩატარების თაობაზე დადგენილება, მისცა წინადაღება, ნებაყოფლობით წარმოედგინა ნარკოტიკული საშუალებები, რაზეც დ. ა-მა განმარტა, რომ ნარკოტიკი თან არ ჰქონდა და მას ინახავდა დროებით საცხოვრებელ ბინაში. მართლაც, მისი პირადად ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინეს და ამოიღეს მხოლოდ მობილური ტელეფონი. დ-ის განმარტება ნაქირავებ ბინაში ნარკოტიკის შენახვის თაობაზე შეიტანა პირადი ჩხრეკის ოქმში, რომელსაც ხელი მოაწერა ყველა მონაწილემ, მათ შორის, დ. ა-მაც. პირადი ჩხრეკის დასრულების შემდეგ ჩხრეკის ჩასატარებლად წავიდნენ იმავე ქუჩაზე მდებარე ა-ების ნაქირავებ ბინაში. მივიდნენ მ-ის №....ში მდებარე, პატარა, სტუდიოს ტიპის №....-ბინაში, რომელშიც შევიდნენ ა-თან ერთად; ჩხრეკაში მონაწილეობის

მისალებად მოიწვია პ-ის მუნიციპალიტეტის მერიის იმ ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი, რომელშიც ჩხრეკა უნდა ჩატარებულიყო. საგამოძიებო მოქმედება მის ექსპერტ-კრიმინალისტებიც მონაწილეობდენენ. დ. ა-ს გააცნო გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის ჩატარების თაობაზე დადგენილება, რომელსაც მოაწერა ხელი ბრალდებულმა. დაიწყო ჩხრეკა, რა დროსაც უშუალოდ და...-ის მითითებით, ამოიღეს გამოძიებისთვის საინტერესო ნივთები, კერძოდ: საწოლის მარცხენა მხარეს არსებული ბალიშის გვერდიდან – პოლიეთილენის პარკი, რომელშიც აღმოჩნდა ცხრა ცალი პოლიეთილენის მწებავი ლენტის ხვია, რეზინის ხელთათმანები, აირწინალი, პატარა ზომის პოლიეთილენის პარკის ექვსი შეკვრა; ბალიშის ქვემოდან – პოლიეთილენის შავი პარკი, ფოლგის შენაფუთით, მასში არსებული მოთეთრო მასით; საწოლის მარჯვენა მხრიდან – პატარა ზომის ელექტროსასწორი და პატარა ზომის ლითონის ნიჩაბი. კრიმინალისტებმა აღმოჩენილი ნივთები დაასურათეს და ადგილზე დალუქეს. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებმა ჩხრეკის ოქმში ასახული გარემოებების სისწორე დაადასტურეს ოქმზე ხელმოწერებით. ჩხრეკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით რაიმე სახის შენიშვნა ან პრეტენზია არ გაცხადებულა. მონმებ ბინის ჩხრეკის დასრულების შემდეგ დ. ა-ი დააკავა, ადგილზე შეადგინა დაკავების ოქმი, შემდეგ კი დაკავებული გადაიყვანა აჭარის პოლიციის დეპარტამენტში, სადაც გამოჰკითხა. გამოჰკითხვისას დ. ა-მა განმარტა, რომ ზღვის სანაპიროზე დადებული ჰქონდა ნარკოტიკული საშუალების შენაფუთი, შეეძლო პოლიციის თანამშრომლების ადგილზე მიყვანა და ჩვენება. მისი ამ განმარტების გადასამოწმებლად, ბრალდებულის თანხმობით, ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი. დ. ა-ის მითითებით, გავიდნენ სასტუმრო „კ-ის“ უკანა მხარეს, ზღვის სანაპიროზე, სადაც, ბრალდებულის მითითებით, ერთ-ერთი ქვის ქვეშ ნახეს და ამოიღეს ერთი ცალი წებოლენტის შენაფუთი, რომელიც კრიმინალისტებმა დაასურათეს და დალუქეს. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს ყველა მონაწილემ, მათ შორის – დ. ა-მაც, მოაწერა ხელი და დაადასტურა მასში ასახული გარემოებების სისწორე.

6. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, დ. ა-ის მიმართ 2023 წლის 11 მარტს ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, იგი გაჩხრიკეს ქ-ში, მ-ის №-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. ა....-ს მიეცა წინადადება, ნებაყოფლობით წარმოედგინა ნარკოტიკული საშუალებები, რაზეც განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალებები არ გააჩნდა. პირადი ჩხრეკისას ამოიღეს მობილური ტელეფონი, რომელიც კრიმინალისტების მიერ დასურათდა და ადგილზე დაილუქა. პირადი ჩხრეკის დასრულებისას დ. ა-მა განაცხადა, რომ ნარკოტიკულ საშუალებებს ინახავს დროებით საცხოვრებელ მისამართზე: მ...-ის ქუჩის №..., ბინა №...-ში,

ხოლო ერთ პაკეტად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება განთავსებული აქვს სასტუმრო „კ-ის“ № 6, სანაპიროზე. პირადი ჩხრეკის ოქტომბერის ასახული გარემოებების სისწორე ხელმოწერით დაადასტურეს ჩხრეკის მონაწილეებმა, მათ შორის – დ. ა-მა. რაიმე სახის შენიშვნა ან პრეტენზია ჩხრეკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით არ გამოთქმულა.

7. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, დ. ა-ის დროებით საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ-ში, მ-ის №..., ბინა №..., 2023 წლის 11 მარტს ჩატარებული ჩხრეკის ოქმის თანახმად, ბინის ჩხრეკისას, რომელსაც მის მფლობელებთან – დ. და ე. ა-ებთან – ერთად ესწრებოდა მერიის ნარმომადგენელი გ. თ., ასევე – ექსპერტ-კრიმინალისტები, დ. ა-ის მითითებით, სანოლის მარცხენა მხარეს არსებული ბალიშის გვერდიდან ამოიღეს პოლიეთილენის პარკი, რომელშიც აღმოჩნდა პოლიეთილენის ნებოლენტის ცხრა ცალი ხვია, რეზინის ხელთათმანები, აირნინალი, ექვსი შეკვრა პატარა ზომის პოლიეთილენის პარკი; ბალიშის ქვემოდან ამოიღეს პოლიეთილენის შავი პარკი, რომელშიც მოთავსებული იყო ფოლგის შენაფუთი, მასში არსებული მოთეთრო მასით; სანოლის მარჯვენა მხრიდან ამოიღეს პატარა ზომის ელექტროსასწორი, მოთავსებული შავი ფერის ტყავის ჩასადებში, და პატარა ზომის ლითონის ნიჩაბი. აღმოჩენილი ნივთები კრიმინალისტებმა დაასურათეს და ადგილზე დალუქეს. საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებმა, მათ შორის – დ. და ე. ა-ებმა – ჩხრეკის ოქმში ასახული გარემოებების სისწორე დაადასტურეს ოქმზე ხელის მოწერით. ჩხრეკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით რაიმე სახის შენიშვნა ან პრეტენზია არ გაცხადებულა.

8. 2023 წლის 12 მარტს, 01:55 სთ-დან 02:35 სთ-მდე დროის მონაკვეთში, დ. ა-ის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის თანახმად, დ. ა-ს განემარტა, რომ უნდა გადამოწმებულიყო მის მიერ გამომძიებლისთვის მიცემული ჩვენება ადგილზე მისვლით. გამომძიებელმა ნაუკითხა ჩვენება და ბრალდებულმა დაადასტურა, რომ სრულად ეთანხმებოდა მასში ასახულ ფაქტებს, ასევე განაცხადა თანხმობა, პოლიციის თანამშრომლებისთვის ერვენებინა გამოკითხვის ოქმში მითითებული ადგილები. აღნიშნულის შემდეგ პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობიდან საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეები ავტომანქანით გავიდნენ დ. ა-ის მიერ მითითებული მარშრუტით. მისივე მითითებით, გაჩერდნენ სასტუმრო „კ-ის“ უკანა მხარეს, გადავიდნენ ზღვის სანაპიროზე, სადაც ბრალდებულმა აჩვენა დიდი ქვის გვერდით არსებული პატარა ქვა და განმარტა, რომ მის ქვეშ 2023 წლის 11 მარტს დადო შავ მწებავ ლენტში შეხვეული ნარკოტიკული საშუალება, რომელსაც გადაულო ფოტო და რომელიც, სოც. ქსელ

„ი-ის“ საშუალებით, გაუგზავნა უცნობ პირს. დ. ა-ის მითითებული ადგილიდან – პატარა ქვის ქვეშიდან – ამოიღეს სილაში ჩამალული, მოგრძო ფორმის შავი მწებავი ლენტის შენაფუთი, რომელიც ექსპერტ-კრიმინალისტებმა დაასურათეს და დალუქეს, საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებმა ლუქზე მოაწერეს ხელი. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს ერთვის ფოტომასალა, რომელშიც ასახულია საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა და ამოღებული ნივთები.

9. მოწმე ს. დ-ემ სასამართლოს განუმარტა, რომ მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოში უფროს დეტექტივად. 2023 წლის 11 მარტს ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც აჭარის პოლიციის დეპარტამენტში შევიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმად, დ. და ე. ა-ები უკანონოდ იძენდნენ და ინახავდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს, აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება, შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომლის წევრები, მათ შორის – თვითონაც, გავიდნენ ინფორმაციაში მითითებულ მისამართზე. ქ-ში, მ-ის №-ის მიმდებარედ, შეაჩერეს დ. და ე. ა-ები. უშუალოდ მან და მისმა თანამშრომელმარ. ლ-ემ შეაჩერეს დ. ა-ი, განუმარტეს, რომ დანებული იყო გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექნა-შენახვის ფაქტზე და უნდა ჩაეტარებინათ მისი პირადი, ასევე დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა. პირადი ჩხრეკისას მისი ქურთუკის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს მობილური ტელეფონი, რომელიც დალუქეს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ექსპერტ-კრიმინალისტებმა. კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან ნივთიერება პირადი ჩხრეკისას არ უხასავთ და ამოულიათ. დ. ა-მა, რომლისთვისაც უკვე ცნობილი იყო, რომ იგეგმებოდა მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკაც, განაცხადა, რომ ნარკოტიკულ საშუალებას ინახავდა ბინაშიც. ა-ებთან ერთად მივიდნენ მათ მიერ ნაქირავებ ფართში, მდებარე მ-ის №...ში, ე. ა-მა გააღლო ბინის კარი და შევიდნენ ყველანი. ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად გამომძიებელმა მიიწვია მერიის წარმომადგენელიც, როგორც ნეიტრალური პირი, და მისი, ასევე – ექსპერტ-კრიმინალისტების მონაწილეობით, ჩატარდა ბინის ჩხრეკა. დ. ა-ის მითითებით, მის საწილზე არსებული ბალიშის ქვეშიდან ამოიღეს პოლიციოლენის პარკი, რომელშიც იდონწებოლენტის ცხრა ცალი ხვია, ხელთათმანები, აირწინალი, ექვსი შეკვრა პოლიციოლენის პატარა პაკეტი; ბალიშის უკანა მხრიდან ამოიღეს პოლიციოლენის შავი პარკი, რომელშიც აღმოჩნდა ფოლგაში გახვეული ნივთიერება; საწილზე არსებული მეორე ბალიშის ქვეშიდან ამოიღეს პატარა ელექტროსასწორი და ნიჩაბი. ყველა ამოღებული ნივ-

თი ექსპერტ-კრიმინალისტებმა ადგილზევე დალუქეს. შედგა საცხოვ-რებელი ბინის ჩხრეკის ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა მასში მონაწილე ყველა პირმა. ამის შემდეგ დ. ა-ი დააკავეს ბრალდებულის სახით და გადაიყვანეს აჭარის პოლიციის დეპარტამენტში, სადაც გამომძიებელმა გამოჰკითხა. როგორც გამოკითხვის შედეგად გაირკვა, ... ტერიტორიაზე ერთ პაკეტად დაფასოებულ ნარკოტიკულ საშუალებას ინახავდა კონკრეტულ ადგილას, შეეძლო, მიეყვანა იქ პოლიციის თანამშრომლები და ეჩვენებინა. ბრალდებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტში ასევე მიღლო მონაწილეობა, რა დროსაც ბრალდებულ დ. ა-ის უმუალო მითითებით, გავიდნენ ბულვარის ტერიტორიაზე, სასტუმრო „კ-ის“ უკანა მხარეს, ზღვის სანაპიროსთან, დ. ა-მა მიუთითა დიდი ზომის ქვის გვერდით, სადაც, მისი თქმით, დადო ნარკოტიკული საშუალება. სწორედ მის მიერ მითითებული ადგილიდან ამოიღეს სილაში ჩაფლული, შავი ფერის პოლიეთოლენის შენაფუთი, რომელიც კრიმინალისტებმა დაასურათეს და დალუქეს. რომ არა დ. ა-ის ჩართულობა და მისი მითითება, იმ ადგილას პოლიციის თანამშრომლები ნარკოტიკს ვერასდროს მიაგნებდნენ. შედგა საგამოძიებო მოქმედების ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა ყველა მონაწილემ, რაიმე სახის შენიშვნა ან პრეტენზია მის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით არ გამოთქმულა.

10. დ. ა-ის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით ანალოგიური ინფორმაცია მიაწოდეს სასამართლოს მითითებულ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე პოლიციელებმა: რ. ლ-ემ, ი. გ-ემ, ექსპერტ-კრიმინალისტმა გ. ღ-მა და მონმე გ. თ-ემ.

11. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2023 წლის 12 მარტის ქიმიური ექსპერტი ზის №... დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, დ. ა-ის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული ფხვნილი, წონით – 262,74 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „მეფედრონს“. დ. ა-ის მითითებით ამოღებული ფხვნილი, წონით – 195,313 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „მეფედრონს“. ექსპერტმა შ. მ-ამ დაადასტურა დასკვნის სისწორე და კანონიერება.

12. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დ. ა-ის მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მობილური ტელეფონის „გალერეაში“ აღმოჩენილ იქნა ფოტოსურათები, რომელთაგან სამ ფოტოზე, ბრალდების მხარის ვერსიით, გამოსახულია ის ადგილები, რომლებიდანაც, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ბრალდებულ დ. ა-ის მითითებით, ამოიღეს ერთ პაკეტად დაფასოებული ნარ-

## კოტიკული საშუალება.

13. ამდენად, ყველა მოწმე იდენტურად აღწერს დ. ა-ის მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების გარემოებებს. მოწმეებმა დამაჯერებლად განმარტეს, რომ დ. ა-ის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, რომელშიც, გარდა პოლიციის თანამშრომლებისა, მონაწილეობდა ნეიტრალური პირიც, ბრალდებულის აქტიური ჩართულობით აღმოაჩინეს და ამოიღეს შენაფუთები ფხვიერი მასით. საგამოძიებო ექსპერიმენტისას, უშუალოდ ბრალდებულის მონაწილეობით და მითითებით, ზღვის სანაპიროზე კონკრეტული ადგილიდან ამოიღეს საეჭვო ნივთიერების შემცველი შენაფუთი. საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობასა და შედეგებთან დაკავშირებით, მათში მონაწილე რომელიმე პირს შენიშვნა ან პრეტეზზია არ გამოუთქამს, ყველა მათგანმა ხელმოწერით დაადასტურა საგამოძიებო მოქმედებების ოქმებში ასახული გარემოებების სისწორე. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, როგორც საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ისე საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად ამოღებული ნივთიერებები შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებებს.

14. სასამართლო აქვე განმარტავს, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დაცულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის .. დეკემბრის №.. გადაწყვეტილებაში ასახული დებულებებით დადგენილი წესი, რომელიც, თავის მხრივ, აისახა საქართველოს სსპ-ის მე-13 მუხლში, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ჩხრეკა ან ამოღება ანონიმური შეტყობინების ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საიდუმლო თანამშრომლისგან (კონფიდენტისგან)/ინფორმაციის მიმწოდებელი წყაროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ან მე-5 ნაწილით დადგენილი წესით ჩატარდა და ამოღებულ იქნა უკანონო საგანი, ნივთი ან ნივთიერება, აღნიშნული გამატყუნებელ განაჩენს საფუძვლად შეიძლება დაედოს იმ შემთხვევაში, თუ უკანონო საგნის, ნივთის ან ნივთიერების პირის მფლობელობაში ყოფნა, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი გამომძიებლის ჩვენების, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე გამომძიებლის ჩვენების, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციის მქონე პირის ჩვენებისა და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმის გარდა, სხვა მტკიცებულებითაც დასტურდება.

15. საცხოვრებელი ბინა გაიჩხითა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, თუმცა პირადი ჩხრეკისას, უშუალოდ ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, და მასში, გარდა პოლიციის თანამშრომლებისა, მონაწილეობდა ნეიტრალური პირი, საქმის შედეგით დაუინტერესებელი მო-

ქალაქე, რომელმაც ჩვენების მიცემისას ზედმინევნით თანმიმდევრულად გადმოსცა საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობა და შედეგები, მის განმარტებები შეესაბამება იმავე საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების ჩვენებებსა და საგამოძიებო მოქმედებების ოქმებში ასახულ გარემოებებს. ამასთან, თავად ბრალდებულიც სრულად დაეთანხმა წარდგენილი ბრალდების მითითებულ ეპიზოდს, რითაც დაადასტურა სასამართლოს წინაშე წარდგენილ მტკიცებულებებში ასახული გარემოებების სისწორე.

16. რაც შეეხება საგამოძიებო ექსპერიმენტსა და ამ ექსპერიმენტის შედეგად ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებებს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი, რომლის შედეგად არა მხოლოდ ბრალდებულის ჩვენების გადამოწმდა, არამედ ბრალდებულის უშუალო მითითებით, კონკრეტული ადგილიდან ამოღებულ იქნა საქმისთვის მნიშვნელოვანი ნივთი, რომელთა ზუსტად იმ ადგილას არსებობის თაობაზე, ბრალდებულის გარდა, ნაკლებსავარაუდოა, ექსპერიმენტში მონაწილე სხვა პირებს ჰქონდათ ინფორმაცია, საცხებით შესაძლებელია გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას მათი გამოყენება პირდაპირ მტკიცებულებად (სუსგ: №561აპ-15, №682აპ-21).

17. საკასაციო პალატას მიაჩინია, რომ ბრალდების მხარევ ვერ წარმოადგინა აშკარა, დამაჯერებელი და ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდნენ დ. ა-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობას. გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ჩადენილია არა გასაღების მცდელობა, არამედ ნარკოტიკული საშუალების გასაღების მომზადება. დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ხოლო დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. განსახილველ საქმეში არ არის წარმოდგენილი და, შესაბამისად, არ გამოკვლეულა რომელიმე პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობა, კერძოდ, არაა დადგენილი შემძენთან კონტაქტი ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით, თანხის ჩარიცხვის მოთხოვნა, ლოკაციის ფოტოსურათების გადავზავნა შემძენთან და ა.შ.. ფაქტია, რომ კონკრეტული ადგილი გადაიღეს (რაც კარგად ჩანს მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილ ფოტოებში), მაგრამ, სასამართლოს წინაშე წარდგენილი მასალებიდან გამომდინარე, ადრესატისთვის ფოტოსურათების გადაგზავნა არ დასტურდება. ყოველივე ზემოთქმული კი მიუთითებს

სწორედ იმაზე, რომ დ. ა-მა ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მომზადება და არა – მცდელობა (მაგ. იხ. სუსგ №27აპ-23, №825აპ-21, №83აპ-24). შესაბამისად, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მსჯავრდებულის ქმედება სწორად დააკვალიფიცირეს საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით. ამდენად, ამ ნაწილში ბრალდებისა და დაცვის მხარეთა საკასაციო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

18. ადვოკატის საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი არგუმენტი ეხება ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სასამართლოში წარუდგენლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის საფუძველზე, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე; მხარეს უფლება აქვს, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, ნარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სწორედაც რომ მხარეთა კომპეტენციაა მტკიცებულებათა მოპოვება და წარმომდგენა. ვერავინ დაავალდებულებს მხარეს, მოიპოვოს და წარადგინოს ესა თუ ის მტკიცებულება. დაცვის მხარე უფლებამოსილი იყო, საჭიროების შემთხვევაში, თავად მოეპოვებინა ის მტკიცებულება (მათ შორის – ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა), რომელსაც საჭიროდ მიიჩნევდა დაცვის უზრუნველსაყოფად.

19. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები სრულყოფილად, ობიექტურად და სასამართლებრივად სწორად შეაფასა. გასაჩივრებული განაჩენი ეფუძნება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მსჯავრდებულ დ. ა-ის მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედებების ჩადენას. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, მისი პიროვნების, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების, დანაშაულის რეციდივისას სასჯელის დანიშვნის სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესის გათვალისწინებით, მსჯავრდებულს განუსაზღვრა ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმის ადეკვატური და პროპორციული სასჯელების ისეთი სახე და ზომა, რომელიც შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებშია, აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებსა და ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ სასჯელის მიზნებს.

20. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს „ამნის-

ტიის „შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონს, რომ-ლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სისხლისამარ-თლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავისუფლდება პი-რი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული, მათ შორის, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგისა ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა). ასევე, ეყრდნობა ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად, კანონის, მათ შორის, პირველი მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირ-ზე, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა 2024 წლის 1 ივნისამდე. იმის გამო, რომ დ. ა-მა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გან-საზღვრული დანაშაული მითითებულ პერიოდამდე ჩაიდინა, მის მი-მართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმე-დება და უნდა გათავისუფლდეს 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და-ნიშნული სასჯელისგან. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნულ სასჯელს, „ამნისტიის შესახებ“ სა-ქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის თანახ-მად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ და-ნაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით. შესაბამისად, სააპელაციო სასა-მართლოს განაჩენი დ. ა-ისათვის საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხ-ლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უც-ვლელად. ამასთან, მასზე ვერ გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ სა-ქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნ-ქტის დანაწესი, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შე-სახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებე-ბის აღდგენის თაობაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხ-ლის მე-3 ნაწილით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საპროკუ-რორო სამმართველოს პროკურორი ირაკლი დონდოლაძისა და მსჯავ-რდებულ დ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ქ-ის საკასა-ციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. დ. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 19,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით ზარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილზე;

4. დ. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდისაგან გათავისუფლდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე;

საქართველოს სსკ-ის 18,260-ე მუხლის მე-4 ნაწილით – 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 მაისის განაჩენით დ. ა-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის დანიშნული და სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის №01/22-0750 გადაწყვეტილებით განსაზღვრული და პირობითად ჩათვლილი სასჯელი – 4 (ოთხი) წლით, 2 (ორი) თვითა და 24 (ოცდაოთხი) დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სრულად შთანთქას ახალი განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. ა-ს, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. მსჯავრდებულ დ. ა-ს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 (ხუთი) წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 (თხუთმეტი) წლით – საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლებები; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 20 (ოცი) წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები;

6. მსჯავრდებულ დ. ა-ს სასჯელი აეთვალის დაკავების დღიდან – 2023 წლის 11 მარტიდან;

7. ნივთმტკიცებები: დ. ა-ის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს ამოღებული

ნარკოტიკული საშუალებები, საიზოლაციო ლენტის ხვიები, რეზინის ხელთათმანები, აირწინალი, ექვსი შეკვრა პატარა ზომის პოლიეთილენის პარკი, ელექტროსასწორი, ლითონის პატარა ზომის ნიჩაბი და ნერ-ნეური ნიმუში, რომლებიც ინახება საქართველოს შსს აჭარის ავტონო-მიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტში – განადგურდეს საქ-მეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

დ. ა-ის პირადი ჩერეკებისას ამოღებული მობილური ტელეფონი, რო-მელიც ინახება საქართველოს შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტში – დაუბრუნდეს დ. ა-ს ან მისი ნდობით აღ-ჭურვილ პირს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ხოლო მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ერთ ცალ დისკიზე – დაერთოს საქმეს, საქმის შენახვის ვადით;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გასაღება

### განაჩენი საქართველოს სახელით

№ 1138აპ-24

13 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. თევზაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. კ-ის ადვოკატ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სის-ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 ივლისის განაჩენზე.

### აღნერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ვ. კ-ეს ბრალად დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გასა-ლება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირ-ველი და მე-4 ნაწილები – ორი ეპიზოდი);

2. აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

2022 წლის 15 ნოემბერს, რ., უ-ას გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვ. კ-ემ გ. ჯ-ზე 100 ლარად უკანონოდ გაასაღა, უკანონოდ შეძენილი და შენახული, 0.00761 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ამფეტამინი“, რომელიც იმავე დღეს გ. ჯ-სგან ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა;

2022 წლის 16 ნოემბერს, რ., უ-ას გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვ. კ-ემ გ. ჯ-ზე 100 ლარად უკანონოდ გაასაღა, უკანონოდ შეძენილი და შენახული, 0.0168 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ამფეტამინი“, რომელიც იმავე დღეს გ. ჯ-სგან ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 სექტემბრის განაჩენით:

ვ. კ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 15 ნოემბრის ეპიზოდი) და 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 15 ნოემბრის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდებებისათვის;

ვ. კ-ე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 16 ნოემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; ხოლო 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 16 ნოემბრის ეპიზოდი) – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ვ. კ-ეს განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 20 დეკემბრიდან. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადგოყაზო, ჰედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე – აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და ნარმომადგენლობის უფლება.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩინერეს:

მსჯავრდებულ ვ. კ-ის ადვოკატმა – გ. მ-ემ, რომელმაც მოითხოვა:

გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება; ვ. კ-ის გამართლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით – ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებისათვის; ვ. კ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადებისათვის და მინიმალური სასჯელის განსაზღვრა;

საქართველოს გენერალური პროკურატურის შსს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა – ნუგზარჭიტაძემ, რომელმაც მოითხოვა: გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა; ვ. კ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი, მე-4 ნაწილებით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და კანონით დადგენილი წესით სამართლიანი და ადეკვატური სასჯელის განსაზღვრა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 ივნისის განაჩენით პროკურორისა და მსჯავრდებულის ადვოკატის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 2023 წლის 14 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ვ. კ-ის ადვოკატმა – გ. მ-ემ, რომელიც ითხოვს: გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას; ვ. კ-ის გამართლებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით – ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებისათვის; ვ. კ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადებისათვის და მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2025 წლის 10 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ ვ. კ-ის ადვოკატ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა დაინიშნა 2025 წლის 13 მარტს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ კასატორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გა-

საჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 15 ნოემბრის ეპიზოდი) ვ. კ-ის გამართლებასთან დაკავშირებით, სრულად ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო პალატის სამართლებრივ შეფასებას, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები გონივრულ უქვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებს ვ. კ-ის ბრალეულობას მისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით 2022 წლის 15 ნოემბრის ეპიზოდისათვის ბრალადნარდგენილი ქმედებების ჩადენისათვის, რაზეც დეტალურ მსჯელობას საკასაციო პალატა მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, ვინაიდან წარმოდგენილია მხოლოდ მსჯავრდებულის ადვოკატის საჩივარი ვ. კ-ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით 2022 წლის 16 ნოემბრის ეპიზოდისათვის მსჯავრდების შესახებ; ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში, წარმოდგენილი საჩივრიდან გამომდინარე, პალატა იმსჯელებს ვ. კ-ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით 2022 წლის 16 ნოემბრის ეპიზოდისათვის მსჯავრდებასთან მიმართებით.

3. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა. ამ დანაშაულის ობიექტი მოსახლეობის ჯანმრთელობა და ნარკოტიკული საშუალების ბრუნვის კანონით განსაზღვრული წესი. ობიექტური მხარეა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა და შენახვა. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა გულისხმობს განზრახ ქმედებას, რომელიც მიმართულია მისი უკანონოდ მოპოვებისაკენ, კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ყიდვით, ასევე სხვა ფორმით მიღებით, გაცვლით, ნაპოვრის მითვისებითა და სხვა ნებისმიერი გზით მოპოვებით. უკანონო შენახვაში იგულისხმება უკანონო მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალებისათვის ადგილსამყოფლის მიჩენა. ამ დანაშაულად დაკვალიფიცირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მითითებული ქმედებების (შეძენა-შენახვა) უკანონოდ ჩადენა, რაც გამოიხატება ამ ქმედებათა ნარკოტიკული ნივთიერებების ბრუნვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩადენით. ამავე დროს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით კრიმინალიზებულია ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება,

რაც გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების სხვა პირისათვის ნების-მიერი გადაცემის ხერხს, როგორც საზღაურით, ასევე საზღაურის გა-რეშე, მაგალითად: გაყიდვა, გაჩუქება, სხვა ნივთში გაცვლა, გასესხება და სხვ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება განსხვავდება შეძენა, შენახვისა და ა.შ. საშიშროებისაგან, რადგან გასაღებისას საფუ-რთხე ექმნება სხვა პირის (შემძენის) სამართლებრივ სიკეთეს. სამარ-თლის მიზანია პირის დაცვა არა თვითსაფრთხისაგან, არამედ სხვა პირ-თა მხრიდან ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან. უკანო გასაღება დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა გამსა-ღებელი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით გაასხვისებს ნარკოტიკულ საშუალებას სხვა პირზე, გადასცემს სხვას. საქართველოს სისხლის სა-მართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით გათ-ვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა დამთავრებულია ქმედე-ბის დამთავრების მომენტიდან და სავალდებულო არაა რაიმე მძიმე შე-დეგის დადგომა. ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გასაღებისას ამ-სრულებლის მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. ბრალის ფორმის მიხედვით, იგი პირდაპირი განზრახვით ჩადე-ნილი დანაშაულია.

4. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მსჯავრდებულის ადვოკა-ტის მოსაზრებას, სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასაბუ-თებას და აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული და სასამართლოში გა-მოკვლეული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწ-მეთა ჩვენებებით, მათ შორის – გ. ჯ.-სა და ქ. ც.-ის ჩვენებებით; საგამო-ძიებო მოქმედების იქმებით, მათ შორის – თანხის გადაცემის იქმე-ბით, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული აუდიო-ვიდეოჩანაწერებით (კრებსები), ამოღების ოქმით; ამოღებული ნივთი-ერი მტკიცებულებით (ნარკოტიკული საშუალება), ქიმიური ექსპერტი-ზის დასკვნით, ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, ჰაბიტოსკო-პიური და ფოტო-ვიდეო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით (უდავო მტკიცებულება) გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ 2022 წლის 16 ნოემბერს, ვ. კ.-ემ, მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული, 0.0168 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ამფეტამინი“, 100 ლარის სა-ნაცვლოდ გადასცა გ. ჯ.-ს. ამასთან, მართალია, უკანონო გასაღებაში იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების სხვა პირისათვის უკანონოდ გადაცემის ნებისმიერი ხერხი, როგორც საზღაურით, ასევე საზღაუ-რის გარეშე, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა, ნარკოტიკული საშუა-ლების გასაღებად არ უნდა ჩაითვალოს ყველა მსგავსი შემთხვევა. მო-ცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პი-რადი მოხმარებისა და რეალიზაციის მიზნებისათვის ნარკოტიკული სა-შუალების შეძენა-შენახვის ფაქტები. ერთმანეთისგან უნდა განსხვავ-

დებოდეს ისეთი მოქმედებები, როგორიცაა ნარკოტიკული საშუალების ფლობა და გასაძება. ცხადია, როდესაც რამდენიმე პირი ერთიანი განზრახვით მოქმედებს ნარკოტიკული საშუალებების შესაძენად, პირადი მოხმარების მიზნით, მოგვიანებით შეძენილ-შენახულ ნარკოტიკულ საშუალებას გაინაწილებენ, ერთი პირი მას აუცილებლად გადასცემს მეორეს, სხვაგვარად საერთო მიზანი, რის გამოც მოქმედებდნენ პირები, არ იარსებებს. მოცემულ საქმეში კი გ. ჯ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ნარკოტიკული საშუალება მათ ერთად არ შეუძენიათ, მან გამომძიებლების მიერ გადაცემული თანხით ვ. კ-ისაგან შეიძინა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც შემდეგ სრულად გადასცა გამომძიებელს. აქედან გამომდინარე, ვინაიდან გ. ჯ-მ ვ. კ-ისგან ნარკოტიკული საშუალება „ამფეტამინი“ მიიღო თანხის – 100 ლარის – მისთვის ხელზე გადაცემის სანაცვლოდ, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. კ-ემ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების გასაღება საზღაურით (გაყიდვა). ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მოწმის – გ. ჯ-ს – ჩვენების სანდოობასა და ამ ჩვენებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სისწორეში დაეჭვების საფუძველი, საქმის მასალების მიხედვით, არ არსებობს. მოწმე გ. ჯ-მ საქმის არსებითი განხილვისას სასამართლოს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ვ. კ-ის მიერ მისთვის ნარკოტიკული საშუალების შეთავაზების, აღნიშნული ინფორმაციის სამართალდამცავი ორგანოსთვის მიწოდების, საკონტროლო შესყიდვის ფარგლებში ვ. კ-ისგან ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, კერძოდ: სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა, რომ თავად ვ. კ-ემ შესთავაზა თანხის სანაცვლოდ ნარკოტიკის შეძენა, რაც შეატყობინა პოლიციას და ნებაყოფლობით გამოთქვა გამომძიებასთან თანამშრომლობის სურვილი; ვ. კ-ის დანაშაულებრივი ქმედების – ნარკოტიკების გასაღების გამოვლენის მიზნით, სამართალდამცავებთან თანამშრომლობით, ფარული აუდიო-ვიდეოჩარჩოები მოწყობილობით აღჭურვილი წავიდა ვ. კ-ესთან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვის მიზნით და 2022 წლის 16 ნოემბერს, ხელზე გადაცემული 100 ლარის სანაცვლოდ, ვ. კ-ისაგან შეიძინა ერთ საინიექციო მპრიცში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება „ამფეტამინი“, რაც დაუყოვნებლივ გადასცა გამომძიებელს. გამომძიებელმა ნარკოტიკული საშუალება დალუქა კანონით დადგენილი წესით. მოწმე გ. ჯ-ს მიერ ჩვენებამი მითითებული, მტკიცების საგანთან დაკავშირებით საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე, გარემოებები სრულად შეესაბამება მოწმის სახით დაკითხული გამომძიებლის – ქ. ც-ის ჩვენებას, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ოქმებსა და ნივთიერ მტკიცებულებებს, მათ შორის: ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მო-

პოვებულ მასალებს – გ. ჯ-სა და ვ. კ-ის შეხვედრისა და საუბრის ამსახველ ჩანაწერებს, რაც მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით და რომლებშიც დეტალურადაა ასახული მოწმე გ. ჯ-ს მიერ მითითებული გარემოებები.

5. რაც შეეხება მსჯავრდებულის ადვოკატის მოთხოვნას ვ. კ-ისათვის მინიმალური სასჯელის განსაზღვრის შესახებ, საკასაციო პალატა მიუთითებს შემდეგს: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას, ხოლო ამავე კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი მიზნევა მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალო მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

6. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს დაცვის მხარის მოთხოვნას ვ. კ-ისათვის სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადით განსაზღვრის შესახებ და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის სახე და ზომა შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნის, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგადსავალდებულო გარემოებები და პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, ასევე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი და ვ. კ-ეს დანაშაულთა ერთობლიობით განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი. სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას გათვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ვ. კ-ისათვის სასჯელის შემსუბუქების საფუძველი.

7. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეა-

ფასა საქმის ფაქტობრივი გარემობები, საქმეში არსებული მტკიცებულებები და ამომწურავად დაასაბუთა მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება და მიაჩნია, რომ არ არსებობს ვ. კ-ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გამართლებისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიმალური საჯელის განსაზღვრის საფუძველი.

**8. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ ვ. კ-ის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით გათვალისწინებული ამნისტია, კერძოდ:**

8.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ამავე კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასჯელისგან უნდა გათვალისუფლდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა); ხოლო „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამავე კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

8.2. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან ვ. კ-ემ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2024 წლის პირველ ივლისამდე („ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა), „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უნდა გათავალისუფლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისათვის შეფარდებული სასჯელისაგან; ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებისათვის შეფარდებულ სასჯელზე, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ უნდა გავრცელდეს.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ვ. კ-ის ადვოკატი გ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი

უნდა შეიცვალოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ვ. კ-ის ადვოკატ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკავყობილდეს ნაწილობრივ;

**2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 ივლისის განაჩენი შეიცვალოს:**

2.1. ვ. კ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა (2022 წლის 15 ნოემბრის ეპიზოდი) და 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 15 ნოემბრის ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდებებისათვის;

2.2. ვ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2022 წლის 16 ნოემბრის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდისაგან გათავისუფლდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე;

2.3. ვ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 16 ნოემბრის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.4. მსჯავრდებულ ვ. კ-ეს სასჯელის ვადა აეთვალის დაკავებიდან – 2022 წლის 20 დეკემბრიდან. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, გაუქმებულია;

2.5. მსჯავრდებულ ვ. კ-ეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო სამუალების მართვის უფლება, 15 წლით – საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, საბაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 20 წლით – საექიმო ან/

და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე – აფთიაქის და-  
ფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები;

**2.6. ნივთიერი მტკიცებულებები:**

ნარკოტიკული საშუალებები, შესაფუთი მასალა და ვ. კ-ის ნერწყვის  
ნიმუში განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

ერთ დისკზე ჩანერილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ამსახ-  
ველი აუდიო-ვიდეო მასალა; ორ ლაზერულ დისკზე ჩანერილი ხმის ნი-  
მუში და ფოტოსურათები შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის  
შენახვის ვადით;

**3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.**

## 6. სატრანსპორტო დანაშაული

ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო  
საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან  
ექსპლუატაციის ცენტრის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ  
სატრანსპორტო საშუალებას გართავს, რამაც ორი ან მეტი  
ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია

განაჩენი  
საქართველოს სახელით

№944აპ-24

31 იანვარი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
6. სანდოძე (თავმჯდომარე),  
მ. გაბინაშვილი,  
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ი-ს ინტერე-  
სების დამცველი ადვოკატის ზ. რ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სა-  
აპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024  
წლის 5 ივლისის განაჩენზე.

**აღნერილობით – სამოტივაციო ნაწილი:**

**1. ნარდგენილი ბრალდების არსი:**

1.1. მ. ი-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სა-  
მართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 276-ე მუხ-  
ლის მე-8 ნაწილით (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის  
დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს,  
რამაც ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) და საქართვე-  
ლოს სსკ-ის 128-ე მუხლით (განსაცდელში მიტოვება ე.ი. დაუხმარებ-  
ლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმ-  
ყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასა-  
ცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი  
დახმარება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, რაც გა-  
მოიხატა შემდეგით:

1.2. 2023 წლის 3 აგვისტოს, დაახლოებით 12:30 საათზე, მ... საავტო-  
მობილო გზის მე-20 კილომეტრზე, მეორეხარისხოვანი გრუნტიანი გზი-  
დან მთავარი გზის მიმართულებით მოძრაობდა კ-ს მარკის სატვირთო  
ავტომობილი, სახელმწიფო სანომრე ნიშნით – ..., რომელსაც მართავდა

მ. ი-ი. ამ უკანასკნელმა ვერუზზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხოდ მართვა, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართის – საგზაო პრიორიტეტის ნიშანი 2.3-ის მოთხოვნები, დათმობის გარეშე გავიდა მთავარ გზაზე და ავტომობილის წინა ნაწილით მარჯვენა გვერდითა ნაწილში შეეჯახა მ. რაიონის სოფელ ... მხრიდან ქ. მ. მიმართულებით მოძრავ „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილს, სახელმწიფო სანომრე ნიშნით – ..., რომელსაც მართავდა ხ. შეჯახების შედეგად ხ-ს ავტომობილი ინერციით გადაადგილდა საპირისპირო სავალი ზოლისკენ, სადაც მას შეეჯახა სანინაალმდევე მიმართულებით მოძრავი „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილი, სახელმწიფო სანომრე ნიშნით – ..., რომელსაც მართავდა რ-ი. ავტოავარიის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო, ხ. და მისი მგზავრი მ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ.

1.3. 2023 წლის 3 აგვისტოს, დახსლებით 12:30 საათზე, მ... საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრზე, მეორეხარისხოვანი გრუნტიანი გზიდან მთავარი გზის მიმართულებით მოძრაობდა კ-ს მარკის სატვირთო ავტომობილი, სახელმწიფო სანომრე ნიშნით – ..., რომელსაც მართავდა მ. ი-ი. ამ უკანასკნელმა ვერუზზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხოდ მართვა, დაარღვია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის დანართის – საგზაო პრიორიტეტის ნიშანი 2.3-ის მოთხოვნები, დათმობის გარეშე გავიდა მთავარ გზაზე და ავტომობილის წინა ნაწილით მარჯვენა გვერდითა ნაწილში შეეჯახა მ. რაიონის სოფელ ... მხრიდან ქ. მ. მიმართულებით მოძრავ „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილს, სახელმწიფო სანომრე ნიშნით – ..., რომელსაც მართავდა ხ. შეჯახების შედეგად ხ-ს ავტომობილი ინერციით გადაადგილდა საპირისპირო სავალი ზოლისკენ, სადაც მას შეეჯახა სანინაალმდევე მიმართულებით მოძრავი „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილი, სახელმწიფო სანომრე ნიშნით – ..., რომელსაც მართავდა ხ. შეჯახების შედეგად ხ-ს ავტომობილი ინერციით გადაადგილდა საპირისპირო სავალი ზოლისკენ, სადაც მას შეეჯახა სანინაალმდევე მიმართულებით მოძრავი „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილი, სახელმწიფო სანომრე ნიშნით – ..., რომელსაც მართავდა რ-ინი. ავტოავარიის შედეგად ხ. და მისმა მგზავრმა მ. მიიღეს ჯანმრთელობის დაზიანებები, იმყოფებოდნენ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და არ ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ ზომები თავის დასაცავად. ამის მიუხედავად, შეჯახების შემდეგ მ. ი-მა შემთხვევის ადგილზე დაუხმარებლად მიატოვა ხ. და მ. და ავტომობილით მიიმალა, მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო დაზარალებულებზე ზრუნვა და დახმარება. მიღებული ჯანმრთელობის დაზიანებების შედეგად, ხ. და მ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ.

## 2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-თა კოლეგიის 2024 წლის 21 თებერვლის განაჩენით, მ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და სა-

ქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით 1 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა მთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მ. ი-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით 1 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

2.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 თებერვლის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. ი-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ზ. რ-მა და მოითხოვა მ. ი-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

### **3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 5 ივლისის განაჩენით, დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 21 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. 2024 წლის 31 ივლისს, მსჯავრდებულ მ. ი-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ზ. რ-მა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მ. ი-ს გამართლება, ხოლო ალტერნატიულ მოითხოვნას წარმოადგენს მ. ი-სთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

3.3. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამართველოს უფროსმა პროკურორმა ზვიად ფხაკეშ წარმოდგენილი შესაგებლით მოითხოვა დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 5 ივლისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **4. კასატორის არგუმენტები:**

4.1. კასატორის პოზიციით, სასამართლოს მ. ი-ს მიმართ უნდა გამოტანა გამამართლებელი განაჩენი, რადგან საქმეზე გამოკვლეული მტკი-

ცებულებებით უტყუარად არ დგინდა მისი ბრალეულობა. ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული ექსპერტიზები არ არის კატეგორიული და ენინააღმდეგება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც ცალსახად დგინდება, რომ ავტომობილ „ოპელ კორსას“ მძლოლს ტექნიკური თვალსაზრისით, ყველა შესაძლო ზომის დროულად მიღებით შეეძლო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის აცილება. აღნიშნული დასკვნის სისწორე სასმართლო სხდომაზე დაადასტურა ექსპერტმა ვ-ა. დაცვის მხარის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მ. ი-სმა ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხოდ მართვა, დაარღვია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის დანართის საგზაო მოძრაობის ნიშანი 2.3-ის მოთხოვნები და გზის დათმობის გარეშე გავიდა მთავარ გზაზე – არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან მსჯავრდებულის განმარტებით, მან გაიხედა მარცხნივ და მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ ავტომობილი არ ჩანდა დაიწყო მოძრაობა, ხოლო მტკიცებულება რომელიც საპირისპიროს დაამტკიცებდა – ბრალდების მხარის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი. რაც შეეხება მ. ი-ს მიერ ხ-ს და მ-ს განსაცდელში მიტოვებას, არც აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოუდგენია ბრალდების მხარეს, ვინაიდან მსჯავრდებულის განმარტებით, შემთხვევის შემდეგ იგი მივიღა „ოპელ კორსას“ მარკის მანქანასთან და ნახა, რომ მასში მყოფი პირები იყვნენ გარდაცვლილები, ხოლო იქვე შეკრებილი იყო 20-30 ადამიანი. ამასთან, მ. ი-სთვის დანიშნული სასჯელი არის ზედმეტად მკაცრი, რაც არ შეესაბამება მის პიროვნებას, ქმედების ხასიათს და სასჯელის მიზნებს. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ ყოველივე ზემოხსენებული წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველს.

## **5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:**

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივრარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 5 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. უპირველეს ყოვლისა საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავოდ არ გამხდარა საკითხი, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს, მ. საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრზე, მ. ი-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის მონაწილეობით მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რასაც შედეგად ორი პირის გარდაცვალება მოჰყვა, თუმცა დაცვის მხარე გამორიცხავს მ. ი-ს ბრალეულობას და მიაჩნია, რომ მომხდარი ხ. მიერ „საგ-

ზაო მოძრაობის „შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის დარღვევამ გამოიწვია. კერძოდ, თუ ხ. დაბრკოლების წარმოშობისას დროულად მიიღებდა ყველა შესაძლო ზომას უსაფრთხოების უზრუნვესაყოფად – თავიდან აიცილებდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას.

5.3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიის საქმეებში საკანონი საკითხს წარმოადგენს ავტოსაგზაო შემთხვევის მონაბრილე რომელმა მძღოლმა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, რამაც გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა და ამ წესების დაცვის შემთხვევაში შეძლებდა თუ არა იგი მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილებას. სწორედ ამ გარემოებების დასადგენად, უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას წარმოადგენს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და სქემა-ნახატი, ასევე საგამოძიებო ექსპერტის თქმები, რაც მონმეთა ჩვენებებთან ერთად ფასდება ექსპერტების მიერ და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

5.4. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას მ. ი. ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში უდანაშაულობის შესახებ და ყურადღებას ამავე-ლებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, კერძოდ: მოწმეების: რ-ს, ვ-ს, ა. ს-ს ჩვენებებზე, 2023 წლის 3 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმისა და თანდართულ სქემატურ ნახაზზე, საგამოძიებო ექსპერტის თქმებზე, სატრანსპორტო-ტექნიკური ექსპერტის ჩვენებების ჩვენებებზე... და სატრანსპორტო-ტრასოლოგიურ-ავტოტექნიკური ექსპერტის ჩვენებებზე... დასკვნებზე და მიაჩნია, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს, მ. ი-მა ვერ უზრუნველყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვა, თავისი ქმედებით საფრთხე შეუქმნა გადასაკვეთ გზაზე პრიორიტეტული მოძრაობის მქონე „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილს, რომლის მძღოლმა, აუცილებელი რეაგირების დროის არქონის გამო, თავიდან ვერ აიცილა ავტოსაგზაო შემთხვევა, როს შედეგადაც, ავტომობილმა „ოპელ კორსამ“ დაკარგა მართვა და მოცურებულ მდგომარეობაში გადავიდა საპირისიპირო სამოძრაო ზოლში, სადაც შეჯახა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილი, რომელსაც მართავდა რ-ინი. ავტოსავარიის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო ხ. და მისი მგზავრი მ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ.

5.5. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოწმე რ-ს ჩვენებაზე, რომელიც თვითმხილველი გახდა და აღწერა, როგორც კ-სა და „ოპელ კორსას“ შეჯახების გარემოებები, ისე „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილის მოცურება და „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილთან შეჯახება. მისი ჩვენების თანახმად, 2023 წლის 3 აგვისტოს, მარნე-

ულიდან ... მიმართულებით მოძრაობდა 60 კმ/სთ სიჩქარით. ამ დროს, დაახლოებით 40 მეტრის მოშორებით, გზაჯვარედინზე დაინახა, რომ მარცხენა მხრიდან გამოვიდა მომწვანო-მოლურჯო „კამაზი“, ხოლო მოწინააღმდეგე მხრიდან მოდიოდა „ოპელ კორსა“. მისი აზრით, როდესაც მძლოლებმა ერთმანეთი დაინახეს ავტომობილებს შორის დაშორება იყო დაახლოებით 5-10 მეტრი. შეჯახება ოპელის დანახვიდან დაახლოებით 4-5 წამში მოხდა. ოპელის მარკის ავტომანქანა დაახლოებით 70 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა მთავარ გზაზე, როცა კამაზმა მარცხენა კუთხით, უკანა მარჯვენა მხარეს დაარტყა. ამ დროს ავტომანქანა ოპელი მარჯვივი იყო მიმართული. შეჯახების შემდეგ კი, მისკენ მოძრაობდა – ნახევრად იყო მის სავალ გზაზე, ხოლო ნახევრად მოწინააღმდეგე მხარეს, რა დროსაც უკვე მას დაეჭახა. შეჯახების შედეგად ის დარჩა მის სამოძრაო ზოლში. მაღაზის მხარეს არ გადასულა, რადგან იქ ხალხი იყო. ამასთან, შეეშინდა მანქანა არ გადაბრუნებულიყო და იმ წუთას ერთადერთ გამოსავლად მიიჩნია მისი მართვის ქვეშ მყოფი მანქანის გაჩერება. შემთხვევის ადგილზე მყოფი ადამიანები მივიდნენ მასთან და დაეხმარნენ, რომ გადამოსულიყო მანქანიდან. შემდეგ გადააადგილეს მანქანები, რადგან ვერ შეძლეს გამოყევანათ ოპელის მარკის მანქანში უგონოდ მყოფი ორი პირი. რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე მივიდა პოლიცია და სასწრაფო დახმარება, რა დროსაც გაიგო, რომ მანქანაში მყოფი პირები გარდაიცვალნენ. ის სასწრაფო დახმარებამ წაიყვანა მ... საავადმყოფოში, სადაც ტვინის შერყევა და მარჯვენა ფეხის მოტეხილობა დაუდგინდა. შემთხვევიდან ოთხი დღის შემდეგ, გამომძიებელთან ერთად შემთხვევის ადგილზე იყო მისული რა დროსაც შედგა სქემა და ოქმი.

5.6. 2023 წლის 7 აგვისტოს ვითარების აღდგენის მიზნით მოწმე რის მონაწილეობით ჩატარდა საგამოძიებო ქსპერიმენტი, რომელიც მიმდინარეობდა მ... რაიონის სოფელ ზემო ს... ტერიტორიაზე გამავალ მ... საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრზე, გზაჯვარედინზე, სადაც მთავარ საავტომობილო გზას ორივე მხრიდან უერთდება მეორეხარისხოვანი გზები. შემთხვევის ადგილზე საავტომობილო გზა არის ასფალტირებული, უდეფექტო, მშრალ მდგომარეობაში და განკუთვნილია ორმხრივი მოძრაობისათვის. გზა არის გაყოფილი უწყვეტი დერძულა ზოლით, რომელიც გზაჯვარედინზე იცვლება წყვეტილი ზოლით. სოფელ... მიმართულებით, გზაჯვარედინის ბოლოს, ცენტრალურ გზაზე არის მონიშვნა „ქვეითთა გადასასვლელი“. იგივე მიმართულებით გზის მარცხენა სამოძრაო ზოლის სიგანემ შეადგინა 3,8 მეტრი, ხოლო მთლიანი გზის სიგანემ შეადგინა 7,3 მეტრი. გზას ორივე მხარეს გააჩნია 0,3 მეტრი სიგანის ასფალტირებული გვერდული. სოფელ... მიმართულებით გზის მარჯვენა მხარეს არსებული ღორლიანი გვერდულის სიგანემ შეადგინა

7,8 მეტრი, ხოლო იგივე მიმართულებით გზის მარცხენა მხარეს არსებული ღორღიანი გვერდულის სიგანეში შეადგინა 5,0 მეტრი. მ... საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრზე ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილას, რ-მა მიუთითა ადგილი და ზემოხსენებული ავტომობილების განლაგება იმ მდგომარეობით, რა მდგომარეობაშიც მოხდა „კ...“ სატვირთო ავტომანქანისა და „ოპელ კორსას“ მარკის ავტომანქანის შეჯახება. აღნიშნულის შემდეგ, „კ...“ სატვირთო ავტომანქანა და „ოპელ კორსას“ მარკის ავტომანქანა განალაგეს საავტომობილო გზაზე რ-ის მითითებით, რის შემდეგაც გაიზომა მანძილი შეჯახების წერტილიდან გზის მარცხენა პირობით კიდემდე სოფელ ... მიმართულებით, რამაც შეადგინა 1,7 მეტრი. რ-მა აჩვენა თავის მართვის ქვეშ მყოფი „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომანქანის განლაგების ადგილი, საიდანაც მან დაინახა კ.... მარკის სატვირთო ავტომობილისა და „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილის შეჯახება. აღნიშნულის შემდეგ „ფორდ ტრანზიტის“ ავტომობილი მოათავსეს იმ ადგილას, რომელზეც მიუთითა რ-მა. რის შემდეგ გაიზომა მანძილი აღნიშნული წერტილიდან კ.... მარკის სატვირთო ავტომობილისა და „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილის შეჯახების წერტილამდე, რამაც შეადგინა 40 მეტრი. რ-მა მიუთითა ადგილი და აჩვენა განლაგება, რა განლაგებითაც მოხდა მისი მართვის ქვეშ მყოფი „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილისა და „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილებს შორის შეჯახება. აღნიშნულის შემდეგ „ფორდ ტრანზიტის“ მარკისა და „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილები განალაგეს საავტომობილო გზაზე რ-ს მითითებით, რის შემდეგ გაიზომა მანძილი აღნიშნული წერტილიდან გზის გამყოფ უწყვეტ ღერძულა ზოლამდე, რამაც შეადგინა 1,0 მეტრი. შედეგენილი იქნა სქემატური ნახაზი და მოხდა ფოტოგადაღება, რაც ერთვის საგამძიებო ექსპერიმენტის ოქმს.

5.7. 2023 წლის 7 აგვისტოს, ვითარების აღდგენის მიზნით, შეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ....ის მთავარი სამსართველოს საგამძიებო განყოფილების გამომძიებელმა ვ-მ უფროსი გამომძიებლის კ. ბ-ს მონაწილეობით ჩაატარა საგამძიებო ექსპერიმენტი მ... რაიონის სოფელ ზ... გამავალი მ... საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრზე, გზაჯვარედინზე, სადაც მთავარ საავტომობილო გზას ორივე მხრიდან უერთდება მეორეხარისხოვანი გზები. შემთხვევის ადგილზე საავტომობილო გზა არის ასფალტირებული, უდეფექტო, მშრალ მდგომარეობაში და განკუთვნილია ორმხრივი მოძრაობისათვის. გზა არის გამყოფილი უწყვეტი ღერძულა ზოლით, რომელიც გზაჯვარედინზე იცვლება წყვეტილი ზოლით. ქ. მ... მიმართულებით, გზაჯვარედინის დასაწყისში ცენტრალურ გზაზე არის საგზაო მინიშნება ქვეითთა გადასასვლელი. სოფელ ... მიმართულებით გზის მარცხენა სამოძრაო სიგანეში შეადგინა 3,8 მეტრი, ხოლო მთლიანი გზის სიგანეში შეადგინა 7,3 მეტრი. გზას

ორივე მხარეს გააჩნია 0,3 მეტრის სიგანის ასფალტირებული გვერდული. სოფელ ... მიმართულებით გზის მარჯვენა მხარეს არსებული ღორღიანი გვერდულის სიგანემ შეადგინა 7,8 მეტრი, ხოლო იგივე მიმართულებით გზის მარცხენა მხარეს არსებული ღორღიანი გვერდულის სიგანემ შეადგინა 5,0 მეტრი. მიმდინარე წლის 3 აგვისტოს, გზის აღნიშნულ მონაკვეთში სიფელ ... ქ.მ... მიმართულებით მოძრავ „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილს, რომელსაც მართავდა ხ..., გზაჯვარედინზე მარჯვენა მხრიდან შეეჯახა მეორეხარისხოვანი გზიდან მომავალი კ.... მარკის სატვირთო ავტომობილი, გადავიდა საპირისპირ სამოძრაო ზოლში, სადაც მას შეეჯახა ქ... სოფელი ... მიმართულებით მოძრავი „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილი. იმისათვის, რომ დადგენილიყო სატვირთო ავტომობილის მძღოლის სავარძლიდან მისთვის შესაფერის პოზიციაში ჯდომისას მძღოლისთვის რა მანძილზე იყო შესაძლებელი სოფ. მ... მიმართულებით მოძრავი ავტომობილის დანახვა, ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი. შემთხვევის ადგილზე, გზაჯვარედინზე, სადაც მთავარ გზას უერთდება მეორეხარისხოვანი გზები, ქ. მ... მიმართულებით გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მეორეხარისხოვან გზაზე, გზაჯვარედინის დასაწყისიდან მიმართულებით გზაჯვარედინისაკენ გაჩერებული იქნა კ.... მარკის ავტომობილი, რომელიც წინა ნაწილით განლაგდა ქ. მ... მიმართულებით გზის პირობით მარჯვენა კიდესთან. აღნიშნული ავტომობილის წინა მარჯვენა კუთხიდან მეორეხარისხოვანი გზის (სადაც არის ის გაჩერებული) მარჯვენა კიდემდე მანძილმა შეადგინა 1,8 მეტრი, ხოლო უკანა მარჯვენა კუთხიდან გზის იმავე კიდემდე მანძილმა შეადგინა 1,6 მეტრი. აღნიშნულის შემდგომ იმის გასარკვევად რამდენად შესაძლებელი იყო ავტომობილის მძღოლის საგარძლიდან მისგან მარცხენა მხრიდან მთავარ გზაზე, სოფ. ქ. მ... მიმართულებით მოძრავი „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილის დანახვა, გამომიებელი კ. ბ-ი დაჯდა მძღოლის სავარძელზე, ავტომობილის მართვისას შესაფერის პოზიციაში, აღნიშნული პოზიციიდან მარცხენა კარის ფარჯრიდან ნათლად დაინახა საავტომობილო გზა. ამის შემდეგ სოფელ ..., იმ ადგილიდან, რომელიც არ ჩანს შემთხვევის ადგილიდან დაიძრა საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილე „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილი და მაშინ, როდესაც კ. ბ-მა დაინახა კ.... მარკის ავტომობილის მძღოლის სავარძლიდან „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილი, მოხდა აღნიშნული ავტომობილის გაჩერება, რის შემდეგ გაიზომა მანძილი კ.... მარკის ავტომობილსა და ექსპერიმენტში მონაწილე „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილს შორის, რამაც შეადგინა 100 მეტრი. აღნიშნულის შემდეგ, იმის გასარკვევად, რამდენად შესაძლებელი იყო „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილის მძღოლის სავარძლიდან მისგან მარჯვენა მხრიდან მეორეხარისხოვანი გზის დასასრულთან მთა-

ვარ გაზე შემოსვლამდე გაჩერებული კ.... მარკის ავტომობილის დანახვა, გამომძიებელი კ. ბ-ი დაჯდა მძღოლის სავარძელზე და დაიწყო მოძრაობა სოფელ... ქ. მ... მიმართულებით იმ ადგილიდან, რომელიც არჩანს შემთხვევის ადგილიდან და მას შემდეგ, როგორც კი გამოჩნდა მარჯვენა მხრიდან მეორეხარისხოვან გზაზე გზაჯვარედინის დასაწყისიდან გაჩერებული კ.... მარკის სატვირთო ავტომობილი, კ. ბ-მა გააჩერა ავტომობილი, რის შემდეგაც გაიზომა მანძილი „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილიდან კ.... მარკის ავტომობილამდე, რამაც შეადგინა 100 მეტრი. საგამოძიებო ექსპერიმეტის შედეგად შედგა სქემატური ნახაზი და ფოტოგადალება.

5.8. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს საკუ-ის 276-ე მუხლი ბლანკეტური შინაარსის ნორმაა და ავტომობილის უსაფრთხოების წესის დარღვევის დადგენისას სახელმძღვანელო ნორმატიულ აქტს ნარმოადგენს საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონი. მოცემულ შემთხვევაში მ. ი-ს მიერ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა გამოიხატა მასში, რომ მან ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხოდ მართვა, დაარღვია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის დანართის – საგზაო პრიორიტეტის ნიშანი 2.3-ის მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტის ნიშნებს, კერძოდ, პრიორიტეტის ნიშანი ადგენს გზაჯვარედინის, სავალი ნაწილის გადაკვეთის ან გზის ვიწრო მონაკვეთის გავლის რიგითობას. მათ შორის, პრიორიტეტის ნიშანი 2.3. „დაუთმე გზა“ - გულისხმობს გზას, რომელზეც მოძრავი მძღოლიც ვალდებულია გზა დაუთმოს გადასაკვეთ გზაზე მოძრავ მძღოლს. მეორეხარისხოვანი გზიდან მოძრავ ავტომობილს გააჩნია ვალდებულება გზა დაუთმოს მთავარ გზაზე მოძრავ ავტომობილს და არ შექმნას საფრთხე, არ აიძულოს პრიორიტეტის მქონე მძღოლი უეცრად შეცვალოს მოძრაობის მიმართულება ან სიჩქარე.

5.9. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის დამადასტურებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ექსპერტიზის დასკვნა, ვინაიდან იმის დადგენა, ნინდახედულობის ნორმის დარღვევამ გამოიწვია თუ არა სისხლისამართლებრივად დასჯადი შედეგი, მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. რიგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ნინდახედულობის ნორმის როგორც დაცვის, ისე მისი უგულებელყოფის დროს ერთიდაგივე შედეგი დადგენა. ამიტომ სატრანსპორტო დანაშაულებთან მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ექსპერტიზის დასკვნასა და მის უტყუარ/კატეგორიულ ხასიათს ენიჭება. ექსპერტმა ზუსტად უნდა დაადგინოს საფრთხის შექმნის მომენტი და განსაზღვროს, მიიღო თუ არა მძღოლმა საფრთხის შექმნის მომენტიდან

ის ზომები, რის მიღებასაც მას საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონი ავალდებულებს” (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 25 მარტის №780აპ-20 განაჩენი).

5.10. 2023 წლის 4 აგვისტოს სატრანსპორტო ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის №...-ის დასკვნით დგინდება, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილ ავტომობილებზე არსებული დაზიანებები ნაჭდევი ხასიათისა, თან გასდევს საღებავის აფხევა, თავისი ფორმით და განვითარების ხასიათით მექანიკურია და დამახასიათებელია რაიმე მკურივ საგანთან შეჯახება-ურთიერთქმედებისათვის. სატვირთო ავტომობილის სახ. №...-ის წინა „ბამპერის“ სამაგრჭანჭიკიკებზე აღნიშნება მოხსნა-დაყენების კვლები. ლითონის „ბამპერი“, თავისი ფორმით და მოყვანილობით შესაძლებელია მიეკუთვნებოდეს, როგორც ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სატვირთო ავტომობილი სახ. №...-ის შემადგენელ ნაწილს, ასევე სხვა ანალოგიური მარკის და მოდელის ავტომობილის შემადგენელ ნაწილს. მიკროავტობუსი „FORD-TRANSIT“ სახ. №...-ის და ავტომობილი „OPEL CORSA“-ს პირველადი კონტაქტის დროს გრძივ ლერძებს შორის მახვილი კუთხე შეადგენდა დაახლოებით 80 გრადუსს, ხოლო ავტომობილ „OPEL CORSA“-ს და სატვირთო ავტომობილი სახ. №...-ს შორის შეჯახების კუთხის დადგენა ვერ მოხერხდა. მიკროავტობუსი „FORD-TRANSIT“ სახ. №...-ის სამუხრუჭე სისტემა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაშია, ხოლო საჭით მართვის მექანიზმი გამოსულია მწყობრიდან მასზე ძლიერი მექანიკური ძალების ზემოქმედების შედეგად, რასაც ადგილი ექნებოდა ავტო-საგზაო შემთხვევის დროს. ექსპერტიზე წარმოდგენილი ავტომობილი „OPEL CORSA“ სახ. №...-ის, როგორც საჭის მართვის მექანიზმი, ასევე სამუხრუჭე სისტემა გამოსულია მწყობრიდან მათზე ძლიერი მექანიკური ძალების ზემოქმედების შედეგად, რასაც ადგილი ექნებოდა ავტო-საგზაო შემთხვევის დროს. სატვირთო ავტომობილი სახ. №...-ის საჭით მართვის მექანიზმი და სამუხრუჭე სისტემა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაშია. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მძღოლ მ. ი-ს მოქმედება არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის დანართის საგზაო პრიორიტეტის ნიშანი 2.3-ის მოთხოვნას, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ტექნიკური თვალსაზრისით, მძღოლი ხ.... მის განკარგულებაში არსებული მანძილისა და დროის სიმცირის გამო შეჯახების თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა და მის მოქმედებაში საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ტექნიკური თვალსაზრისით, მძღოლ რ-ს შეჯახების თავი-

დან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებში საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის უგულებელყოფა არ აღინიშნება.

5.11. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე გ... დაადასტურა მის მიერ გაცემული დასკვნის სისწორე და განმარტა, ვინაიდან მსჯავრდებულ მ. ი-ს გამოკითხვის ოქმიდან ირკვეოდა, რომ მან მეორეხარისხოვანი გზიდან მ... საავტომობილო გზაზე შესვლის წინ გააჩერა ავტომობილი, რის შემდეგაც, დაახლოებით 5 კმ/სთ სიჩქარით გაიარა 0,5-1 მეტრი, რა დროსაც დაინახა მისგან მარცხენა მხარეს მოძრავი ავტომობილი „ოპელ კორსა“, რომელიც მისგან დაშორებული იყო 5-6 მეტრით, მან როგორც ექსპერტმა მიიჩნია, რომ მძლოლის – მ. ი-სის მოქმედება არ შეესაბამება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი საგზაო პრიორიტეტის წინების 2.3-ის მოთხოვნას, რომელთა დაცვის შემთხვევაში მომხდარ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა. ავტომობილ „ოპელ კორსას“ მძლოლის მოქმედების შეფასებასას – ტექნიკური თვალსაზრისით შეეძლო თუ არა აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილება, ანუ მეორეხარისხოვანი გზიდან მის გზაზე მოულოდნელად შემოსულ სატვირთო ავტომობილთან შეჯახების თავიდან აცილება, მოწმემ განმარტა, რომ გამოანგარიშებამ აჩვენა, რომ 5-6 მეტრს „ოპელ კორსა“ გაივლიდა 0,3-0,4 წამში, რაც ნაკლებია მისთვის განკუთვნილ სარეაციო დროზე, რაც შეადგენს ერთ წამს. ასევე უურადღება უნდა მიექცეს „ოპელ კორსას“ დაზიანების ლოკალიზაციას – შუაში და უკან, აქედან გამომდინარე, შეჯახებამდე „ოპელ კორსას“ მძლოლი მის განკარგულებაში არსებული მანძილისა და დროის სიმწირის გამო, დამუხხუჭების დაწყებასაც ვერ მოასწრებდა. რაც შეეხება „ფორდ ტრანზიტის“ ავტომანქანის მძლოლის რ-ის მოქმედებას – მას საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში საგზაო მოძრაობის კანონის უგულებელყოფა არ აღინიშნება, ვინაიდან მის სავალ ნაწილზე გადმოსული მართვადაკარგული ავტომობილი იმყოფებოდა მოძრაობაში, მას რომც მიეღო ზომები, გაჩერებასთან დაკავშირებით და გაეჩერებინა, „ოპელ კორსა“ იყო მოძრაობაში და შეჯახება გარდაუვალი იქნებოდა. ამასთან, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მანევრი ისე უნდა შესრულდეს, რომ საფრთხე არ შეუქმნას სხვა ავტომობილს. გაჩერებული ავტომობილის დაძვრა აღიქმება და არის მანევრი და სატვირთო ავტომობილის მძლოლს მანევრი უნდა შეესრულებინა უსაფრთხოდ ისე, რომ სხვა ავტომობილისთვის საფრთხე და დაბრკოლება არ შეექნა. ვინაიდან, „ოპელ კორსას“ მარჯვენა ნაწილში აღნიშნება დაზიანება მარჯვნიდან მარცხნივ და ნაწილობრივ წინიდან უკან, მიუთითებს იმაზე, რომ დამამდიმებელი ძალა მხოლოდ წინიდან უკან არ იყო, რაც წინავს, რომ

მხოლოდ „ოპელ კორსა“ არ იყო მოძრაობაში და ნაწილობრივ რაღაცა სიჩქარით (რაღაც კინეტიკური ძალით) წინ გადაადგილდებოდა სატ-ვირთო ავტომობილიც. „ოპელ კორსა“ არის ე.წ. კუპე და მარჯვენა კარი ერთი აქვს. კარზე აღნიშნება მარჯვნიდან მარცხნივ და წინიდან უკან მოძრავი დინამიური კვლები. უკანა ფრთის და კარის გადაბმაზე მარჯვნიდან მარცხნივ არის დაზიანება, რაც განვითარდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მარჯვნიდან მარცხნივ იმოძრავებდა სატვირთო ავტომობილი. ამასთან იმის გამო, რომ „ოპელ კორსა“ საპირისპირო სავალ ნაწილზე აღმოჩნდა მოცურებული მარცხენა გვერდით „ფორდ ტრანზიტის-კენ“, მიუთითებს, რომ „ოპელ კორსას“ მარცხენა გვერდით ნაწილში მოქმედებდა ძალა, რომელმაც უკანა ნაწილი წაილო და მარცხენა გვერდით „ფორდ ტრანზიტს“ შეეჯახა. ექსპერტი განმარტა, რომ ავტომანქანა „კავზი“ არ იყო გაჩერებული, რადგან სხვა შემთხვევაში ამ განლაგებას ვერ მიიღებდნენ. სატვირთო ავტომანქანის უმოძრაოდ დგომისას ან გასმითი შეჯახების დროს „ოპელ კორსა“ თავის ზოლში დატრიალდებოდა. რაც შეეხება ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის დაფენას, მის ხელთ არსებულ მასალებში არ ყოფილა მითითებული, თუმცა მას არ დასჭირვებია „ოპელ კორსას“ სიჩქარის გამოთვლა, რადგან სატვირთო ავტომობილის მძლოლის განმარტებით, მან დაიწყო მოძრაობა, გაიარა 0,5 მეტრი და „ოპელ კორსა“ მისგან დაშორებული იყო 5-6 მეტრით. ამ პუნქტში დასაშვებ სიჩქარედ 60-ის ნაცვლად 30-40 კმ/სთ-იც რომ აეღო, ისევ რეაქციის საჭირო დროზე ნაკლები დარჩებოდა, „ოპელ კორსას“. მართალია, მან არ იცის თუ რა მანძილში დაინახავდა „ოპელ კორსას“ მძლოლი სატვირთო ავტომანქანას, თუმცა მისთვის ცნობილია საფრთხის წარმოქმნის მომენტი – მათ შორის არსებული 5 მეტრი და ის ფაქტი, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტით დადგინდა, რომ გზების აღნიშნული კვეთა 100 მეტრიდან ჩანს – შედეგს არ ცვლის. მან სატრანსპორტო ტრასოლოგიური ცოდნიდან, დაზიანებული ნაწილებიდან, მიმართულებებიდან და მათი დინამიკიდან გამომდინარე, ცალსახად დასაკვინა, რომ გაჩერებულ მანქანას „ოპელ კორსა“ გვერდს აუვლიდა წინა ნაწილით. მოცემულ შემთხვევაში კი „ოპელ კორსა“ ე.წ. მანქანის ცხვირის წინა გაბარიტით აცდა სატვირთო ავტომობილს და ამ უკანასკნელის შემდგომმა მოძრაობამ შექმნა საფრთხე.

5.12. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 30 აგვისტოს სატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დგინდება, რომ მოცემულ საგზაო სიტუაციაში, შემთხვევაში მონაწილე ავტომობილ „კავზ 644“-ის ის სახ. ნომრით ... მძლოლის მ. ი-ს მოქმედება არ შეესაბამება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №...-ის პრიორიტეტის ნიშნების, 2.3. პუნქტის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის დროსაც კონ-

კრეტულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა. მოცემულ საგზაო სიტუაციაში, შემთხვევაში მონაწილე ავტომობილ „ოპელ კორსას“, სახ. ნომრით ... მძღოლს, ხ. ა-ს, ტექნიკური თვალსაზრისით, კონკრეტული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება. მოცემულ საგზაო სიტუაციაში, შემთხვევაში მონაწილე ავტომობილ „ფორდ ტრანზიტის“, სახ. ნომრით ... მძღოლზე, რ-ე არ იყო დამოკიდებული კონკრეტული საგზაო-სატრანსპორტო მემთხვევის თავიდან აცილება და მის მოქმედებაში საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება.

5.13. ექსპერტ ემზარ გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ საექსპერტო კვლევა ჩაატარა ი-სთან ერთად, წარმოდგენილი საქმის მასალების შესწავლით, სხვადასხვა მონაცემის გათვალისწინებით, ახსნილი იყო კონკრეტული მექანიზმი, თუ როგორ განვითარდა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა, კერძოდ, ავტო-საგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილი „ოპელი“ მოძრაობდა თავის სავალ ნაწილზე, რასაც მარჯვენა მხრიდან უერთდებოდა მეორეხარისხოვანი გზა, სადაც გამოდიოდა „კავშის“ ტიპის ავტომობილი, რომელიც მანევრს ასრულებდა. მთავარ გზაზე შემოსვლისას, მსვლელობის მომენტში, „კავშის“ მძღოლმა საფრთხე შექმნა მოძრაობაში, რა დროსაც ავტომობილი „ოპელის“ მძღოლმა დაინიჭო საფრთხის არიდება, საჭე აიღო ნაწილობრივ მარცხნივ, რაზეც ნათლად მიუთითებს ის გარემოება, რომ ავტომობილი „ოპელის“ წინა მარჯვენა გვერდით ნაწილზე არანაირი დაზიანება არ არის განვითარებული. ამავდროულად ვინაიდან ავტომობილი „კავში“ იმყოფებოდა მოძრაობაში, წინა ნაწილით კონტაქტში მოვიდა ავტომობილ „ოპელის“ მარჯვენა შუა და უკანა ნაწილებთან. სიჩქარებისა და მიმართულების გათვალისწინებით კიდადგინდა, რომ უკან ნაწილს კონტაქტის შედეგად მიენიჭა სხვა მიმართულება, რამაც გამოიწვია ავტომობილი „ოპელის“ მოცულება და მძღოლმა დაკარგა მართვა, რის გამოც მოცურებულ მდგომარეობაში გააგრძელა სვლა და გადავიდა საპირისპირო სავალ ზოლში, სადაც მას მარცხენა გვერდით ნაწილში შეეჯახა თავის სავალ ნაწილში მოძრავი „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილი. „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილი ცალსახად მოძრაობდა თავის სამოძრაო ზოლში, რასაც მიუთითებს მის მიერ დატოვებული კვლები. ვინაიდან „ფორდ ტრანზიტი“ შეჯახების დროს იმყოფებოდა თავის სამოძრაო ზოლში, ხოლო, მას წინა ნაწილში დაეჯახა შემხვედრად მოძრავი მართვადაკარგული ავტომობილი, „ფორდ ტრანზიტის“ მძღოლზე არ იყო დამოკიდებული კონკრეტული შემთხვევის თავიდან აცილება. ავტომობილ „კავშისა“ და ავტომობილ „ოპელს“ შორის მომხდარი ავტო-

სატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეულია ავტომობილი „კავზის“ მძღოლის ქმედებით. „ოპელის“ მძღოლმა კი, მხოლოდ საჭის მარცხნივ აღება მოასწორო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ავტომობილი „ოპელის“ მძღოლი მი-იღებდა კონკრეტულ ზომას ავტომობილის სრულად გასაჩერებლად, ტექნიკური თვალსაზრისით ის მაინც ვერ შეძლებდა შემთხვევის თავი-დან აცილებას. ექსპერტის განმარტებით, „ოპელი“ მოძრაობდა თავის ზოლში, როდესაც მარჯვენა მხრიდან ავტომობილი „კავზი“ მოვიდა მანქანის უკანა ნაწილთან კონტაქტში, რა დროსაც ავტომობილ „ოპელს“ ძალები წინ ჰქონდა მიმართული, ხოლო, კავზის მიერ მინიჭებული ძალის გამოყენებით დაიწყო მოცურება. ამასთან, საგამოძიებო ექსპერი-მენტით დადგენილი უდიდესი მანძილი, საიდანაც ავტომობილის მძღო-ლებს შეეძლოთ შეემჩნიათ ერთმანეთი, არის 100 მეტრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად 100 მეტრი იყო მათ შორის დაშორება, როდესაც „კავზის“ მძღოლი შემოვიდა სავალ ნაწილზე. საფრთხის შექ-მნის მომენტი გაცილებით უფრო ახლოს იყო, რადგან თუ ავტომობილი ოპელი დაშორებული იქნებოდა 100 მეტრით მაშინ, როდესაც კავზი შე-ვიდა სავალ ნაწილზე და კავზის მძღოლი გააგრძელებდა მოძრაობას, ის გარკვეულ მანძილს კვლავ გაივლიდა მანამ, სანამ ოპელი იქამდე მივიღოდა და მათი ტრაექტორიები გადაიკვეთებოდა. შესაბამისად, კავზის მძღოლიც შეძლებდა გარკვეული მანძილის გავლას და ნაცვლად კავზის წინა ნაწილით ოპელის უკანა ნაწილთან შეჯახებისა, შეჯახება მოხდებოდა სხვა ადგილებში ან შეიძლება საერთოდ არ მომხდარი იყო და გადაესწრო კავზის ავტომობილს. ვინაიდან ავტომობილ „კავზს“ და-ზიანებული ჰქონდა წინა მარცხენა ნაწილი, ხოლო ავტომობილ „ოპელს“ – უკანა მარჯვენა გვერდითი ნაწილები, აღნიშნული გარემოებები მიუ-თითებს იმაზე, რომ საფრთხის შექმნის მომენტში, როდესაც კავზი შე-ვიდა სავალ ნაწილზე, ავტომობილი „ოპელი“ ახლო მანძილით იყო მას-თან დაშორებული და მძღოლმა მხოლოდ საჭის აღება მოასწორო, თუმცა ავტომობილი „კავზი“ კონტაქტში მოვიდა ავტომობილ „ოპელთან“. ექ-სპერტის განმარტებით, გამოირიცხა რომ ავტომობილ „ოპელის“ მძღოლს საჭე გაექცა და თავად შეეჯახა „კავზს“, რადგან ასეთ შემ-თხვევაში სხვა კოროდინატებში მოხდებოდა მათი განლაგება და არა ისე, როგორც სქემაზეა მოცემული.

5.14. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერ-ტმა – ი. ლ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და მიუთითა იგივე ფაქტობრივი გარემოებები.

5.15. 2023 წლის 18 სექტემბრის ავტოტექნიკური ექსპერტიზის დას-კვნის თანახმად, „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილის, სახელმწიფო ნომერი – ... მძღოლს ხ. ა-სს, ტექნიკური თვალსაზრისით, შეეძლო საგ-ზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება, როგორც დასაშ-

ვები, ისე გადაჭარპებული სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაში, თუ ის დაბრკოლების წინ დროულად მიიღებდა ყველა შესაძლო ზომას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მძლოლის მოქმედება არ შეესაბამებოდა საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

5.16. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ვა დაადასტურა დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ მის მიერ დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი. რა დროსაც დარწმუნდა საგამოძიებო ექსპერიმენტში აღნერილ ფაქტობრივ გარემოებებში. კერძოდ, იმ ფაქტის ნამდვილობაში, რომ 100 მეტრი მანძილიდან და უფრო მეტი მანძილიდანაც ჩანს „ოპელ კორსას“ ავტომობილის მიმართულებით სატვირთო ავტომობილის შემოსვლის ადგილი. ექსპერტის განმარტებით, „ოპელ კორსას“ მძლოლს შეეძლო შეჯახების თავიდან აცილება. თუ ავტომობილი იმოძრავებდა დასაშვები 50 კმ/სთ სიჩქარით, მისი გაჩერების სიგრძე იქნებოდა 32 მეტრი; თუ იმოძრავებდა 60 კმ/სთ სიჩქარით – 42 მეტრი, ხოლო, თუ მაქსიმალური 105 კმ/სთ სიჩქარით – 96 მეტრი. შესაბამისად, ყველა შემთხვევაში შეეძლო ავტომობილის გაჩერება და ამიტომ სიჩქარის განსაზღვრას 105 კმ/სთ-მდე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ექსპერტის განმარტებით, საფრთხის შექმნის მომენტი დადგენილია საგამოძიებო ექსპერიმენტით და წარმოადგენს 100 მეტრს. „ფორდ ტრანზიტის“ მძლოლის მითითებით სატვირთო ავტომობილი არარეგულირებად გზაჯვარედინზე შევიდა შეუჩერებლად და შესაბამისად, საფრთხე წარმოქმნა იმ მომენტში. მძლოლის განმარტებით, შეჯახების მომენტში სატვირთო ავტომობილი გზაჯვარედინზე შესული იყო 0,5 მეტრიდან 1 მეტრამდე, ხოლო საგამოძიებო ექსპერიმენტით დადგენილია, რომ სატვირთო ავტომობილი შესული იყო 1,7 მეტრით. ექსპერტის განმარტებით, თუ სატვირთო ავტომობილი შესული იქნებოდა 0,5 მეტრით, „ოპელ კორსას“ არავითარი დაბრკოლება არ შეექმნებოდა გაეგრძელებინა გზა თავის სამოძრაო ზოლში, ხოლო თუ შესული იქნებოდა 1 ან 1,7 მეტრით, „ოპელ კორსას“ შეეძლო მარცხნივ მოხვევის მანევრით აეცილებინა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა, მარცხნივ გადასვლით ანუ სატვირთო ავტომობილზე მარცხნიდან გვერდის ავლით. იმ შემთხვევაში, თუ სატვირთო ავტომობილი შესული იყო 1,7 მეტრით და ავტომანქანა „ოპელ კორსას“ გატარების მიზნით იყო გაჩერებული, სატვირთო ავტომობილის მძლოლს უნდა გაეთვალისწინებინა მარჯვნიდან საპირისპირო ზოლში მომავალი ავტომობილი, მაგრამ, მას გზა უნდა დაეთმო ლერძულა ხაზის გადაკვეთის მომენტიდან. საპირისპირო მოძრაობის „ფორდ ტრანზიტისთვის“ საფრთხე შეიქმნებოდა მაშინ, როდესაც სატვირთო ავტომობილი დაიწყებდა გამყოფი ხაზის გადაკვეთას. ამ შემთხვევაში,

სატვირთო ავტომობილის მძღოლი ვალდებული იყო დაეთმო გზა, რადგან მის გზაზე ეყენა ნიშანი დაუთმე გზა. მაგრამ, ნიშანი დაუთმე გზა, არ ავალდებულებს მძღოლს აუცილებლად გაჩერდეს გზაჯვარედინზე შესვლის მომენტში. ის ავალდებულებს, რომ უნდა დაუთმოს გზა თავის ზოლში მოძრავ ავტომობილს. მოცემულ შემთხვევაში, სატვირთო ავტომობილის მძღოლს შეეძლო, როგორც გაჩერდით, ისე გაუჩერდლად შესულიყო გზაჯვარედინზე თუ ის არ შეუქმნიდა საფრთხეს მსუბუქი ავტომობილის მძღოლს. მსუბუქი ავტომობილი, რადგან ფაქტორივად დაშორებული იყო დიდ მანძილზე ანუ 100 მეტრზე მეტ მანძილზე, სატვირთო ავტომობილის მძღოლი ვერ ხდავდა რომ მოძრაობდა რაიმე სატრანსპორტო საშუალება, რა დროსაც მას შეეძლო შესულიყო სამოძრაო ზოლში და დაეწყო გზაჯვარედინის გადაკვეთა.

5.17. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თანაბარი ძალის მქონე მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობრების არსებობისას, სასამართლომ ცხადად უნდა განმარტოს მიზეზები, რის გამოც იზიარებს ერთ მტკიცებულებას და გამორიცხავს მეორეს ან წარმოაჩინოს ის საფუძვლები, რის გამოც უარს აცხადებს თითოეული მათგანის გაზიარებაზე. საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ სააპელაციო სასამართლომ დეტალურად იმსჯელა და შეაფასა, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უტყუარობა, თავსებადობა და ის გარემოებები, რის გამოც არ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რასაც საკასაციო სასამართლოც ეთანხმება.

5.18. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ შეჯახების მომენტში, ავტომობილი „ოპელ კორსა“ იმყოფებოდა ავტომობილ „კავზთან“ ახლოს, ვინაიდან მძღოლმა მხოლოდ საჭის მარცხნივ აღება მოასწრო. ასევე ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაშიც კი, თუ ავტომობილი „ოპელ კორსას“ მძღოლი მიიღებდა კონკრეტულ ზომას ავტომობილის სრულად გასაჩერებლად, ტექნიკური თვალსაზრისით, ის მაინც ვერ შეძლებდა შემთხვევის თავიდან აცილებას. რაც გამორიცხავს დაცვის მხარის მოწმის მითითებას, რომ „ოპელ კორსას“ მძღოლს საჭე გაექცა და თავად შეეჯახა „კავზს“, იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ შემთხვევაში, სქემაზე მოცემული კოორდინატებისგან განსხვავებულად მოხდებოდა მათი განლაგება.

5.19. საკასაციო პალატა მიღებული გადაწყვეტილების დასასაბუთებლად ასევე ყურადღებას გაამხვილებს სადაც გამხდარ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ საფრთხის წარმოქმნის მომენტში ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომანქანებს შორის არსებულ დაშორებაზე და მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაშიც არ უნდა იქნეს გაზი-

არებული კასატორის არგუმენტი, რომ თითქოს საფრთხის წარმოქმნის მომენტში მანქანებს შორის მანძილი იყო 100 მეტრი. საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტებით დადგინდა მხედველობის არე, კერძოდ, სატვირთო ავტომობილის მძლოლის სავარძლიდან მძლოლის-თვის რა მანძილზე იყო შესაძლებელი სოფ... მ... მიმართულებით მოძრავი ავტომობილის დანახვა და პირიქით. ორივე ავტომობილის მძლოლის მხედველობის არე იყო 100 მეტრი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხილვა-დობის მანძილი გაიგივებული იქნეს საფრთხის წარმოქმნის მომენტში ავტომობილებს შორის არებულ მანძილთან. საფრთხის შექმნის მომენტი არის ის მომენტი, როდესაც მეორეხარისხოვანი გზიდან მოძრავი ავტომობილი იღებს გადაწყვეტილებას გადაკვეთოს მთავარი გზა და მას აქვს ვალდებულება მანევრის შესრულებამდე დარწმუნდეს, რომ მთავარ/გადასაკვეთ გზაზე მოძრაობის რომელიმე მონაწილისთვის არ ქმნის საფრთხეს. მართალია, სატვირთო ავტომანქანას შეეძლო მსგან 100 მეტრში დაენახა „ოპელ კორსა“ თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ ეს ავტომობილები საფრთხის წარმოქმნის მომენტში ერთმანეთისგან 100 მეტრით იყვნენ დაშორებულნი. ის ფაქტი, თუ როდის წარმოიქმნა საფრთხე უნდა დადგინდეს კონკრეტული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებით. თვითმხილველი მოწმის რ-ს ჩვენების თანახმად, მისგან დაახლოებით 40 მეტრის მოშორებით გზაჯვარედინზე დაინახა, რომ მარცხენა მხრიდან გამოიდიოდა მომწვანო-მოლურჯო კამაზი, ხოლო მოწმიაღმდეგე მხრიდან მოდიოდა „ოპელ კორსა“. მათ შორის დაშორება იყო დაახლოებით 5-10 მეტრი, როცა ერთმანეთი დაინახეს. მსჯავრდებულ მ. ი-სის ჩვენების თანახმად კი, როდესაც მან დაიწყო გზაჯვარედინზე შეუჩერებლად შესვლა გაიხედა ორივე მხარეს და ოპელი ვერ შენიშნა, ხოლო როდესაც 1 მეტრით უკვე შესული იყო მთავარ გზაზე მისგან 15-20 მეტრში დაინახა „ოპელ კორსა“. ექსპერტებმა ე. გ-მა, ი. ლ-მ და გ-... იხელმძღვანელეს სწორედ საფრთხის შექმნის მომენტში საგზაო შემთხვევის მონაწილეთა შორის არსებული მანძილით. მაშინ როცა ექსპერტმა ვ-ა საფრთხის შექმნის მომენტში მდგრენელად აიღო 100 მეტრი, რაც არ ემყარება საქმეზე დადგენილ გარემოებებს. 2023 წლის 4 აგვისტოს სატრანსპორტო ტრასოლოგიური და ავტოტექნიკური ექსპერტიზის №... და 2023 წლის 30 აგვისტოს სატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის №.... დასკვნებით დადგინდა, რომ ხ.... მის განკარგულებაში არსებული მანძილისა და დროის სიმცირის გამო შეჯახების თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა და მის მოქმედებაში საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება.

5.20. საკასაციო პალატის შეფასებით, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშე-

ჯერებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, აღნიშნულ ეპიზოდში შესაძლებელია, როგორც ფაქტების უტყუარი დადასტურება, ისე – მატერიალური სამართლის ნორმის თითოეულ ელემენტის დადასტურებულად მიჩნევა, რაც ქმნის დანაშაულის სრულყოფილ შემადგენლობას და სახეზეა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით.

5.21. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ მ. ი-მა შემთხვევის ადგილი დატოვა მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ ხ.... და მ.... იყვნენ გარდაცვლილები. ამასთან, შემთხვევის ადგილზე იყო შეკრებილი ხალხი, რომლებიც ცდილობდნენ მათ დახმარებას. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ მ. ი-მა ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხოდ მართვა, დაარღვია საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის დანართის – საგზაო პრიორიტეტის ნიშანი 2.3-ის მოთხოვნები, დათმობის გარეშე გავიდა მთავარ გზაზე და ავტომობილის წინა ნაწილით მარჯვენა გვერდითა ნაწილში შეეჯახა „ოპელ კორსას“ მარკის ავტომობილს. შეეჯახების შედეგად ხ.... სავტომობილი ინერციით გადაადგილდა საპირისპირო სავალი ზოლისკენ, სადაც მას შეეჯახა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი „ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომობილი. ავტოვარიის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო, ხ.... და მისი მგზავრი მ.... შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალნენ. შესაბამისად, ვინაიდან მსჯავრდებულის გაუფრთხილებელი დანაშაულის გამო, აღმოჩენენ ხ.... და მ.... სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში სწორედ მას ეკისრებოდა ვალდებულება ეზრუნა მათზე. თუმცა, მოწმეთა ჩვენებებით და თავად მ. ი-ს ჩვენებით ირკვევა, რომ მ. ი-ს არც უცდია განსაცდელში მყოფთათვის რაიმე დახმარების აღმოჩენა, არ მიუღია რაიმე ზომა მათ დასახმარებლად და მალევე დატოვა შემთხვევის ადგილი.

5.22. საკასაციო პალატის მიერ ასევე ვერ იქნება გაზიარებული დაცვის მხარის მითითება, რომ თითქოს მ. ი-ი გადმოვიდა ავტომობილიდან და შემდეგ კი როდესაც თავად ცუდად გახდა განარიდეს შემთხვევის ადგილიდან. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება საწინააღმდეგო, რომ მ. ი-ი არ დაინტერესებულა ხ.... და მ.... ს მდგომარეობით და ისე მიატოვა შემთხვევის ადგილი. ამასთან არ დაინდება, რომ მას რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება უსპობდა დახმარების შესაძლებლობას.

5.23. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ

ეჭვს მიღმა დასტურდება მ. ი-სის მიერ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხ-ლის მე-8 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალის-წინებული დანაშაულების ჩადენა.

### **6. სასჯელის დასაბუთება:**

6.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სასჯელი სამარ-თლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამ-ნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური ტანჯვა. თავისუფლების აღკვეთა, როგორც ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმქაცრესი ფორმა, გა-მოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვ-ნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

6.2. „დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორ-ციაში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს შესაძლებლობა, ყოველ კონ-კრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინ-დივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს სა-კონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გა-დაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

6.3. „მხოლოდ ზოგადი პრევენცია ვერ იქნება საქმარისი და თვით-ქმარი პირის მიმართ ნებისმიერი სასჯელის გამოყენებისთვის, რადგან ასეთი მიდგომით ადამიანი გადაიქცევა სახელმწიფოს ხელში საზოგა-დოების „დაშინების იარაღად“, იძულების ღონისძიების გამოყენების მუქარის შიშველ ობიექტად, რაც გამორიცხულია და დაუშვებელი სა-მართლებრივ სახელმწიფოში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასა-მართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქ-მეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარ-ლამენტის წინააღმდეგ“, II-52).

6.4. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამარ-თლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებე-ლი გარემოებები, ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის ინ-დივიდუალური მახასიათებლები, სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძ-ლებლობანი და, საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე და 59-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მ. ი-ს კანონიერი და სამართლიანი სას-ჯელი განუსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში, მ. ი-ს მიმართ განსაზ-ღვრული სასჯელი მსჯავრადშერაცხილი მუხლების სანქციის ფარგლებ-შია და სრულად შეესაბამება ჩადენილი დანაშაულების ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას, ასევე დანაშაულთა ერთობლიობით და-

ნიშნული სასჯელი არის კანონიერი და სრულად უზრუნველყოფს სას-ჯელის მიზნების მიღწევას.

6.5. ამასთან, ვინაიდან მ. ი-მა დანაშაულები ჩაიდინა 2024 წლის 1 ივლისამდე, მის მიმართ უნდა გავრცელდეს ამნისტიის შესახებ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი.

6.6. მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური პენიტენციური სამსახუ-რის №.. პენიტენციური დანექსებულებიდან შემოსული მსჯავრდებულ მ. ი-ს განცხადებით ირკვევა, რომ დაზარალებულების უფლებამონაც-ვლებმა განაცხადეს უარი მის მიმართ ამნისტიის შესახებ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელდების თაობაზე.

6.7. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანხმად, ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიერ ჩადენილმა დანაშაულმაც ადამი-ანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრულებისას გამოიძიების ორგანოს ან სასამართლოს წი-ნაშე თანხმობას არ აცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

6.8. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. ი-ს მსჯავრი უნდა დაედოს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა-ში, რამაც ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. მის მიმართ აუცილებელი წინაპირობის (დაზარალებულის თანხმობა) არსებობისას, ვრცელდება ზემოხსენებული ამნისტიის კანონის მე-4 მუხლის პირვე-ლი და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი. მოცემულ შემ-თხვევაში კი, სასამართლოს წინაშე არ იქნა წარმოდგენილი დაზარალე-ბულების უფლებამონაცვლების თანხმობები.

6.9. აღსანიშნავია, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემ-ბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ამ კრძალავი ნორმაა – მასში ჩამოთვლილია ის შემთხვევები, რაზეც ამნისტიის კანონი არ ვრცელ-დება, მათ შორის იმ დანაშაულზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოს-პობა გამოიწვია, თუ თითოეული დაზარალებული ამ კანონის აღსრუ-ლებისას თანხმობას არ განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელ-დეს ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია.

6.10. ამასთან, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის სა-ქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინე-ბით, მ. ი-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით დანიშნული სასჯელი უნდა შემცირდეს 1/6-ით.

6.11. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სა-სამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სის-

ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 5 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-6 ნაწილით, „ამავე კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. ი-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ზ. რ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ- მეთა პალატის 2024 წლის 5 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

3. მ. ი-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხ- ლის მე-8 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალის- წინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზო- მად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით – თავისუფლე- ბის აღკვეთა 6 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახ- მად, დამატებითი სასჯელის სახით 1 წლით ჩამოერთვას სატრანსპორ- ტო საშუალების მართვის უფლება;

საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2024 წლის 17 სექტემბრის საქართვე- ლოს კანონის თანახმად შეუმტკირდეს 1/6-ით და განესაზღვროს თავი- სუფლების აღკვეთა 10 თვით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბო- ლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მ. ი-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებითი სასჯელის სახით 1 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

4. მსჯავრდებულ მ. ი-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 4 აგვისტოდან;

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ. ი-ს მიმართ გამოყენებული აღ- კვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია;

6. საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

ავტომობილის პლასტმასის დეტალი, საღებავის ფრაგმენტი, შალი-

თის ნაჭერი, ანაწმენდები, მიკრონაწილაკები, სისხლის ნიმუშები, ავტომობილის ქსოვილის ნიმუშები და ავტომობილის ე.ნ. „ბამპერი“ – განადგურდეს;

„ფორდ ტრანზიტის“ მარკის ავტომანქანა (სახ. ნომრით ...) და „ოპელ კორსას“ მარკის ავტომანქანა (სახ. ნომრით ...) – დაუბრუნდეთ კანონიერ მფლობელებს;

კ.... მარკის სატვირთო ავტომანქანა (სახ. ნომრით...) – დაექვემდებაროს საპროცესო კონფიდენციალურობის მიერთვა;

7. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ავტომობილის ან სევა მექანიკური სატრანსპორტო  
საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან  
ექსალუატაციის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ  
სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის  
სიცოცხლის მოსამართა გამოიცვია**

**განაჩენი  
საქართველოს სახელი**

№ 1225აპ-24

13 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),  
ლ. თევზაძე,  
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშეგანიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 20 სექტემბრის განაჩენზე მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორონისე თუთისანის საკასაციო საჩივარი.

**ალწერილობითი ნაწილი:**

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, რ. მ-ს ბრალდება: ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, დანაშაული, გათვალისწი-

ნებული საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით; დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობა-ში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით.

რ. მ-ს მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

2021 წლის 17 აპრილს, 10:00 საათიდან, 11:00 საათამდე პერიოდში, ... სოფელ ... მიმართულებით, დაახლოებით 91 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა „FORD TRANSIT-ის“ მარკის (სახელმწიფო ნომერი - ...) ავტომობილი, რომელსაც მართავდა მძღოლი რ. მ. სოფელ ... მოძრაობისას, გადაჭარბებული სიჩქარის გამო, რ. მ-მ ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების მოთხოვნები და შეეჯახა ქვეითს – ე. ქ-ს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მძღოლს – რ. მ-ს ევალებოდა შეჯახების შედეგად მიღებული დაზიანებების გამო სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ე. ქ-ზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება, მან ე. ქ., რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად, შემთხვევის ადგილზე მიატოვა.

2. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით რ. მ., – დაბადებული ..., ნასამართლობის აღმქონე, – ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

რ. მ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა მისი დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 25 ოქტომბრიდან.

გაუქმდა რ. მ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაოდა უნდა გაუქმდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის განჩინებით, რ. მ-ს უძრავ ქონებაზე, მდებარე – ... შეფარდებული გირაოს უზრუნველსაყოფად დადებული ყადალა.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. დაცვის მხარემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა რ. მ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ სრულად გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. სახელმწიფო ბრალმდებელმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, რ. მ-ს დამნაშავედ ცნობა სა-

ქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაშიც.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა პალატის 2024 წლის 20 სექტემბრის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა პალატის 2024 წლის 20 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ონისე თუთისანმა. სახელმწიფო ბრალმდებული საკასაციო საჩივრით მოითხოვს გაასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, რ. მ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაშიც. პროკურორს მიაჩნია, რომ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, უტყუარად დასტურდება ის ფაქტი, რომ შემთხვევას ადგილი არის დასახლებული პუნქტი და იქ სატრანსპორტო სამუალების მოძრაობის დასაშვები მაქსიმალური სიჩქარე იყო, არაუმტეს – 60 კმ/სთ, ხოლო რ. მ. მოძრაობდა – 91 კმ/სთ სიჩქარით. შესაბამისად, დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების მოთხოვნები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული, ასევე გამოკვლევის გარეშე უდავოდ მიჩნეული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულის უფლებამონაცვლის: ს. ქ-ს ჩვენებით, მოწმეების: გ. ქ-ს, ე. ხ-ს, ე. მ-ს და ი. ნ-ს ჩვენებებით, მხარეთა მიერ პრეიუდიციად მიჩნეული მოწმეთა გამოკითხვის ოქმებითა და საგამოძიებო მოქმედებების ოქმებით, ასევე სხვა მასალებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ რ. მ-მ ჩაიდინა – დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა, მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება, ე.ი. – საქართველოს სსკ-ის 128-ე

მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. აღნიშნულს არც დაცვის მხარე ხდის სადავოდ, ამდენად, საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას აღარ გაამახვილებს მითითებულ ქმედებაზე.

3. რაც შეეხება რ. მ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილ ბრალდებას, ბრალდების მხარის სადავო საკითხს წარმოადგენს, იყო თუ არა შემთხვევის ადგილი დასახლებული პუნქტი, რამდენი კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის უფლება ჰქონდა მითითებულ ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს და, დასაშვები სიჩქარით გადაადგილების შემთხვევაში, შეეძლო თუ არა მას თავიდან აცილებინა დამდგარი შედეგი.

4. საკასაციო სასამართლო ასევე სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ბრალდებას მითითებულ ნაწილში ბრალდების მხარეს არ აქვს წარმოადგენილი ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა რ. მ-ს ბრალეულობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, კერძოდ:

5. საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით კრიმინალიზებულია ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილი პასუხისმგებლობას ადგენს იმავე ქმედებისათვის, რამაც ადამიანის სიკოცხლის მოსპობა გამოიწვია. განსახილვები დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს ტრანსპორტის მოძრაობის წესის დარღვევას; მძიმე შედეგს – განსახილველ შემთხვევაში, ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას და მიზეზობრივ კავშირს წესების დარღვევის ფაქტსა და დამდგარ შედეგს შორის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი ბლანკეტური შინაარსის ნორმაა და ავტომობილის უსაფრთხოების წესის დარღვევის დადგენის სახელმძღვანელო ნორმატიულ აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის დამადასტურებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ექსპერტიზის დასკვნა, ვინაიდან იმის დადგენა, წინდახედულობის ნორმის დარღვევამ გამოიწვია თუ არა სისხლისამართლებრივად დასჯადი შედეგი, მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. თავის მხრივ, ექსპერტიზის კომპეტენციის წარმოადგენს – ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მიზეზისა და ავტოსაგზაო შემთხვევის მექანიზმის დადგენა, ასევე იმის გარკვევა, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის რა მოთხოვნები დაირღვა, ხოლო ექსპერტიზის დასკვნით უნდა დადგინდეს, შეეძლო თუ არა მძღოლს შემთხვევის თავიდან აცილება და მიიღო თუ არა მან საფრთხის შექ-

მნის მომენტიდან ის ზომები, რომლებსაც მას „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონი ავალდებულებს.

6. მოცემულ შემთხვევაში, რ. მ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების თანახმად, მას ბრალად ედება ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა, გამოხატული იმით, რომ მან არ გაითვალისწინა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის მოთხოვნები, კერძოდ: მძღოლს ეკრძალება სატრანსპორტო საშუალების მართვა ამ კანონით განსაზღვრული სიჩქარის შეზღუდვის გადაჭარბებით. შერჩეული სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს, მუდმივად აკონტროლოს სატრანსპორტო საშუალება ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება; თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დასახლებულ პუნქტში წებადართულია სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, არაუმეტეს 60 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო საცხოვრებელ ზონაში - არაუმეტეს 20 კმ/სთ სიჩქარით. თუ დასახლებულ პუნქტში საგზაო პირობები იძლევა მაღალი სიჩქარით მოძრაობის შესაძლებლობას, შესაბამისი საგზაო ნიშნის დადგმით მოძრაობის სიჩქარე შეიძლება გაიზარდოს გზის ცალკეულ მონაკვეთებზე.

7. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დაცვისა და ბრალდების მხარეთა მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნებზე, კერძოდ:

8. ბრალდების მხარის ინიციატივით ჩატარებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2022 წლის 23 მარტის №... კომისიური ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დგინდება შემდეგი: ... დაუსახლებელ პუნქტში დაშვებული 90 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაში, ტექნიკური თვალსაზრისით, მძღოლი რ. მ., მის განკარგულებაში არსებული მანძილის სიმცირის გამო – საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა და მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა, რამაც გამოიწვია კონკრეტული საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა, არ აღინიშნება; ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხის (მძღოლისთვის ცნობილია, რომ კონკრეტული ადგილი წარმოადგენს დასახლებულ პუნქტს, ეკისრება თუ არა ვალდებულება მძღოლს, იმოძრაოს დასახლებული პუნქტისთვის დადგენილი დაშვებული სიჩქარით?) გადაწყვეტა არის იურიდიული მსჯელობის საგანი და არ წარმოადგენს ავტოტექნიკური ექსპერტიზის კომპეტენციას; დასახლებულ პუნქტში დაშვებული 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი ავტომობილი გაჩერდებოდა სამუხრაუჭე კვალის მე-20 მეტრზე. დასახლებულ პუნქტში დაშვებული 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაში,

მძღოლ რ. მ-ს მოქმედება არ შეესაბამება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ელი და მე-6 პუნქტების მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც, მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

9. დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული, ლევან სამხარაულის სახელმისის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 21 ივნისის №... სატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დგინდება შემდეგი: მოცემულ შემთხვევაში, იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ შემთხვევის ადგილის მიდამოში, სოფელ ზ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც უშუალოდ გზის გასწვრივ ფაქტობრივად არ არის განაშენიანებული ტერიტორია და რომ კ. შ-ს მიმართულებით „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რაიმე სახის საგზაო ნიშანი, მათ შორის – განსაკუთრებული მინიჭნების საგზაო ნიშანი 5.23.1., „დასახლებული პუნქტის დასაწყისი“, რომელიც საგზაო მოძრაობის მონაცილეს აწვდის ინფორმაციას დასახლებული პუნქტის შესახებ, არ დგას, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, შემთხვევის ადგილი არ არის დასახლებული პუნქტი; „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 7.ბ პუნქტის შესაბამისად, დაუსახლებელ პუნქტში, აგრეთვე დასახლებულ პუნქტში გზის იმ მონაკვეთზე, რომელზედაც შესაბამისი საგზაო ნიშანით მოძრაობა დაშვებულია 60 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, ნებადართულია – არაუმეტეს, 90 კმ/სთ სიჩქარით.

10. დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული, ლევან სამხარაულის სახელმისის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 13 სექტემბრის №... სატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადგენილია შემდეგი: მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, შემთხვევის ადგილი არ არის დასახლებული პუნქტი, სადაც არ მოქმედებს დასახლებულ პუნქტებში მოძრაობისათვის დადგენილი წესები და იმავე კანონის 33-ე მუხლის 7.ბ პუნქტის მიხედვით, დაუსახლებელ პუნქტში ნებადართულია იმ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების, რომელ კატეგორიასაც მიეკუთვნება ავტომობილი „Ford Transit-ი“, მოძრაობა სხვა გზაზე – არაუმეტეს 90 კმ/სთ სიჩქარით; შემთხვევის ადგილზე დატოვებული 40 მეტრი საერთო სიგრძის სამუხრუჭე კვალის მიხედვით, ავტომობილ „Ford Transit-ის“ მოძრაობის სიჩქარე დამუხრუჭების წინ შეადგენდა, დაახლოებით, 85 კმ/სთ-ს; მოცემულ შემთხვევაში, შექმნილ საგზაო სიტუაციაში, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ავტომობილ „Ford Transit-ის“ მძღოლს რ. მ-ს, ტექნიკური თვალ-

საზრისით, ქვეითზე დაჯახების თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა, რამაც განაპირობა კონკრეტული საგზაო შემთხვევა, არ აღინიშნება.

11. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად: დასახლებული პუნქტი არის – განაშენიანებული ტერიტორია, სადაც შესასვლელი და გამოსასვლელი აღნიშნულია შესაბამისი საგზაო ნიშნებით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნების გამცემი ექსპერტების ჩვენებებზე, კერძოდ, ექსპერტებმა (მათ შორის, ბრალდების მხარის ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის ავტორებმა – ლ. ფ-მ და დ. გ-მ) სასამართლოში მონაბირების სახით დაკითხვისას ცალსახად განმარტეს, რომ შემთხვევის ადგილი არ ითვლება დასახლებულ პუნქტად. ამდენად, იქ მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე წარმოადგენდა, არაუმეტეს, 90 კმ/სთ-ს.

12. გარდა ამისა, საქმის მასალებით დადგენილია ისიც, რომ შემთხვევის ადგილის მიმდებარედ, სოფელ ზ-ს ტერიტორიაზე, უშუალოდ გზის გასწვრივ, ფაქტობრივად არ არის განაშენიანებული ტერიტორია და, ამასთან, კ. შ-ს მიმართულებით „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რამე სახის საგზაო ნიშანი, მათ შორის – განსაკუთრებული მინიშნების საგზაო ნიშანი 5.23.1. „დასახლებული პუნქტის დასაწყისი“ (ისევე როგორც – „დასახლებული პუნქტის დასასრული“), რომელიც საგზაო მოძრაობის მონაბილეს აწვდის ინფორმაციას დასახლებული პუნქტის შესახებ, – არ დგას.

13. ამდენად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით, ექსპერტთა ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შემთხვევის ადგილი არ ითვლება დასახლებულ პუნქტად. აქედან გამომდინარე, მითითებულ ადგილას, როგორც დაუსახლებელ პუნქტში – „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისათვის (რომელ კატეგორიასაც მიეკუთვნება ავტომობილი „Ford Transit“, სახ. ნომრით ...) ნებადართული იყო 90 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობა.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა ბრალდების მხარის მოსაზრება, რომ შემთხვევის ადგილი არის დასახლებული პუნქტი და რომ რ. მ-სთვისაც კარგად იყო ცნობილი ამის შესახებ, რაც წარმოადგენს მხოლოდ პროკურორის ვარაუდს, რაც არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან. ამდენად, რ. მ-ს ქმედებაში არ იკვეთება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-

ე მუხლის 1-ელი და მე-6 პუნქტების მოთხოვნების დარღვევა.

15. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ რ. მ-ს მიმართ – უნდა აღსრულდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონი, კერძოდ:

16. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

17. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რ. მ-ს მიმართ არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და, ამავდროულად, მას ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია, მსჯავრდებულის მიმართ უნდა გავრცელდეს აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შედავათი, კერძოდ: ერთი მეექვსედით უნდა შეუმცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლით შეფარდებული საჯელი – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს – 1 (ერთი) წლითა და 8 (რვა) თვით თავისუფლების აღკვეთა.

18. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ ონისე თუთისანის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 20 სექტემბრის განაჩენი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის საფუძველზე, უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლითა და 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ ონისე თუთისანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 20 სექტემბრის განაჩენი:

3. რ. მ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართვე-

ლოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარდგენილ პრალდებაში.

4. რ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექვსე-დიოთ შეუმცირდეს და მიესაჯოს 1 (ერთი) წლითა და 8 (რვა) თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. რ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს მისი დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 25 ოქტომბრიდან.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ რ. მ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. ასევე უნდა გაუქმდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის განჩინებით, რ. მ-ს უძრავ ქონებაზე, მდებარე – .... შეფარდებული გირაოს უზრუნველსაყოფად დადებული ყადაღა.

7. ნივთიერი მტკიცებულებები: მიკრონაწილაკები, ლაქა, ნერწყვისა და ფრჩხილის ნიმუშები, ანაწმენდები – განადგურდეს; ავტომობილი „Ford tranziti“, სახ. ნომრით – ..., ტანსაცმელები და ფეხსაცმელები დაუბრუნდეთ კანონიერ მფლობელებს ან მათი ნდობით აღჭურვილ პირებს; CD დისკი, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით.

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 7. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წილის გვამდებარება

სასამართლო გადაცემის შემდეგი შემადგენლობით  
ხელის შემსრულებელი

განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო მთავრობის  
მინისტრი

№979ა3-24

14 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფუაშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. თევზაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის საპაროკურორო სამმართველოს პროკურორ გრიგოლ ნიშნიანიძისა და  
მსჯავრდებულ ლ. ტ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ს-ს სა-  
კასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის  
29 თებერვლის განაჩენის.

**აღნიშვნის მიხედვით ნაწილი:**

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით: ლ. ტ-ს  
**ბრალად ეფებდა:**

1.1. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება, - დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (სამი ეპიზოდი).

მის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

- 2022 წლის 18 მაისს ლ. ტ-მა უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, 0,0856 გრამის ოდენობით, რომელიც იმავე დღეს ქ. თ-ში, კ-ს ქუჩის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე 200 ლარის სანაცვლოდ გაასაღა დ. ბ-ზე;

- 2022 წლის 19 მაისს ლ. ტ-მა უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, წონით 0,104 გრამის ოდენობით, რომელიც იმავე დღეს ქ. თ-ში ხ-ს ქუჩის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე 200 ლარის სანაცვლოდ გაასაღა დ. ბ-ზე;

- 2022 წლის 22 მაისს ლ. ტ-მა უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, წონით 0,119 გრამის ოდენობით, რომე-

ლიც იმავე დღეს ქ. თ-ში ც-ს ქუჩის №..-ის მიმდებარე ტერიტორიაზე 200 ლარის სანაცვლოდ გაასაღა დ. პ-ზე;

1.2. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, – დანაშაული გათვალისწინებული – საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 7 ივლისს, ქ. თ-ში, პენიტენციური დეპარტამენტის №..ე დაწესებულებაში ბრალდებული ლ. ტ-ი გაეცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის №.. განჩინებას, მისგან ხმის ნიმუშის აღების თაობაზე, თუმცა უარი განაცხადა განჩინებით დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე.

## 2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 9 მარტის განაჩენით:

2.1. ლ. ტ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 18 მაისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

2.2. ლ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 19 მაისის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 22 მაისის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

2.2.1. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 19 მაისის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.2.2. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 22 მაისის ეპიზოდი) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.2.3. საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 22 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სხვა სასჯელები და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით ლ. ტ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.4. ლ. ტ-ს სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 14 ივნისიდან;

2.5. ლ. ტ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შე-

სახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 20 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და ნარმობადგენლობის უფლება; 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექნის, შენახვისა და ტარების უფლება.

**3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 9 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარებმა:**

3.1. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა გრიგოლ ნიშნიანიქმი მოითხოვა ცვლილება თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში, კერძოდ, ლ. ტ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში (2022 წლის 18 მაისის ეპიზოდი);

3.2. მსჯავრდებულ ლ. ტ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. ს-მ მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გაუქმება, ლ. ტ-ის სრულად უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება.

**4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 29 თებერვლის განაჩენით:**

4.1. პროკურორ გრიგოლ ნიშნიანიდის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

4.2. მსჯავრდებულ ლ. ტ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ს. ს-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

4.3. ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 9 მარტის განაჩენში:

4.3.1. ლ. ტ-ი ცნობილიქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 18 მაისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

4.3.2. ლ. ტ-ი ცნობილიქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა;

4.3.3. ლ. ტ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 19 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4.3.4. ლ. ტ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე

მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 22 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 11 წლით თავისუფლების ალკვეთა;

4.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 22 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა სხვა თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით ლ. ტ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 11 წლით თავისუფლების ალკვეთა;

4.5. ლ. ტ-ს სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 14 ივნისიდან;

4.6. ლ. ტ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 20 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება; 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

**5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 29 თებერვლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა:**

5.1. თბილისის პროეურატურის საპროეურორ სამმართველოს პროკურორი გრიგოლ ნიშნიანიძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ლ. ტ-ის დამნაშავედ ცნობას მათ შორის საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 18 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას;

5.2. მსჯავრდებულ ლ. ტ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი მ. ს. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 29 თებერვლის განაჩენის გაუქმებას, ლ. ტ-ის უდანაშაულოდ ცნობას და გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>1</sup> მუხლსა და საქართველოს სისხლის სამარ-

თლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამორჩების გარეშე (იხ. Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, par. 30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, par. 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, par. 37, par. 41, ECtHR, 20/03/2009).

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. ბრალდების მხარე ითხოვს ლ. ტ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებითა (2022 წლის 18 მაისის ეპიზოდი) და საქართველოს სსსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით და მისთვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნას, ხოლო დაცვის მხარე ლ. ტ-ის სრულად გამართლებას.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. ტ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ს-ს საჩივარი არ უნდა დაკავშიროს ხოლო პროკურორ გრიგოლ ნიშნიანიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკავშიროს ხანილობრივ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 29 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საქმირისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43). საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. მტკიცებულებათა ერთობლიობა კი საქმეში უნდა არსე-

ბოლდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით.

5. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება ბრალდების მხარის მსჯელობას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საქართველოს სსკ-ით დადგენილი სტანდარტით ადასტურებენ ლ. ტ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 18 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

6. ლ. ტ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 18 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის სამტკიცებლად წარმოდგენილია მხოლოდ მოწმე დ. ბ-ს ჩვენება (მოწმის განმარტებით, 2022 წლის 18 მაისს დაუკავშირდა ლ. ტ-ი და შესთავაზა, რომ 200 ლარის სანაცვლოდ გადასცემდა ნარკოტიკულ საშუალებას, ასევე განუცხადა, რომ თანხა უნდა ჩაერიცხა ტოტალიზატორ „ა-ს“ ანგარიშზე. დ. ბ. პოლიციის შენობაში აღიფურვა სპეციალური მოწყობილობებით, გადაეცა ნარკოტიკული საშუალებისთვის შესაძენი თანხა, რის შემდეგაც კ-ს ქუჩაზე შეხვდა ლ. ტ-ს. შეხვედრამდე მას „ა-ს“ ანგარიშზე უკვე ჩარიცხული ჰქონდა თანხა, რის შემდეგაც შეხვედრისას ლ. ტ-მა გადასცა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც მოთავსებული იყო შპრიცში და პოლიეთილენის პარკში. დ. ბ-მ განაცხადა, რომ აერია დამაგრებული კამერის ჩართვა გამორთვის დილაკი და ვერ მოახერხა 18 მაისის ეპიზოდის ჩაწერა. მან ლ. ტ-ისგან შეძენილი ნარკოტიკული საშუალება გადასცა გამომძიებელს, რის თაობაზეც შედგა ოქმი და მოახერა ხელი (იხ.: 2022 წლის 18 მაისის ამოღების ოქმი), სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს სასამართლოში მიწმის სახით ჩვენების მიცემისას არ მიუთითებიათ, რომ 2022 წლის 18 მაისს თვალყურს ადვენებდნენ ლ. ბ-ს მიერ ლ. ტ-ისაგან ნარკოტიკული საშუალების შეძენის ფაქტს. იმავდროულად, არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა 2022 წლის 18 მაისს ლ. ბ-საგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალების ლ. ტ-ისადმი კუთვნილებას.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობა არ არის საქმარისი გონივრულ ეჭვის მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზარებს ბრალდების მხარის მოთხოვნას, ლ. ტ-ის დამნაშავედ ცნობის თაობაზე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 18 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

8. იმავდროულად, სასამართლო არ ეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენის დასაბუთებას ლ. ტ-ის საქართველოს სსკ 381-ე მუხლის პირველი

ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში გამართლების ნაწილში. სა-სამართლო ითვალისწინებს:

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 28 ივნისის განჩი-ნებით, საქართველოს შსს ქ. თ-ს საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს და ქ. თ-ს დეტექტივების (ოპერატორი) მთავარი სამ-მართველოს თანამშრომლებს ნება დაერთოთ, ლ. ტ-ისგან (დაბ: 1.. წელს. პ.ნ ...) აელოთ ხმის და ნერწყვის ნიმუში. საგამოძიებო მოქმედების ჩამ-ტარებელ პირს/ორგანიზაციებს უფლება მიენიჭათ წინააღმდეგობის გაწევი-სას გამოეყენებინათ იძულების პროპორციული ზომა.

9.1. 2022 წლის 7 ივლისს ბრალდების მხარემ აღნიშნული განჩინება გააცნო დაცვის მხარეს (იხ. ლ. ტ-ის და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის დ. გ-ის მინანერები და ხელმოწერები განჩინების ასლზე).

10. ნერწყვის ნიმუშის აღების ოქმის თანახმად, 2022 წლის 7 ივლისს სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტის №-ე დანესებულებაში ექ-სპერტმა კ. დ-მ ლ. ტ-ისგან აიღო ნერწყვის ნიმუში.

11. „ბრალდებულისთვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაცი-ის მიწოდების და ნიმუშის აღების ოქმის“ თანახმად, 2022 წლის 7 ივ-ლისს გამომძიებელმა ბრალდებულ ლ. ტ-ს და მისი ინტერესების დამ-ცველ ადვოკატს დ. გ-ს გააცნო 2022 წლის 28 ივნისის განჩინება და განუმარტა განჩინების შეუსრულებლობის ან შესრულებაში ხელის შეშ-ლის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხის-მგებლობა. აღნიშნულის მიუხედავად ბრალდებულმა ლ. ტ-მა უარი გა-ნაცხადა ხმის ნიმუშის მიცემაზე (ოქმი ხელმოწერილია ე. ა-ს, ბ. ხ-ს, დ. გ-ის, ლ. ტ-ის და ი. დ-ს მიერ).

12. მოწმე ბ. ხ-ს განმარტებით, მოსამართლის განჩინების საფუძ-ველზე ლ. ტ-ისგან № დანესებულებაში უნდა აეღოთ ხმის და ნერწყვის ნიმუში. №-ე პენიტენციურ დანესებულებაში იმყოფებოდა უფლება-მოსილ პირებთან, ექსპერტთან და ბრალდებულის ინტერესების დამ-ცველ ადვოკატთან ერთად. საბადროაგო სამსახურის მიერ კი წარდგენი-ლი იქნა ბრალდებული ლ. ტ-ი. ლ. ტ-მა თანხმობა განაცხადა ნერწყვის ნიმუშის აღებაზე, ხოლო ხმის ნიმუშის აღებაზე განაცხადა უარი. მოწ-მის განმარტებით ხმის ნიმუშის აღება თავისი ბუნებიდან გამომდინა-რე, იძულებით შეუძლებელია. ლ. ტ-ს განუმარტა შესაძლო პასუხის-მგებლობის შესახებ, მაგრამ ლ. ტ-მა უარი განაცხადა ხმის ნიმუშის აღე-ბაზე.

12.1. ანალოგიური შინაარსის ჩვენება მისცა სასამართლოს მოწმე კ. დ-მ (ექსპერტი).

13. საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლი ადგენს სისხლისსამართლებ-რივ პასუხისმგებლობას განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტი-ლების შეუსრულებლობის ან მისი შესრულებისათვის ხელის შემლის-

თვის. საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის სისხლისამართლებრივი დაცვის უშუალო ობიექტია მართლმსაჯულების ინტერესი სამართალ-შეფარდების პროცესის უზრუნველსაყოფად, ხოლო დანაშაულის სა-განია სასამართლოს განაჩენი, განჩინება ან სხვა გადაწყვეტილება (იხ. მაგ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 18 მაისის №951აპ-21 განჩინება).

14. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენში მითითებულ მსჯელობას, რომ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი არ შეიძლება იყოს ბრალდებული პირი.

14.1. საკასაციო სასამართლო, ადამიანის უფლებათა დაცვის ევრო-პული სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებთან ერთად ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის დანაწესს, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის განლაგებას საქართველოს სსკ-ის სტრუქტურაში (თავი XLIV: დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ), მუხლის კონსტრუქციას (მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ზოგადი ხასიათის აკრძალვას და არ ითვალისწინებს სპეციალურ სუბიექტს, ხოლო მეორე ნაწილი ადგენს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას იგივე დანაშაულის სპეციალური სუბიექტის – ხელისუფლების წარმომადგენლის ან მოხელის – მიერჩადენისთვის), ნიმუშის აღების საპროცესო მოქმედების განხორციელების სპეციფიკას (მათ შორის ორგანიზაციულ/ტექნიკურ და სხვა ასპექტებს). შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული მსჯელობის – საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილის რეგულირების სფეროდან ბრალდებულის გამორიცხვის – გაზიარების კანონისმიერი საფუძველი.

14.2. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტთა წრიდან არ გამოირიცხება ბრალდებული/მსჯავრდებული და განაჩენის/განჩინების აღსრულების ვალდებულება, შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, ეკისრება მათ შორის – ბრალდებულს/მსჯავრდებულსაც, რომელთან მიმართებითაც გამოტანილია სასამართლოს განაჩენი/განჩინება (იხ. მაგალითად: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 26 ივნისის განჩინება საქმეზე №239აპ-24).

15. საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-17 ნაწილის თანახმად ბრალდებული უფლებამოსილია მონაწილეობა არ მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში. იმავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სასამართლოს აქტები შესასრულებ-

ლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით”, ხოლო საქართველოს სასკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ პირი უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე, რომელიც არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძებას, ნიმუშის აღება ტარდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

16. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „თვითინკრიმინირების-გან დაცვის პრივილეგია არ ვრცელდება სისხლის სამართალწარმოების პროცესში ისეთი მასალების გამოყენებაზე – ბიოლოგიური, ანატომიური, გენეტიკური და სხვა ნიმუშების აღებაზე – რომლებიც მოპოვებული იყო ბრალდებულისგან მისი ნების წინააღმდეგ სასამართლოს განჩინებით (კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის და უფლებაში ჩარევის თანაზომიერების შემოწმების შემდეგ) მიუხედავად იმისა, რომ [ნიმუშის აღების] პროცედურები თავისი არსით, „არის ერთგვარი ჩარევა ეჭვმიტანილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, მათი გამოყენება ზოგადად მაინც გამართლებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით, რადგან აუცილებელია სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“ (იხ. Jalloh v. Germany, no. 54810/00, par. 115, ECtHR, 11/07/2006); არ არღვევს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ თვითინკრიმინირებისგან დაცვის პრივილეგიას, რადგან ის პირველ რიგში ეხება ბრალდებულის ნების პატივისცემას – გამოიყენოს დუმილის უფლება – და არ ვრცელდება სისხლის სამართალწარმოებაში იმ მასალის გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს ბრალდებულისგან მისი ნების საწინააღმდეგოდ (იმულებითი ღონისძიებების განხორციელების გზით), მაგრამ რომლებიც არსებობს ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად (იხ. Detlef-Harro Schmidt v Germany, no. 32352/02, Decision on admissibility, ECtHR, 05/01/2006; Jalloh v. Germany, no. 54810/00, par. 102, ECtHR, 11/07/2006). „...ბრალდებულს მოეთხოვება მშვიდად მიიღოს უმნიშვნელო ჩარევა მის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში (მაგ.: სისხლის, თმის ან ორგანული ქსოვილის ნიმუშის აღებისას) მაშინაც კი, როდესაც საჭიროა ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა. ეს ეხება ორგანიზმის ჩვეულებრივი ფუნქციონირებით წარმოშობილ მასალებს (როგორიცაა: სუნთქვის, შარდის ან ხმის ნიმუშები)“ (Jalloh v. Germany, no. 54810/00, par. 102, ECtHR, 11/07/2006. იხ. ასევე: Saunders v. United Kingdom, no. 19187/91, par. 69, ECtHR, 17/12/1996; Choudhary v. the United Kingdom, no. 40084/98, ECtHR, 4/05/1999; J.B. v. Switzerland, no. 31827/96, par. 68, ECtHR, 03/08/2001; P.G. and J.H. v. the United Kingdom, no. 44787/98, par. 80, ECtHR, 25/12/2001).

17. სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესს, ასევე იმ გარემოებას, რომ „ხელ-

შემკვრელ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებში, საყოველთაო გაგებით, თვითინკრიმინირებისგან დაცვის პრივილეგია ნიშნავს ბრალდებულის ნების პატივისცემას შეინარჩუნოს დუმილი დაკითხვისას და მის-ცეს ჩვენება იძულების გარეშე“ (იხ. Jalloh v. Germany, no. 54810/00, par. 110, ECtHR, 11/07/2006).

18. იმავდროულად სასამართლო ითვალისწინებს, რომ „თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბრალდებულის ნების თავისუფლების პატივისცემასთან, შეინარჩუნოს დუმილის უფლება. შესაბამისად, დასახელებული კონსტიტუციური გარანტია ემსახურება პირისათვის დუმილისა და ჩვენების მიცემის უფლებებს შორის არჩევანის თავისუფლების გარანტირებას. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი ზღუდავს იძულებით ან ზეწოლით ბრალდებულისაგან მაინკრიმინებელი ჩვენების მოპოვებას. შესაბამისად, სწორედ თვითმამხილებელი ჩვენების მიცემის პირდაპირი თუ ირიბი ვალდებულების ან/და იძულების არსებობის ფაქტი წარმოშობს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიისათან მიმართებით ამა თუ იმ ღონისძიების არაკონსტიტუციურობის რისკებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/2/1478 საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 ნინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 ნინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-10).

19. მოცემულ შემთხვევაში ნიმუშის აღება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სსსკ-ით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გაცემული სასამართლოს განჩინების საფუძველზე, შესაბამისი უფლებამოსილი პირების მონაწილეობით, არ უკავშირდებოდა ლ. ტ-ის ჯანმრთელობისთვის ზიანის/ტკივილის მიყენებას, ან გადამეტებული ძალის გამოყენებას, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს – ბრალდებულის ბრალეულობის საკითხის განსაზღვრას მისთვის შერაცხულ ბრალდებაში (იხ. Detlef-Harro Schmidt v Germany, no. 32352/02, Decision on admissibility, ECtHR, 05/01/2006); ამასთან არ ისახავდა მიზნად ლ. ტ-ის ბრალდების არც ერთადერთი და არც გადამწყვეტი მამხილებელი მტკიცებულების მოპოვებას.

20. სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებულ პრაქტიკას ბრალდებულების მიერ ნიმუშის გაცემაზე უარის თქმისას საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის გამოყენების თაობაზე (მაგალითად იხ.: საქართველოს უზენაესი სასა-

მართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №511აპ-21; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 იანვრის განჩინება საქმეზე №1038-22 და 2022 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №703აპ-22) და ხმის ნიმუშის იძულების პროპორციული ძალის გამოყენებით აღების შესაძლებლობის საკითხს. კერძოდ, რომ „ხმის ნიმუშის აღება, თავად მისის ბუნებიდან გამომდინარე, თუნდაც იძულების პროპორციული ზომის ნებართვის ფარგლებში, ფიზიკურად შეუძლებელია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე №239აპ-24, პარ. 40).

21. შესაბამისად, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ით დადგენილი წესის საფუძველზე მოპოვებული სასამართლოს განჩინების საფუძველზე, საგამოძიებო ორგანომ აბიექტურად ვერ შეძლო ბრალდებულისგან ნიმუშის აღება და სასამართლოს განჩინების შესრულება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე №239აპ-24, პარ. 40-41; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 6 მარტის განჩინება საქმეზე №853აპ-23), რაც დასტურდება სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, – ლ. ტ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა – ჩადენაში.

22. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 19 მაისისა და 22 მაისის ეპიზოდები) გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის: მოწმეთა – დ. ბ-ს, ვ. დ-ის, გ. პ-ს, ი. დ-ის, ლ. კ-ის, ჩვენებებით, ფარული საგამოძიებო სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ჩანაწერებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ვიდეო-აუდიო ჩანაწერებით, ფულადი თანხის გადაცემის შესახებ ოქმებით, ამოღების ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებით, ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნებით და სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია ლ. ტ-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა გასაღება (ორი ეპიზოდი).

22.1. დ. ბ-ს განმარტებით, ლ. ტ-ი გაიცნო 2022 წელს ფ-ში, სადაც ისინი ნარკოტიკული საშუალებების შესაძენად იმყოფებოდნენ. მან ასევე განაცხადა, რომ გაცნობის შემდეგ ლ. ტ-თან ჰქონდა კარგი ურთიერთობა, ისინი ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. 2022 წლის 19 მაისს დაუკავშირდა ლ. ტ-ი და შესთავაზა ნარკოტიკული საშუალების შეძენა. პოლიციის თანამშრომლების მიერ აღი-

ქურვა სპეციალური ჩამნერი მოწყობილობით, გადაეცა ნარკოტიკული საშუალების შესაძენი თანხა. აღნიშნულის შემდეგ დ. პ-ს ქუჩაზე შეხვდა ლ. ტ-ს, რომელსაც გადასცა 200 ლარი, სანაცვლოდ კი ლ. ტ-მა გადასცა ნარკოტიკული საშუალება. დ. ბ-ს განმარტებით, სპეციალური ჩამნერი მოწყობილობით ჩაიწერა ლ. ტ-თან შეხვედრა. შემდეგ დ. ბ-მ პოლიციის თანამშრომელს გადასცა ლ. ტ-ისგან შეძენილი ნარკოტიკული საშუალება, რის თაობაზეც შედგენილ ოქმის გაეცნო და მოაწერა ხელი. დ. ბ-მ ასევე განაცხადა, რომ 2022 წლის 22 მაისს დაუკავშირდა ლ. ტ-ი და შესთავაზა ნარკოტიკული საშუალების შეძენა. დ. ბ. პოლიციის თანამშრომლების მიერ აღიჭურვა სპეციალური ჩამნერი მოწყობილობით, რის შემდეგაც კ-ს ქუჩაზე შეხვდა ლ. ტ-ს. დ. ბ-მ ლ. ტ-ს გადასცა 200 ლარი, სანაცვლოდ კი ლ. ტ-მა გადასცა ნარკოტიკული საშუალება. მან მოახდინა სპეციალური ჩამნერი მოწყობილობით ლ. ტ-თან შეხვედრის ჩაწერა. შემდეგ დ. ბ-მ პოლიციის თანამშრომელს გადასცა ლ. ტ-ისგან შეძენილი ნარკოტიკული საშუალება, რის თაობაზეც შედგენილ ოქმის გაეცნო და მოაწერა ხელი. დ. ბ-მ აღნიშნა, რომ ლ. ტ-ი ცხოვრობდა ლ-ს დასახლებაში და ყოველთვის ხვდებოდა კ-ს ქუჩაზე.

22.2. დ. ბ-ს მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული ინფორმაცია თანხვდენილია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ ფარულ ვიდეო-აუდიო ჩანაწერებსა და ფარული საგამოძიებო სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩანაწერებთან, რომლებიც გამოკვლეულ იქნა საქმის არსებითი განხილვის დროს. კერძოდ:

22.2.1. 2022 წლის 19 მაისს, 10:38:45 საათიდან 10:40:30 საათამდე და 14:32:06 საათიდან 14:33:21 საათამდე დ. ბ. და ლ. ტ-ი შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი ვიდეო ჩანაწერის თანახმად, დ. ბ-მ ლ. ტ-ს გადასცა ფულადი თანხა – 200 ლარი. ისინი შეთანხმდნენ შემდეგ შეხვედრაზე. მეორე ვიდეო ჩანაწერში ასახულია, დ. ბ-ს და ლ. ტ-ის მეორე შეხვედრა, რა დროსაც მათი საუბარი შეეხება ნარკოტიკულ საშუალებას და მის ხარისხს. შეხვედრისას ლ. ტ-ი თავის ხრის ქვევით, სავარაუდო ჯიბისკენ, შემდეგ უყურებს თანამოსაუბრეს (დ. ბ-ს), აღნიშნულის შემდეგ ლ. ტ-ი ტოვებს ადგილს, მას შორიდან დ. ბ. ეკითხება არის თუ არა კარგი, რაზედაც ლ. ტ-ი პასუხობს, რომ კარგია.

22.2.2. 2022 წლის 22 მაისს, 12:03:29 საათიდან 12:08:04 საათამდე და 18:08:33 საათიდან 18:11:19 საათამდე, ქ. თ-ში. კ-ს ქუჩა №-ის მიმდებარე ტერიტორიაზე და შემდეგ, ც-ს ქუჩა №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეხვდნენ დ. ბ-და ლ. ტ-ი. პირველ ვიდეო ჩანაწერში დ. ბ-მ ლ. ტ-ს გადასცა ფულადი თანხა, მათ შორის საუბარი შეეხებოდა ასევე ნარკოტიკული საშუალების (ფაქტი) ხარისხს. შემდეგ ვიდეო ჩანაწერში ლ. ტ-მა დ. ბ-ს გადასცა თეთრ ფურცელში შეხვეული ნივთიერება.

**22.2.3.** ფარული საგამოძიებო სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის კრებსების თანახმად, დ. ბ-ს რამდენიმე სატელეფონო კომუნიკაცია ჰქონდა ლ. ტ-თან, ასევე ერთმანეთს უკავშირდებოდნენ მოკლე ტექსტური შეტყობინებებით. მათ შორის კომუნიკაცია შეეხებოდა ერთმანეთთან შეხვედრას, ასევე ფულად თანხას.

**22.2.4.** ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, სს №... საქმესთან დაკავშირებით, ექსპერტიზაზე წარდგენილ დისკებზე არსებული ვიდეოგრამებიდან ამოღებულ ფოტოსურათებზე დაფიქსირებული პიროვნების იერსახის გამოსახულება იდენტიფიკირავისათვის ვარგისია. ექსპერტიზაზე წარდგენილ დისკებზე არსებული ვიდეოგრამებიდან ამოღებულ ფოტოსურათებზე დაფიქსირებულია ერთი და იგივე პიროვნების იერსახის გამოსახულება. ექსპერტიზაზე წარდგენილ დისკებზე არსებული ვიდეოგრამებიდან ამოღებულ ფოტოსურათებზე და მონაცემთა პაზიდან ამოღებულ ლ. კ-ეს ძე ტ-ის ფოტოსურათზე დაფიქსირებულია ერთი და იგივე პირის იერსახის გამოსახულება. აღნიშნული დასკვნის სისწორე დაადასტურა ექსპერტმა ვ. მ-მ.

**22.2.5.** ფონოსკოპიური ექსპერტიზის №.... დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ სადავო ჩანაწერებში, მოსაუბრე დიქტორი მამაკაცის ხმა და ეტალონურ ფონოგრამაში (სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერი) მოსაუბრე ლ. ტ-ის ხმა ერთმანეთის იდენტურია.

**22.3.** სასამართლო ითვალისწინებს, რომ დ. ბ-სა და ლ. ტ-ის შეხვედრების შემდეგ, 2022 წლის 19 მაისსა და 22 მაისს, დ. ბ-სგან, გადაუდებელი აუცილებლობით ამოიღეს ლ. ტ-ისგან შეძენილი ნივთიერებები. ამოღებულ ნივთმტკიცებებზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებით კი დადასტურდა, რომ ლ. ტ-ის მიერ, დ. ბ-სათვის 2022 წლის 19 მაისს გადაცემული ერთ ცალად დაფასოებული გამჭვირვალე პოლიეთილენის ნაჭერში (თავმოწვარი) შეხვეული მოყავისფრო ნოტიონ ნივთიერება, გამოშრობის შემდგომ ფხვნილის სახით, წონით – 0,23 გრამი შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რაოდენობით – 0,104 გრამს, ხოლო 2022 წლის 22 მაისს გადაცემული თეთრი ფერის „рсп“-ს ქალალდის ნაჭერში შეხვეული მოყავისფრო ფხვიერი ნივთიერება, წონით – 0,21 გრამი, შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, რაოდენობით – 0,119 გრამს.

**22.4.** დაუსაბუთებლობის გამო არ იზიარებს საკასაციო სასამართლო დაცვის მხარის მსჯელობას, რომელმაც ერთი მხრივ მიუთითა, რომ ლ. ტ-ს ნარკოტიკული საშუალებები არ გაუსაღებია და იგი მსჯავრდებულია დ. ბ-ს მიერ პროვოცირებულ ქმედებებში, დ. ბ. თავად იძენდა ნარკოტიკულ საშუალებებს და ტოვებდა ლ. ტ-თან, ხოლო ჩაწერა, რომელიც მისი მონაწილეობით განხორციელდა ეხება მის მიერ შეძენილ და

მისი კუთვნილი ნარკოტიკული საშუალების დაუფლებას, თანხა კი რო-  
მელსაც გადასცემს ტ-ს – საყოფაცხოვრებო ვალია, ამასთან, ლ. ტ-ი და  
დ. ბ. ერთად მოიხმარდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს.

22.5. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკი-  
ცებულებით არ დასტურდება, რომ დ. ბ-ს ჰქონდა ლ. ტ-ის რაიმე საყო-  
ფაცხოვრებო ვალი, ასევე მათ შორის არსებული არცერთი თუნდაც სა-  
ტელეფონო კომუნიკაციით არ დგინდება, რომ დ. ბ-ს ლ. ტ-თან ჰქონდა  
დატოვებული ნარკოტიკული საშუალებები. ასევე არცერთი მტკიცე-  
ბულებით არ დგინდება, რომ დ. ბ. და ლ. ტ-ი ერთად მოიხმარდნენ ნარ-  
კოტიკულ საშუალებებს. აღნიშნულის საპირისპიროდ, დ. ბ-მ, სასამარ-  
თლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას, ცალსახად მიუთითა, რომ  
ლ. ტ-ი გაიცნო 2022 წელს ფ-ში, სადაც ისინი ნარკოტიკული საშუალე-  
ბების შესაძენად იმყოფებოდნენ, შემდგომ ჰქონდათ სატელეფონო კო-  
მუნიკაცია. როდესაც ლ. ტ-მა შესთავაზა ნარკოტიკული საშუალების  
შეძენა 200 ლარად, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სამარ-  
თალდამცავ ორგანოებს. საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლო-  
ბით კი 2022 წლის 19 მაისს და 22 მაისს მოხდა ლ. ტ-ის მიერ ნარკოტი-  
კული საშუალებების გასაღების ფარული ჩაწერა. მოწმის განმარტე-  
ბით, ლ. ტ-თან ერთად ნარკოტიკული საშუალების შესაძენად არასო-  
დეს წასულა, მას და ლ. ტ-ს ნარკოტიკული საშუალება ერთად არ აუღი-  
ათ.

22.6. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სისხლის სა-  
მართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს  
მიღმა სტანდარტით დასტურდება ლ. ტ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის  
260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (2022 წლის 19 მაისისა და  
22 მაისის ეპიზოდები) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

23. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილე-  
ბით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზ-  
ღვრული სასჯელის გამკაცრების შესახებ ბრალდების მხარე კასატო-  
რის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლო ითვალისწინებს სა-  
ქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილს, ასევე იმ გარემოე-  
ბას, რომ „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედ-  
მეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნე-  
ბი“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11  
ივლისის გადაწყვეტილება № 1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა  
ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამიტომ  
„სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეე-  
ებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ .... ყოველ კონ-  
კრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაუ-  
ლის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბეჭა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

24. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ლ. ტ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (ორი ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის ზომის ნაწილში, კერძოდ:

25. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები სასჯელის სახით ითვალისწინებს – თავისუფლების აღკვეთას ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

26. სააპელაციო სასამართლომ ლ. ტ-ს განუსაზღვრა სასჯელის ისე-თი ზომა, რომელიც საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია, არ ენინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშნუნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებსა და სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია).

26.1. ამასთან, არც ბრალდების მხარეს წარუდგენია სასამართლო-სათვის რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სასჯელის უსამართლოსას, პრევენციის ან რესოციალიზაციის მიზნებთან შეუსაბამობას, რის საფუძველზეც, შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებული-სათვის სასჯელის დამძიმება.

27. საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე.

27.1. სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს ლ. ტ-ის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს და თვლის,

რომ ლ. ტ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავი-სუფლების აღკვეთა – 1 წლით.

28. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის პირველი-მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი დანაშაული 2024 წლის 1 ივნისამდე ჩაიდინა.

29. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი მეექსედით უნდა შეუმცირდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირს, რომელზედაც არ ვრცელდება ამ კანონის პირველი-მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია და რომელსაც ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული დანაშაული არ ჩაუდენია.

29.1. საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე არ ვრცელდება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის პირველი-მე-3 მუხლები, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლზე მითითებას არ შეიცავს ასევე ამავე კანონის მე-7 მუხლი, შესაბამისად, ლ. ტ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შემცირდეს 1/6-ით და უნდა განესაზღვროს – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

30. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ლ. ტ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელი განსაზღვრული აქვს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის წესით.

31. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება იმ დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია მათ შორის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4, მე-5 ან მე-7 ნაწილით. შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ლ. ტ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით (ორი ეპიზოდი) იდეალური ერთობლიობის წესით განსაზღვრულ სასჯელზე გაავრცელოს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მოქმედება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ლ. ტ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ს-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ გრიგოლ ნიშნიანიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 29 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ლ. ტ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 18 მაისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდეს;

5. ლ. ტ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 19 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. ლ. ტ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 22 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

7. ლ. ტ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 1/6-ით შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ, მოსახდელად განესაზღვროს – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა;

8. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილით (2022 წლის 22 მაისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას სხვა თანაბარი და ნაკლებად მძიმე სასჯელები და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით ლ. ტ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

9. ლ. ტ-ს სასჯელის ვადა აეთვალის ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 14 ივნისიდან;

10. ლ. ტ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას სატრან-

სპორტო საშუალების მართვის უფლება; 20 წლით – საექიმო და ფარმა-ცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელ-მძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება; 15 წლით – საადვო-კატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო და-წესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – სა-ჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური სა-არჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარე-ბის უფლება;

11. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

12. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სისხლის სამართლის პროცესი კერძო ნაწილი

## კასაცია

### საკასაციო განაჩენი

განაჩენი ცვლილების შეტანა და აირის უდანაშაულოდ  
ცენტა საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის  
„გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და იმავე კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის  
მე-2 ნაწილის „ა“, „პ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ  
პრაღლივი განაციი

### განაჩენი საქართველოს სახელით

№ 1043აპ-24

11 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
ლ. ფაფუაშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. თევზაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკუ-  
რატურის პროკურორ სალომე ქემაშვილისა და მსჯავრდებულ ხ. მ-ის  
ინტერესების დამცველი ადვოკატის ა. ც-ს საკასაციო საჩივრები თბი-  
ლისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 ივნისის განაჩენზე.

#### აღნიშვნის ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით: ხ. მ-ს ბრალად ედე-  
ბოდა:

1.1. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრე-  
ბიან გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენი-  
ლი არასრულწლოვნის მიმართ და ოჯახის წევრის მიმართ, – დანაშაუ-  
ლი გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის  
(შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“  
და „დ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი).

მის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

– 2023 წლის 17 ივნისს, დაახლოებით 18:00 საათზე, გ-ს რაიონის  
სოფელ ს-ში, საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლური სასმელის ზემოქ-

მედების ქვეშ მყოფმა ხ. მ-მა, მეუღლეს – მ. ი-ს – და თავის არასრულნლოვან შვილს, .... დაბადებულ თ. ი-ს, რაიმე კონკრეტული მიზეზის გარეშე განუცხადა, რომ დანით დახოცავდა. სიცოცხლის მოსპობის მუქარა მ. და თ. ი-ებმა აღიქვეს რეალურად და გაუჩნდათ მუქარის განხორციელების საფუძვლანი შიში;

– 2023 წლის 18 ოქტომბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, გ-ს რაიონის სოფელ ს-ში, საცხოვრებელ სახლში, ხ. მ-მა, სახლში დაგვიანებით მისვლის გამო, მეუღლეს – მ. ი-ს – დაარტყა ხელი მკერდის არეში, მათი არასრულნლოვანი შვილის თანდასწრებით, ასევე, ოთახში არსებული სამაქრე ესროლა არასრულნლოვან შვილს – თ. ი-ს. ორივე მათგანს დანის დემონსტრირებით განუცხადა, რომ დახოცავდა. ზემოაღნიშნული ძალადობის შედეგად, თ. და მ. ი-ებმა განიცადეს ფიზიკური ტკივილი, ხოლო სიცოცხლის მოსპობის მუქარა აღიქვეს რეალურად და გაუჩნდათ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

1.2. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულნლოვნის მიმართ, არასრულნლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ და ორი პირის მიმართ, – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2023 წლის 18 ოქტომბერს, დაახლოებით 19:00 საათზე, გ-ს რაიონის სოფელ ს-ში, საცხოვრებელ სახლში, ხ. მ-მა, სახლში დაგვიანებით მისვლის გამო, მეუღლეს – მ. ი-ს – დაარტყა ხელი მკერდის არეში, მათი არასრულნლოვანი შვილის თანდასწრებით, ასევე, ოთახში არსებული სამაქრე ესროლა არასრულნლოვან შვილს – თ. ი-ს. ორივე მათგანს დანის დემონსტრირებით განუცხადა, რომ დახოცავდა. ზემოაღნიშნული ძალადობის შედეგად, თ. და მ. ი-ებმა განიცადეს ფიზიკური ტკივილი.

## 2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 20 მაისის განჩენით:

2.1. ხ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 111<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2023 წლის 17 ივლისის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.2. ხ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.3. ს. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2023 წლის 18 ოქტომბრის ეპიზოდი) და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობისას თანაბარი სასჯელების დანიშვნისას, ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით ხ. მ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2.5. ს. მ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავები-დან – 2023 წლის 19 ოქტომბრიდან.

**3. აღნიშული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალ-დებისა და დაცვის მხარეებმა:**

3.1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა სალომე ქე-მაშვილმა მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ხ. მ-ისთვის მსჯავრადშერაცხილი დანაშაულებისათვის მკაცრი, სამარ-თლიანი და კანონიერი სასჯელის განსაზღვრა;

3.2. მსჯავრდებულ ხ. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ც-მ მოითხოვა ხ. მ-ის გამართლება მისთვის ბრალადნარდგენილ ყველა ეპიზოდში.

**4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 ივლისის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 20 მაი-სის განაჩენში შევიდა ცვლილება:**

4.1. ს. მ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართვე-ლოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2023 წლის 17 ივლისის ეპიზოდი) ნარდგენილ ბრალდებაში;

4.2. ს. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

4.3. ს. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2023 წლის 18 ოქტომბრის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

4.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქა მეორე თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ხ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

**4.5. მსჯავრდებულ ხ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2023 წლის 19 ოქტომბრიდან.**

**5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა:**

**5.1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი სალომე ქემაშვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 ივლისის განაჩენში ცვლილებას, ხ. მ-ის დამზადებული ცნობას ყველა წარდგენილ ბრალდებაში და მისთვის მკაცრი, სამართლიანი და კანონიერი სასჯელის განსაზღვრას;**

**5.2. მსჯავრდებულ ხ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი ა. ცი-ითხოვს ხ. მ-ის უდანაშაულოდ ცნობას და გამართლებას საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.**

**6. 2024 წლის 16 და 17 ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოვიდა მსჯავრდებულ ხ. მ-ის განცხადება, რომლის თანახმად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 17 სექტემბრის კანონის მიზნებისთვის მას არ შეეძლო დაზარალებულთა თანხმობების წარმოდგენა და ითხოვდა მის მიმართ კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათის გამოყენებას.**

**სამოტივაციო ნაწილი:**

**1. სასამართლო ითვალისწინებს, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>1</sup> მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ. Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).**

**2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. ბრალდების მხარე ითხოვს ხ. მ-ის დამზადებული ცნობას მათ შორის საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის**

„გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2023 წლის 17 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ყველა მსჯავრადშერაცხილი დანაშაულისათვის მკაცრი, სამართლიანი და კანონიერი სასჯელის განსაზღვრას, დაცვის მხარე კი ხ. მ-ის სრულად უდანაშაულოდ ცნობას და გამართლებას.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩინა, რომ პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ხ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის ა. ც-ს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ხ. მ-ის საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა (2023 წლის 18 ოქტომბერს მეუღლისა და შვილის მიმართ ძალადობა) და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2023 წლის 18 ოქტომბერს ორივე მათგანის მიმართ მუქარა) გათვალისწინებული დანაშაულებისათვის მსჯავრდების შესახებ. ვინაიდან,

5. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „აუცილებელია, რომ თავისუფალ საზოგადოებაში თითოეულ პირს ჰქონდეს იმის რჩმენაცა და სამართლებრივი გარანტიაც, რომ სახელმწიფო არ მოახდენს მის მსჯავრდებას, თუკი სამართლიანი სასამართლო პროცესის შედეგად, ყველაზე მაღალი დამაჯერებლობით (სიზუსტით) არ დარწმუნდება პირის ბრალეულობაში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის № 1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43). „უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს არა მხოლოდ იმას, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უტყუარ (სანდო, გაუყალებელ) მტკიცებულებებს ეფუძნებოდეს, არამედ იმასაც, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ეჭვგარეშე დასტურდებოდეს პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება № 2/2/1276 საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-77).

6. „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ

დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43).

7. სასამართლო ითვალისწინებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას დაზარალებულებმა: მ. ი-მა და თ. ი-მა ისარგებლეს მათთვის საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებით და უარი განაცხადეს მათი ოჯახის წევრის, ხ. მ-ის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე.

8. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მტკიცებულებები (მათ შორის: გამომძიებელ თ. ხ-ს, სასწრაფო დახმარების ექიმების – ხ. დ-ს და შ. წ-ის ჩვენებები, №... სამედიცინო ბარათი, №... შეტყობინება, 2023 წლის 19 სექტემბრის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, №... და №... შემაკავებელი ორდერები და მათ ოქმები), რომელთა საფუძველზეც ხ. მ-ი მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა (2023 წლის 18 ოქტომბერს მეუღლისა და შვილის მიმართ ძალადობა) და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2023 წლის 18 ოქტომბერს ორივე მათგანის მიმართ მუქარა) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის მხარეთა მიერ არ არის ცნობილი უდავოდ.

9. მოწმეები: სასწრაფო დახმარების ექიმები: ხ. დ. და შ. წ-ი არ არიან შემთხვევის თვითმხილველნი, მათი ჩვენებები ირიბია დაზარალებულების მიმართ ჩადენილ ფიზიკურ ძალადობასა და მუქარის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფაქტებთან და ჩამდენ სუბიექტთან მიმართებით. ირიბი ჩვენებების გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-37, II-52). გამომძიებელმა თ. ხ-მა სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას კი მიუთითა მის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებზე და მის მიერ შედგენილ დოკუმენტებზე. შესაბამისად, მისი ჩვენება ხ. მ-ის მიმართ წარდგენილი ბრალების სამტკიცებლად ირელევანტურია.

10. სასამართლო ითვალისწინებს, რომ როდესაც დაზარალებული უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, ხოლო შეტყობინება/შემაკავებელი

ორდერი და მისი ოქმი/საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი სრულად ემ-ყარება დაზარალებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებულ ინფორ-მაციას (ამასთან, №.... შემაკავებელი ორდერი და მისი ოქმი არ არის ხელმოწერილი ხ. მ-ის მიერ), შეტყობინებაში/ორდერში/საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში მითითებული გარემოებების არსებობა/სისწო-რე, უნდა გადამოწმდეს/დადასტურდეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებით, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს მამხილებელი მტკიცე-ბულების ერთადერთი პირველწყაროს დაკითხვის და მის მიერ მიწო-დებული ინფორმაციის სარჩმუნობის შედავების შესაძლებლობა. ამას-თან, ბრალდების მხარეს, მოცემულ შემთხვევაში, სსიპ 112-ს სამსახუ-რიდან არ გამოუთხოვია შეტყობინების ჩანაწერი და არ არის წარმოდ-გენილი არც ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დაადას-ტურებდა, რომ პირი, რომელმაც 112-ში დარეკა ნამდვილად დაზარა-ლებული მ. ი-ი იყო. სისხლის სამართლის საქმეში არ არის წარმოდგენი-ლი არც არასრულნლოვანი დაზარალებულის – თ. ი-ის – სამედიცინო ბარათი (მიუხედავად იმისა, რომ ექიმ ნ. დ-ს განმარტებით შეადგინა სამედიცინო ბარათი) და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან, მ. ი-ის №.. სამედიცინო ბარათითა და სამედიცინო ექსპერტიზის №.. დასკვნით (რომლის სისწორეც დაადასტურა ექსპერტმა მ. ლ-ემ) ვერ დგინდება დაზიანების მიმყენებელი პირის ვინაობა.

11. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპე-რატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემ-ყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამ-ტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართვე-ლოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხო-ლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცე-ბულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტუ-რებს პირის ბრალებულობას, რაც საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობ-ლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალებულო-ბაში.

12. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკი-ცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება ხ. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის

ჩადენა, რის გამოც, მტკიცებულებათა შეფასებისას წარმოშობილი ეჭვი უნდა გადაწყდეს ხ. მ-ის სასარგებლოდ.

13. კასატორი ბრალდების მხარის საკასაციო საჩივართან მიმართებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარე ხ. მ-ის საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2023 წლის 17 ივლისის ეპიზოდი) მსჯავრდების მოთხოვნის დასასაბუთებლად არ უთითებს არცერთ კონკრეტულ არგუმენტსა თუ მტკიცებულებაზე, რომელიც დაადასტურებდა მის პოზიციას. საკასაციო საჩივარში ზოგადად, ერთი წინადადებითაა მითითებული, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებენ ხ. მ-ის მიერ ბრალადნარდებილი დანაშაულების ჩადენას. იმავდროულად, სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ კასატორმა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნის მკაფიოდ ფორმულირებასთან ერთად უნდა დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა. ანალოგიურად, საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილიც საკასაციო საჩივრის დასაშვერბას უკავშირებს ამავე ნაწილში მითითებული საფუძვლების დასაბუთებას რაც გულისხმობს, რომ მკაფიოდ უნდა იყოს იდენტიფიცირებული საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული რომელი საფუძვლით ასაჩივრებს და კონკრეტულად რითი ასაბუთებს კასატორი საკუთარ პოზიციას. ამდენად, კასატორმა უნდა განსაზღვროს არა მხოლოდ განაჩენის გასაჩივრების კონკრეტული საფუძველი, არამედ მკაფიოდ მიუთითოს ის არგუმენტებიც, რომლებიც ადასტურებენ კასატორის პოზიციას და შესაბამისად – გასაჩივრებული განაჩენის უკანონობას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 15 თებერვლის №933აპ-23 განჩინება), თუ დანიშნული სასჯელის უსამართლობას.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ სალომე ქემაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მსჯავრდებულ ხ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის ა. ც-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3.1. b. მ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2023 წლის 17 ივლისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში;

3.2. b. მ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში;

3.3. b. მ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2023 წლის 18 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებულ ბრალდებაში;

3.4. b. მ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან;

3.5. გამართლებულ ხ. მ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)